# ლელო

№ 057 (12 127) 10 მარტი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# სხვანაირი ტური

გია ტუხაშვილი

უკვე მერამდენედ ვამბობთ, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით. ჩემპიონატში არსებულ არნახულ ინტრიგას ვგულისხმობთ. როგორი საქმეა, როცა ერთდროულად ხუთი გუნდი იბრძვის ევროტურნირების საგზურებისათვის? ჰო, ხუთი და არა - ოთხი; იმიტომ, რომ "ვიტ ჯორჯიის" ნაადრევად ჩამოწერა არ შეიძლება. მით უმეტეს, დღეს ნესტორ მუმლაძის გუნდი უკვე პირველი ლიგისთვის "შემზადებულ" "კახეთთან" სამ ქულას მოიპოვებს და ისევ იქ აღმოჩნდება, სადაც უნდა იყოს. ანუ, სამეულის სიახლოვეს, შესაძლოა, უფრო მაღლაც, იმიტომ, რომ ტურია ნამეტნავად "სხვანაირი" - ფუფუნებაზე მეტი არ არის, როცა ერთსა და იმავე დღეს "დინამო"-"ამერისა" და "ოლიმპი" - "ზესტაფონის" დაპირისპირებები გველოდება? წელანაც ვახსენეთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ, დიდი შანსია, უკვე დღევანდელმა ტურმა ბევრ კითხვას გასცეს პასუხი.

ამ ორის გარდა სხვა საკმაოდ საინტერესო მატჩებიც იმართება. თუნდაც "მერანი"-"ლოკომოტივისა" და "ბორჯომი"-"დილის" დაპირისპირება. "ტორპედო", შესაძლოა, მწვრთნელის გარეშე ეწვიოს ბათუმს. "სიონს" კი "ჩიხურასთან" მოუწევს სტუმრობა და თავისი ამბიციების საფუძვლიანობის დამტკიცება.

3



ამერი და დინამო ბოლო სამ კვირაში მესამედ ითამაშებენ

## ჩემპიონთა ლიგა. წილისყრა

**1/4 ფინალები**

მილანი vs ბაიერნი
ეინდჰოვენი vs ლივერპული
რომა vs მანჩესტერ იუნაიტედი
ჩელსი vs ვალენსია

მატჩები 3-4 და 10-11 აპრილს გაიმართება

**1/2 ფინალები**

ჩელსი/ვალენსია vs ეინდჰოვენი/ლივერპული

რომა/მანჩესტერი vs მილანი/ბაიერნი

მატჩები 24-25 აპრილსა და 1-2 მაისს გაიმართება

**ფინალი**

23 მაისს, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე

6

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი



## ლიდერთა ახალი დუეტი

ჭარხალაშვილი-ძაგნიძე გვეტაძე-ხუხაშვილმა შეცვალა

11

## ნიუკასლი, ალკმაარის ბოლო გაჩერება?

უეფას თასის მიმოხილვა

7

## ხვალ მილანური დერბია

რონალდო წარსულის წინააღმდეგ

8

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება. წილისყრა

# შესაძლებელია შარშანდელი ფინალიც



წილისყრაზე. ამერის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბზიკაძე (მარცხნივ)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დავით ცაბაძე

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" გათამაშების ნახევარფინალის წილისყრა გაიმართა. პროცედურამ ტურნირს შემორჩენილი კვარტეტი შემდეგნაირად დააწყვილა:

**ზესტაფონი-ბათუმი**
**ამერი-სიონი**

ნახევარფინალის პირველი მატჩები 17 აპრილს გაიმართება, საპასუხო შეხვედრები კი - 1 მაისს.

ბუნებრივია, ამ წყვილების შეხედვისთანავე ყველას ერთი აზრი გაუელვებს თავში, ფინალში შარშანდელივით "ამერი" და "ზესტაფონი" ხომ არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს? თუმცა წილისყრაზე მყოფი "ზესტაფონის" წარმომადგენელი **ვლადიმერ პანოვი** სულაც არ ფიქრობს, რომ მის გუნდს ფინალში გასვლა გარანტირებული აქვს. ამასთან "სიონის" გენერალურმა დირექტორმა **მალხაზ აბრამიშვილმა** განაცხადა, რომ ბოლნისელები ყველაფერს გააკეთებენ ფინალში გასასვლელად.

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტური. წინათქმა

# ზეოთხეულის დიდი გამოცდა

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 15 | 12 | 2 | 1 | 40-5 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 10 | 4 | 1 | 30-8 | 34 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 10 | 4 | 1 | 27-5 | 34 |
| 4. დინამო | 15 | 11 | 0 | 4 | 28-12 | 33 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 15 | 9 | 4 | 2 | 30-17 | 31 |
| 6. ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 18-8 | 28 |
| 7. სიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 20-13 | 26 |
| 8. ლოკომოტივი | 15 | 4 | 3 | 8 | 11-21 | 15 |
| 9. მერანი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-28 | 15 |
| 10. ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-15 | 13 |
| 11. ბორჯომი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-27 | 13 |
| 12. ჩიხურა | 15 | 2 | 4 | 9 | 10-26 | 10 |
| 13. დილა | 15 | 0 | 3 | 12 | 8-42 | 3 |
| 14. კახეთი | 15 | 0 | 1 | 14 | 10-45 | 1 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 19-2 | 23 |
| 2. ოლიმპი | 7 | 7 | 0 | 0 | 23-2 | 21 |
| 3. დინამო | 7 | 6 | 0 | 1 | 16-4 | 18 |
| 4. ზესტაფონი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-1 | 18 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-8 | 17 |
| 6. ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-4 | 17 |
| 7. სიონი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-3 | 16 |
| 8. ლოკომოტივი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-11 | 13 |
| 9. ჩიხურა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-9 | 9 |
| 10. ბათუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-8 | 7 |
| 11. ბორჯომი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-14 | 6 |
| 12. მერანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |
| 13. კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7-21 | 1 |
| 14. დილა | 8 | 0 | 1 | 7 | 2-21 | 1 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-3 | 17 |
| 2. ზესტაფონი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| 3. დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 12-8 | 15 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 5. ამერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 6. ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 7-4 | 11 |
| 7. მერანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-17 | 11 |
| 8. სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 9. ბორჯომი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 10. ბათუმი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-7 | 6 |
| 11. ლოკომოტივი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-10 | 2 |
| 12. დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 6-21 | 2 |
| 13. ჩიხურა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-17 | 1 |
| 14. კახეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-24 | 0 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 8 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 4-7 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 8 | იაშვილი (დინამო) | 6 |
| 9-13 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა.ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 5 |
| 14-23 | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 4 |
| | ვ.კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| 24-36 | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ს.დავითაშვილი (ამერი) | 3 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |

## ოლიმპი–ზესტაფონი

10 მარტი. რუსთავი. ცენტრალური. 15:00
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: მერლანი, ძამსაშვილი, მახვილაძე, გ. ონიანი, ნავალოვსკი, სეთურიძე, ქებაძე, აფციაური, გეწაძე, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, სანტოსი, ვიეირა, ჟონატასი, ბ. ნოზაძე, იონანიძე

დისკვალიფიკაცია: ფიფია

არბიტრი: ხარიტონაშვილი

ასისტენტები: ელიკაშვილი, თოდრია

ყვითელი ბარათების ჭარბი რაოდენობის გამო, მატჩს "ზესტაფონის" ერთ-ერთი ლიდერი **გოგი ფიფია** გამოტოვებს. "ბორჯომთან" სათასო შეხვედრაში მან მოედანზე მხოლოდ 17 წუთი დაჰყო, მაგრამ გაფრთხილება თავიდან მაინც ვერ აიცილა. ნათელია, რომ ფიფიას არყოფნა სტუმართა შემტევ პოტენციალს საგრძნობლად შეამცირებს. იმერელთა სხვა წამყვანი მოთამაშეები მწყობრში არიან.

**რევაზ ძოძუაშვილს** კი საკადრო პრობლემები არ აწუხებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ უპრინციპულეს შეხვედრას "ოლიმპი" ოპტიმალური შემადგენლობით ჩაატარებს.

## დინამო–ამერი

10 მარტი. თბილისი. მ. მესხი. 15:00
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დიღმელაშვილი, იაშვილი

ამერი: ქვაჩახია, მჭედლიშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, მესხი, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დოლიძე, ს. დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

არბიტრი: ვადაჭკორია

ასისტენტები: გაბრიაძე, ფიფია

**დუშან უჰრინს** ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და შესაბამისად, ფართო არჩევანი აქვს. ძნელი სათქმელია, იგი "ამერთან" თასზე ნათამაშებ სასტარტო თერთმეტეულს უცვლელად დატოვებს თუ ძირითად შემადგენლობასა და ტაქტიკაში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს.

მეტოქისგან განსხვავებით, "ამერს" მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვს. **გივი დიდავამ** და **გიზო ჯელაძემ** ვერც სათასო მატჩში შეძლეს თავისი გუნდის დახმარება და სავარაუდოდ, ვერც დღევანდელ დაპირისპირებაში შეძლებენ მონაწილეობას. განახლებულ სეზონში ჯერ ერთხელაც არ უთამაშია ასევე ტრავმირებულ **გიორგი დეკანოსიძეს**.

## ჩიხურა–სიონი

10 მარტი. გორი. ქართლი. 15:00
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ვაშაკიძე, ბუცხრიკიძე, თავბერიძე, ი. ზაბახიძე, ქუცურუა, გ. მიქაძე, დვალი

დისკვალიფიკაცია: მახარაძე

სიონი: ბობლიაშვილი, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, ლ. ჭელიძე, სილაგაძე, კორლალიძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, დარასელია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: კობაური, რაქვიაშვილი

არბიტრი: კვარაცხელია

ასისტენტები: რუსიშვილი, მაჩიტიძე

თასის მეოთხედფინალში "ჩიხურას" ბოლნისში გამარჯვებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საჩხერელები თამაშიდან თამაშამდე ძლიერდებიან. ამიტომაც, სულაც არ იქნება გასაკვირი, დღევანდელი მატჩიც **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდის სასარგებლოდ რომ დასრულდეს. სარევანშო განწყობა კი ორივე მხარეს აქვს – ბოლნისელებს საშინაო მარცხის, ხოლო საჩხერელებს ორმატჩიან დუელში წაგების გამო.

"ჩიხურას" ახალწვეული **კახა მახარაძე** სამ შეხვედრაში ორჯერ გააძევეს და შესაბამისად, მეორე თამაშს გამოტოვებს, "სიონს" კი ორი დისკვალიფიცირებული მცველის გარდა, კიდევ შეიძლება დააკლდეს ფეხბურთელები. მიზეზი გაციებაა. ყველაზე ნაკლებსავარაუდო გოლკიპერ **ზურაბ მამალაძის** თამაშია.

## ბათუმი–ტორპედო

10 მარტი. ბათუმი. ადელი. 15:00
პირველ წრეში: 1:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, შალამბერიძე, ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე, კუნჭულია, ვ. კვარაცხელია

ტორპედო: ქვილითაია, კილასონია, გურული, ფარულავა, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე, ლალაძე, კირკიტაძე, ჭედია, იმედაძე



მიხეილ მესხზე დღესაც დიდი ბრძოლა იქნება

დისკვალიფიკაცია: ზ. ჩხეტიანი

არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: უკლება, კოკაია

ესეც მესამე დაპირისპირება, რომელიც რამდენიმე დღის წინათ თასის მეოთხედფინალში უკვე ვიხილეთ. ბუნებრივია, ქუთათურებიც რევანშისთვის იბრძოლებენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თასის ნახევარფინალი ბევრად დიდი მიღწევაა, ვიდრე ამ კონკრეტულ შეხვედრაში გამარჯვება.

## ვიტ ჯორჯია–კახეთი

10 მარტი. მცხეთა. არმაზი. 15:00
პირველ წრეში: 3:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, ბერიაშვილი, რაზმაძე, კვალინიძე, სახოკია, მელქაძე, გელაშვილი

დისკვალიფიკაცია: გ. დათუნაიშვილი

კახეთი: გ. იაშვილი, კვირკველია, კობაიძე, კუპრაშვილი, ამირანიძე, გ. ხიდაშელი, გერგიშვილი, ჩუთლაშვილი, ბიძინაშვილი, მურველაშვილი, ნ. დავითაშვილი

არბიტრი: კრიჭაშვილი

ასისტენტები: გოგოლაძე, ზ. ასკაროლლი

## ბორჯომი–დილა

10 მარტი. ბორჯომი.
ჯ. ზეინკლიშვილი. 15:00
პირველ წრეში: 3:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: კოდალაევი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, თ. ლონლაძე, ავალიანი, რ. ჯიქია, კოშკაძე, კაიდარაშვილი, კაკალაძე

დისკვალიფიკაცია: გრიგალაშვილი

დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ყველაშვილი, სამადაშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, ნ. ნოზაძე, კობახიძე, სადაღაშვილი, სულთანიშვილი

არბიტრი: ფანიაშვილი

ასისტენტები: ლომსაძე, ნარმანია

თასიდან გამოვარდნის შემდე, "ბორჯომი" მთლიანად ჩემპიონატზე გადაერთვება და წესით, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. "დილას" დამარცხება მასპინძლებს ულაპარაკოდ მართებთ, თავის მხრივ, გორელები ერთ-ერთი უკანასკნელი შანსის გამოსაყენებლად იბრძოლებენ.

## მერანი–ლოკომოტივი

10 მარტი. თბილისი. შევარდენი. 15:00
პირველ წრეში: 1:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: სეფიაშვილი, აფშილავა, ჯანგიძე, ოსიტაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, დეისაძე, ბესარაშვილი, გ. ჩივაძე, კობერიძე, ფურცელაძე, ა. ნოზაძე

დისკვალიფიკაცია: კედელაშვილი, ქემაშვილი

ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, ჩომახიძე, კირკიტაძე, მალიჩავა, ჟღენტი, სოსელია, ვ. გოჩაშვილი

დისკვალიფიკაცია: სამხარაძე

არბიტრი: ბეუქლიშვილი

ასისტენტები: შენგელია, ტეფნაძე

ნამდვილად არაა გამორჩეული თამაში, მაგრამ უშუალო კონკურენტთა ურთიერთშეხვედრა უინტერესო მაინც არ უნდა გამოდგეს. ერთმანეთის წინაშე მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი მეტოქეები წარსდგებიან, ამიტომაც უკომპრომისო ჭიდილს უნდა ველოდოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### რევაზ ძოძუაშვილი (ოლიმპი)

"დარწმუნებული ვარ, მატჩი სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. "ოლიმპი" და "ზესტაფონი" მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობენ, ერთმანეთის წინაშე ორი ღირსეული გუნდი წარსდგება და დაე, უფრო ძლიერმა გაიმარჯვოს. დიდი იმედი მაქვს, რომ შეხვედრა სამართლიანად წარიმართება. მეორე წრე დამაჯერებლად დავიწყეთ და ყველა რესურსი გვაქვს საიმისოდ, რომ მოპოვებული უპირატესობა შევინარჩუნოთ და მდევრებთან სხვაობა გავზარდოთ.

გულშემატკივრები ყოველთვის გვერდში გვიდგანან და დარწმუნებული ვარ, "ზესტაფონთან" მატჩში განსაკუთრებით დაგვიჭერენ მხარს. მათ ვპირდები, რომ სტადიონზე მოსვლას არ ინანებენ. ვფიქრობ, რუსთავში ძალიან ბევრი რამ გაირკვევა, სავსებით შესაძლებელია, ეს თამაში ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს".

### ტურის ცენტრალური მატჩი

## ოლიმპი vs ზესტაფონი





### პაატა ლურსმანაშვილი (ზესტაფონი)

"გვჯერა, რუსთავში წარმატებით თამაში შეგვიძლია. მართალია, ბოლო მატჩები არცთუ დამაჯერებლად ჩავატარეთ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, პრინციპულ მეტოქესთან დაპირისპირებაში "ზესტაფონი" თავის რეალურ სახეს წარმოაჩენს. გუნდი ნელ-ნელა შედის ოპტიმალურ ფორმაში და არა მგონია, მომდევნო ტურებში გაუთვალისწინებელი ქულები დავკარგოთ. "მერანთან" და "ბორჯომთან" დაშვებული შეცდომები საფუძვლიანად გავაანალიზეთ.

რუსთავისა და ზესტაფონის გუნდების ურთიერთშეხვედრებს მდიდარი ისტორია აქვს. სასიამოვნოა, რომ დღესდღეობით, ორივე ქალაქს ძლიერი წარმომადგენელი ჰყავს, რომლებიც ქომაგს დაძაბულ და უკომპრომისო შეხვედრას შესთავაზებენ. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა და ნათელია, რომ ლიდერთან მარცხი საქმეს ძალიან გაგვირთულებს. ასე რომ, შევეცდებით, "ოლიმპთან" მატჩი შედეგიანად დავასრულოთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გვერდიდან

# სხვანაირი ტური



თორნიკე აფციაური (ბურთით) და ოლიმპს დღეს მოუწევთ საჩემპიონო ამბიციების დამტკიცება

არ გვინდა იმაზე მარჩიელობა - ერთმა ფავორიტმა რომ მოიგოს, მეორემ ვერ მოიგოს, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენ ჩემპიონატში მთავარი ხომ პრინციპულ მეტოქესთან გამარჯვებაა. ანუ, ასე იყო აქამდე და ასეა ახლაც - დაუგეგმავი ქულები არ უნდა დაკარგო, შინ ყველა კონკურენტი დაამარცხო, იმავე კონკურენტთან სტუმრად არ დამარცხდე და... ჩემპიონი ხარ! მითუმეტეს, დაუგეგმავ ქულებზე შემთხვევით არ ვამახვილებთ ყურადღებას - ცხრილის სათავეში მყოფ ერთ-ორ გუნდს ერთდროულად რამდენიმე "დამხმარე" გუნდი ჰყავთ... აი, ცხრილში განსაკუთრებული მოტივაცია რომ არ გააჩნიათ, სამაგიეროდ, შეეცდებიან და ყველა ღონეს იხმარენ, რომ სხვები გაამწარონ. ვინც არ იცის, იმათთვის განვმარტავთ - "სხვები" ზემოთნახსენები "ერთი-ორი" გუნდის კონკურენტები არიან...

...და მაინც, ისევ ინტრიგაზე! ინტრიგაზე მეტი არ არის "დინამო"-"ამერის" დაპირისპირება? თანაც, ამ კვირაში უკვე მეორედ მოუწევთ ამ გუნდებს შეხვედრა და ისე, მართლაც საინტერესოა, თუ როდის შეძლებს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დღითიდღე მზარდი, ახალგაზრდა და ამბიციური გუნდის ძლევას. აქვე, სტატისტიკაც მოვიშველიოთ და ვთქვათ: ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებში, ჯერჯერობით, აშკარა უპირატესობა "ამერის" მხარეზეა (სამი მოგება და ორი ფრე); თანაც, **გიორგი ჩიხრაძის** გუნდს სხვა უპირატესობაც აქვს - ფსიქოლოგიური! "ამერი" ხომ "დინამოსგან" განსხვავებით ევროტურნირებზე მოხვედრას თასიდანაც ეცდება და ჩემპიონატიდანაც. აი, "დინამოს" კი ერთადერთი გზაღა დარჩა - ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ამ მაქსიმალურ შედეგში კი, რაღა თქმა უნდა, უშუალო კონკურენტების დამარცხებაა საჭირო, რითაც **დუშან უჰრინი** ნამდვილად ვერ დაიკვეხნის (პირველ წრეში შინ "ოლიმპის" დამარცხება საკმარისი ნამდვილად არ არის)... "დინამო" და "ამერი" ამ კვირაში თასზე შეხვდნენ ერთმანეთს და დღეს კიდევ ორი მეოთხედფინალური წყვილის გამეორებაა: "ბათუმი" "ტორპედოს" მასპინძლობს, ხოლო "ჩიხურა"-"სიონს".

სხვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ გაგვკვირვებია "ბათუმის" ნახევარფინალში გასვლა. **ამირან გოგიტიძის** გუნდი "დინამოდან" და "ოლიმპიდან" განათხოვრებული ფეხბურთელებით საგრძნობლად გაძლიერდა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. განსაკუთრებით სასიამოვნოა **გიორგი ნერგაძის** დაბრუნება დიდ ფეხბურთში - ამ ნიჭიერ საყრდენ ნახევარმცველს უმძიმესი ტრავმის გამო, წელიწადზე მეტი გაუცდა და აი, ახალ გუნდში ჩვეულად ათამაშდა...

...იგივე შეგვიძლია ვთქვათ "ჩიხურას" ორ ახალწვეულზეც - **ჯაბა დვალისა** და **დავით გიგაურზეც**, რომლებიც "სიონთან" სათასო მატჩში ორივე გუნდის შემადგენლობაში გამორჩეულები იყვნენ. დვალს ერთი მომენტი ჰქონდა და გამოიყენა კიდეც, გიგაური კი უშეცდომოდ თამაშობდა დაცვაში და ბოლნისელთა მრისხანე ფორვარდის **ჩასემის** მეურვეობასაც ჩინებულად გაართვა თავი. მოკლედ, ნერგაძეც, დვალიცა და გიგაურიც თამაშით ამტკიცებენ, რომ "დინამოში" ყოფნას იმსახურებდნენ...

საკმაო ინტერესი აქვს დედაქალაქურ დერბის: "მერანი" "ლოკომოტივის" წინააღმდეგ. "მერანი", საერთოდ, მეორე წრის სტარტის აღმოჩენაა და სწორედ ეს გუნდია ორ ტურში მომხდარი ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი. სენსაციაა, აბა, რა არის, როცა ზესტაფონიდან ქულას წამოიღებ! მით უმეტეს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ სეზონში ეს მხოლოდ "ოლიმპმა" და "ამერმა" მოახერხა. არადა, "მერანს" მნიშვნელოვანი ტრანსფერები ჰქონია, სამაგიეროდ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **სერგო კუტივაძე** ვიხილეთ; კაცი, რომელიც სამწვრთნელო მოღვაწეობას 13 წლის შემდეგ დაუბრუნდა! შეგახსენებთ, რომ 1994 წლის ნოემბერში კუტივაძე "დინამოში" მივიდა და ჯერ ჩემპიონატში მოიგო ხუთივე მატჩი, მერე დსთ-ს თასზეც მიაღწია წარმატებას. ("დინამომ" მხოლოდ ფინალში დათმო შეხვედრა მოსკოვის "სპარტაკთან"), თუმცა კუტივაძისა და "დინამოს" გზები მოსკოვიდან ჩამოსვლის მერე მალევე გაიყო. ოღონდ, ამის მიზეზი სპორტული შედეგები კი არა, ერთი ძალიან, ძალიან სკანდალური ინტერვიუ იყო, რომელიც კუტივაძემ მოსკოვში ყოფნისას "სპორტ-ექსპრესს" მისცა. არადა, იმ მართლაც სკანდალურ და მეტისმეტად გულახდილ ინტერვიუში კუტივაძე ზოგიერთ საკითხში სრულ სიმართლეს ამბობდა...

...დაბოლოს, ტურის მშვენება თუ ცენტრალური მატჩი, როგორც გინდათ, ისე დაარქვით: "ოლიმპი"-"ზესტაფონი"! ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი უშუალო კონკურენტის წინააღმდეგ! და არანაკლებ მთავარი ინტრიგა - მწვრთნელების დაპირისპირება! რამდენჯერ ჩვენც გვითქვამს თუ სხვებისგან მოგვისმენია, რომ საქართველოში კვალიფიციურ მწვრთნელთა დეფიციტია, მაგრამ როცა ჩემპიონატში **რევაზ ძოძუაშვილი** და **თემურ მახარაძე** მოღვაწეობენ, ეს უკვე პროგრესის ნიშანია. ორივე უაღრესად გამოცდილი სპეციალისტია და, რაც ყველაზე მთავარია, მწვრთნელობის საკუთარი ხელწერაც აქვთ. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ ძოძუაშვილსა და მახარაძეს სადაც კი უმუშავიათ, ყველგან შედეგი ჰქონიათ. საინტერესოა, ალბათ, იმის გახსენებაც, რომ ამ მწვრთნელების პირველი დაპირისპირება 1993 წლის 18 მარტს მოხდა: მახარაძე თელავის "კახეთს" წვრთნიდა, ძოძუაშვილი - "დინამოს". ის შეხვედრა ადრეც ვახსენეთ ("დინამომ" 4:3 მოიგო) და მას შემდეგ ძოძუაშვილისა და მახარაძის გზები არაერთხელ გადაიკვეთა. მახარაძე "კახეთის" გარდა "ლოკომოტივშიც" მუშაობდა, "ვიტ ჯორჯიაშიც", "მერანშიც", "სიონშიც" და აი, ახლა "ზესტაფონს" თავკაცობს; ძოძუაშვილი კი "დინამოს" მერე ჯერ რუსთავის "მეტალურგში" იყო, მერე ლატვიაში; საქართველოში დაბრუნებული ჯერ "ლოკომოტივს" წვრთნიდა, შემდეგ - "ტორპედოს", მერე ისევ უცხოეთი, კვლავ "ტორპედო" და ბოლოს - რუსთავში დაბრუნება დიდი ხნის შემდეგ. ჰო, მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა - 1999 წელს ძოძუაშვილმა თბილისის "ლოკომოტივში" მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ მახარაძე შეცვალა. მოკლედ, ამ მწვრთნელების გაწვრთნილი გუნდები ერთმანეთს ბევრჯერ შეხვედრიან და სულ მცირედი უპირატესობა ამ მხრივ მახარაძეს აქვს. სამაგიეროდ, რევაზ ძოძუაშვილი საქართველოში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია - ჩემპიონატსა თუ თასის გათამაშებაში ყველაზე მეტჯერ მის გაწვრთნილ გუნდებს გაუმარჯვიათ.

..."ოლიმპი" უშუალო კონკურენტებს ოთხი ქულით უსწრებს, შინ ჩატარებულ შვიდივე შეხვედრაში შვიდივე მოგება აქვს (თანაც, ყველა მატჩში, სულ ცოტა, სამი ბურთი გააქვს), მაგრამ დღეს რუსთაველებს მეტოქედ ხომ ყველაზე სერიოზული კონკურენტი ჰყავს; ეს კი "ზესტაფონია" - ჩინებული მცველებით, გამოცდილი მეკარით, ეგზოტიკური ბრაზილიელებითა და უბერებელი **იონანიძით**; რა თქმა უნდა, მწვრთნელიც არ დავივიწყოთ. მოკლედ, მატჩს ველოდებით!...

ტორპედო

# დარჩება კიკნაძე ქუთაისში?



გიორგი კიკნაძე

ქუთაისის "ტორპედო" მეორე წრეს დიდი იმედებით შეხვდა, მაგრამ "ვისოლი" გუნდის მეპატრონე დღემდე არ გამხდარა. ქუთაისელთა დაფინანსება ისევ "სამი ტუზის" საფიქრალი გახდა.

"ტორპედოს" ძალიან გაუჭირდა და დღემდე გვირილაზე მკითხაობას ემსგავსება. ვარაუდები, თუ ვინ შეინახავს ქუთაისურ კლუბს, არაერთია.

მარტო "სამი ტუზის" ფინანსები უმაღლეს ლიგაში წარმატებისთვის საკმარისი არ არის. ქუთაისის "ტორპედოს" კი ამბიციური მწვრთნელები ჰყავს - **გიორგი კიკნაძე** და მისი ასისტენტი **ზაზა ზამთარაძე**.

როგორც შევიტყვეთ, გუშინ მათ გუნდის დღევანდელ მეპატრონეებთან ვითარებაში გარკვევა სცადეს. ულირთ თუ არა "ტორპედოში" დარჩენა, ეს დღეს გაირკვევა.

დღეს კი ბათუმში, ადგილობრივი "დინამოს" წინააღმდეგ, შესაძლოა, გუნდი **ჯემალ ხერხაძემ** გაიყვანოს, რომელიც კიკნაძისა და ზამთარაძის დროებით არყოფნაში, სავარჯიშო პროცესს წარმართავდა.

ავთო ცეცხლაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



დისკუსია ლელოში

# ფეხბურთი და სპორტი საკლუბო სისტემით გადარჩება

გუშინ "ლელოს" რედაქციაში ბავშვთა სპორტის პრობლემების განსახილველად სკოლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

ცხადი გახდა ტენდენცია - განათლების სამინისტრო ხუთწლიანი პროგრამების დაფინანსებას აგრძელებს, თბილისის მერიამ კი ამგვარ ღონისძიებებზე უარი თქვა.

**გია ლეჟავა**, საფეხბურთო სკოლა "21-ე საუკუნის" დირექტორი ამას განათლების მინისტრის, **კახა ლომაიას** ფეხბურთისადმი სიყვარულით ხსნის: "განათლების სამინისტრო მზადაა სკოლის დაფინანსება გააგრძელოს. ეს საჭიროც არის, რადგან ბავშვთა ფეხბურთის გადარჩენა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. ერთხელ კოვერჩანოს მწვრთნელთა სკოლაში ვიყავი. ბაზაზე ყველაფერი იაფად იყო, ყავა დოლარნახევრი ღირდა, გარეთ კი სამი დოლარი. როცა დავინტერესდი, მითხრეს, კოვერჩანოს ცენტრი გადასახადებისგან განთავისუფლებულიაო. ეს ხდება არა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, არამედ იტალიაში. გამოდის, გარკვეულ სფეროებს შეღავათებს ევროკავშირშიც უკეთებენ. ჩვენ შეღავათებს კი არ ვითხოვთ, გადარჩენაზეა აქ საუბარი".

**სანდრო ტატიშვილი**, "21-ე საუკუნის" მთავარი მწვრთნელი: "რაც მეტი იქნება უფასო სკოლა, მით მეტი ბავშვი ივლის და მეტ ტალანტსაც აღმოვაჩენთ. უკრაინაში სკოლებში ფეხბურთის გაკვეთილები შემოიღეს, მეცადინეობებს კი "ც" ლიცენზის მწვრთნელები ატარებენ. მათი მიდგომა შედეგს მოიტანს, ჩვენ კი დროს დავკარგავთ".

განათლებისა და სპორტის მინისტრის მრჩევლის, **თამაზ თევზაძის** გამოსვლა ყველაზე შთამბეჭდავი და საქმიანი იყო: "სპორტისადმი მიდგომა არა მარტო სახელმწიფომ უნდა შეცვალოს, არამედ სპორტულმა სამყარომაც. მარტო ძველზე ტირილით და მხოლოდ დახმარების თხოვნით, არაფერი გამოვა. თანამედროვე ტენდენციებს ფეხი უნდა ავუწყოთ. მესმის, რომ შოკური თერაპია ხალხს მძიმე მდგომარეობაში აგდებს და ესაა პრობლემა. რეფორმის გატარება აუცილებელია, მაგრამ მისი განხორციელება რთულია. რეფორმის ობიექტები უნდა იყოს ინფრასტრუქტურა, სპეციალისტები, ბაზები. ფეხბურთი სპორტში გამორჩეულია, თუკი ეს სახეობა განვითარდება, ყველა სხვა სახეობაშიც პროგრესს უნდა ველოდოთ. ევროპული სპორტის მოდელიც საფეხბურთო ინფრასტრუქტურაზეა აწყობილი, რადგან ის ყველაზე სრულად მოიცავს ეკონომიკას, ფინანსებს. ეს მოდელი ბრიტანეთმა შეიტანა და დიდი სპორტიდან ქვედა რგოლებამდე ყველას ეხება.

ამის შემდეგ უეფამ ორგანიზება გაუკეთა კალათბურთის, ხელბურთის, ჰოკეის, ფრენბურთის ევროპული ფედერაციების ხელმძღვანელების შეხვედრას და მათ მხარი დაუჭირეს საკლუბო სისტემის იდეას.

ესაა ჩვენთვის საყურადღებო მოდელი, რადგან ფინანსური სოლიდარობის პრინციპია მთავარი. აი, ასეთ სისტემაზე გადასვლა გვჭირდება.

ჩვენთან სპორტული მართვის პრინციპები შესამუშავებელია. გასამიჯნია დიდი და მოყვარულთა სპორტი. მთავარი კი საკლუბო სისტემაზე გადასვლაა. კახეთის გუბერნატორმა პირველმა მოახერხა ამის გაკეთება და ვისურებდი, "საგარეჯოს" მსგავსი მრავალსახეობიანი კლუბი ბევრი იყოს. თუკი ასე არ მოხდა, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდებით.

ამას გარდა, მე მოვიყვან ევროპის ქვეყნების მაგალითს, რომელიც ძალიან საყურადღებოა. სპორტის ნახევარს და ზოგჯერ მეტსაც, ადგილობრივი თვითმმართველობიდან აფინანსებენ. მათ შორის კლუბებსაც. ბაზები ძირითადად, სწორედ მუნიციპალიტეტების კუთვნილებაა. მაგალითად მილანის "სან-სიროს" სტადიონი და ა.შ. საფრანგეთში 13 მილიარდია სპორტის ბიუჯეტი და აქედან 8 მილიარდს მუნიციპალიტეტი იღებს თავის თავზე. ასეა სხვა ქვეყნებშიც.

საქართველოში ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ, სპორტში რა სახის მართვაა საჭირო. ჩვენ კანონებშიც ვერ ვერკვევით კარგად, თორემ ვნახავდით, რომ სპორტი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის არის სოციალური სფეროს მუხლი და დაფინანსებას ექვემდებარება.

თუმცა მეტი სიმკვეთრეა საჭირო და ასეთი სახის დაფინანსება კანონის დონეზე უნდა მივიღოთ. პროგრამული დაფინანსებებით ბაზების, ინფრასტრუქტურების რეაბილიტაცია მოხდება და სპეციალისტები გაიზრდებიან.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ ხალხმა ასე თუ ისე, თავის შენახვა მოახერხა, იმოძრავა და ახალ ცხოვრებას ალლო აუღო. სპორტული სამყარო კი ერთ ადგილზეა გაჩერებული. მენეჯმენტის პრობლემაც თვალსაჩინოა. ასე რომ, ჩვენც უნდა მოვნახოთ რეზერვი, რომლითაც სპორტს განვავითარებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

**რედაქციისგან:**

**"ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" პრეს-ატაშის სერგო ფუტკარაძის პასუხი თამაზ შარიქაძის წერილზე "ზესტაფონო, გშორდები...". სერგო ფუტკარაძე პასუხს ასე ამთავრებს: "ისიც ვერ გავიგეთ, რატომ შორდება "ზესტაფონი" ზესტაფონს? მთელი ქალაქი ჩვენს შეხვედრებს ესწრება და რაში გამოიხატება ქალაქისგან, გულშემატკივრისგან გუნდის დაშორება, ძნელი გასაგებია".**

**მართლა ძნელი გასაგებია, სად ამოიკითხა პრეს-ატაშემ ასეთი ბრალდება? წერილი "ზესტაფონო, გშორდები..." ასე იწყება: "ცნობილი სიმღერის მოტივი, სამწუხაროდ, დღეს, რაიონში ბავშვთა ფეხბურთსაც ესადაგება." განა რამე გაუგებრად წერია? რა შუაშია გუნდი და გულშემატკივარი?**

ინტერვიუ ჰაინც ტოპმიოლერთან

# პორტუგალიაში ბიჭებს აგენტები დაესიენ

**ერთი ნაგება, ორი მოგება და საბოლოოდ მეორე ადგილი – ასეთია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მონაგარი პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე. ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი პირინეებიდან სამი დღის წინ დაბრუნდა. საინტერესოა როგორ აფასებს მწვრთნელი იმ გუნდის ასპარეზობას, რომელსაც შემოდგომით ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში.**

- მთლიანობაში ჩვენი გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. ბოლო ტურში პორტუგალიას ირლანდიასთან რომ არ წაეგო, პირველ ადგილზეც გავიდოდით. ტურნირის შემდეგ მეტოქე გუნდების მწვრთნელებს ვესაუბრე და ყველამ ერთხმად აღნიშნა, კარგი გუნდი გყავთო. აღსანიშნავია, რომ მეტოქეთა უმრავლესობას შემადგენლობაში 19 წლის ფეხბურთელები ჰყავდა. ჩვენ კი ამ ასაკისა, მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი გვყავდა. თანაც მონინაალმდეგე გუნდები ინგლისის, ესპანეთისა და პორტუგალიის საუკეთესო ლიგების ფეხბურთელებით იყვნენ დაკომპლექტებული.

**- ახლა სათითაოდ ვთქვათ ყველა მატჩზე. პირველ ტურში ირლანდიასთან დამარცხდით...**

- ანგარიში ირლანდიელებმა გახსნეს. მერე წონასწორობა აღვადგინეთ. მერე შესაძლებლობა გვქონდა დავწინაურებულიყავით, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენეთ და გოლი აქეთ მივიღეთ. ბიჭებს ვუთხარი უკან არ ჩამჯდარიყვნენ და შეეტიათ. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, კონტრშეტევა გაგვეპარა, კიდევ ერთი გოლი მივიღეთ და საბოლოოდ 3:1 წავაგეთ. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ამ ტურნირზე გამორჩეული გუნდები ჩვენ და ირლანდიელებს გვყავდა.

**- მეორე მატჩი კი მართლაც გარდამტეხი იყო...**

- ჩვენამდე პორტუგალიამ ბელგიელებს სამი მშრალი გოლით მოუგო. ბუნებრივია, ირლანდიასთან წაგების შემდეგ იყო შანსი ჩვენს გუნდს ფსიქოლოგიურად ვერ გაეძლო, მაგრამ ბიჭები კარგად დაუხვდნენ მეტოქეს. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა ტაქტიკურად ყველაზე გამართულად ითამაშა. ჩვენი მხრივ ნოვაცია იყო ისიც, რომ "ემპოლის" ფორვარდი ლევან მჭედლიძე მარცხენა მცველად გამოვიყენეთ...

**- რამ გაიძულათ ასე გემოქმედათ?**

- გვქონდა ინფორმაცია, რომ პორტუგალიელები ფლანგებიდან სწრაფ და სახიფათო შეტევებს ახორციელებდნენ. მარჯვენა მცველად ალექსი ბენაშვილი გავამწესე. მას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს, ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია და სრულად ვენდობი. მარცხნივ კი ლევან მჭედლიძე დავაყენე, რომელიც ფიზიკურად ძლიერია, მეტოქის არანაირი კომპლექსი არ აქვს და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელია. ნოვაციამ გაამართლა და პორტუგალიელები ფლანგებიდან ველარ აქტიურობდნენ. ორივე გუნდი დაცვაში საიმედოდ თამაშობდა და საგოლე მომენტებიც ცოტა იყო. ჩვენ ის ერთადერთი გოლი სტანდარტულიდან გავიტანეთ. ერთი შეხედვით თამაში თანაბარი იყო, მაგრამ ამ მატჩის ანალიზისას ნათლად გამოჩნდა, რომ ეს შეხვედრა დამსახურებულად მოვიგეთ.

**- დასკვნით ტურში ბელგია 3:0 დაამარცხეთ...**

- ძალზედ მოტივირებული ვიყავით, ოპტიმისტურად განწყობილნი. მეტოქე პირველივე წუთებიდანვე მივაჯაჭვეთ საკუთარ ნახევარზე. გამოსარჩევი გახლდათ ისიც, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები იმდენად სიმპათიურად განეწყვნენ ჩვენს მიმართ, რომ საქართველოს გულშემატკივრობდნენ.

**- ვახტანგ ფანცხავა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მასზე რას გვეტყოდით?**

- მართლაც ნიჭიერი, მზარდი და პერსპექტიული ფეხბურთელია. თუმცა არ მინდა მასზე განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება. ასეთ შემთხვევაში ზოგი წყვეტს პროგრესს და არ მინდა ფანცხავასაც იგივე დაემართოს. გეტყვით იმასაც, რომ ამ ტურნირზე ასპარეზობით მზადება არ შეგვიწყვეტია. რამდენიმე ახალი ფეხბურთელზე დაკვირვებასა და საქმეში მათ ნახვასაც ვაპირებთ.

სხვათა შორის, ვარჯიშებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა "გიმარაეშის" დუბლებში მოასპარეზე ახალბედა ფორვარდმა ლევან ბლაგაძემ. ცნობები მოვიძიეთ "კალსრუეს" სარეზერვოში მოთამაშე დოლიძეზე და ამ დღეებში მის მწვრთნელს უნდა გავესაუბრო. "ციურიხის" თავკაც ორს მაიერს დღეს ტელეფონით ვესაუბრე და ქართველი ფორვარდი გიორგი ივანიშვილი კარგად დამიხასიათა. ასე რომ ჩვენ ყველგან ვეძებთ ახალ და კარგ ფეხბურთელებს.



ჰაინც ტოპმიოლერი

**-ამბობენ პორტუგალიურ ტურნირზე აგენტებმა რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გვარიც მოინიშნეს...**

- დიახ, მაგრამ ჯერ მათი და კლუბების ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ.

**- რატომ მოხდა, რომ დასკვნით ტურში ირლანდიისა და პორტუგალიის მატჩი გვიან დაიწყო და ის ერთადერთი გოლიც მატჩის ბოლოს გავიდა?**

- ტურნირის ორგანიზატორების მიერ ისე იყო გათვლილი, რომ ირლანდია-პორტუგალიის მატჩი ფინალი უნდა ყოფილიყო. თუმცა როგორც აღმოჩნდა, მათ კარგად ვერ იფიქრეს – არ ეგონათ ჩვენ თუ მასპიძლებს მოვუგებდით. ირლანდიასთან კი მასპინძლებმა იმ გოლისას ძალზე უხეში შეცდომა დაუშვეს.

**- დაბოლოს, 1 მარტს ბარსელონაში ჩატარებულმა წილისყრამ ჯგუფის მეტოქეებად ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია გვარგუნა. შემოდგომაზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს თბილისი უმასპინძლებს და ჩვენი ჯგუფიდან გასვლის შანსებიც იზრდება...**

- მართალი გითხრათ ჰოლანდიასა და ნორვეგიასთან თამაში იოლი არ იქნება. ვფიქრობ ლატვიაც დააკარგვინებს მეტოქეებს ქულებს. ჩვენ ყველა მეტოქე სათანადოდ უნდა დავაფასოთ და ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლოთ სასურველი შედეგის მისაღწევად. ურუგვაისა და თურქეთის ძლევის შემდეგ არა მარტო ეროვნულს, არამედ სხვა ასაკის ნაკრებებსაც მეტოქეები უფრო მეტად აფასებენ.

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები

# განრიგი დადგინდა

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები, მე-4 ჯგუფში იასპარეზებს. 23-28 მაისს გასამართ ტურნირს შოტლანდია რომ უმასპინძლებს ესეც გეცოდინებათ. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდის მეტოქეები თურქეთის, პორტუგალიისა და შოტლანდიის ჭაბუკთა ნაკრებები არიან. უკვე დადგინდა ელიტრაუნდში გასამართი მატჩების გამართვის ადგილი და დრო. ცნობა ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

**23.05.07.**

შოტლანდია-თურქეთი (დანდი, "დენს პარკი")
**პორტუგალია-საქართველო** (პერსი, "მაკდერმიდ პარ.")

**25.05.07.**

**შოტლანდია-საქართველო** (პერსი, მაკდერმიდ პარკი)
თურქეთი-პორტუგალია (დანდი, "დენს პარკი")

**28.05.07.**

პორტუგალია-შოტლანდია (დანდი, "ტენედის პარკი")
**საქართველო-თურქეთი** (დანდი, "დენს პარკი")

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ელიტრაუნდის შვიდი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებულები გადიან. მერვე გუნდად მათ ჩემპიონატის მასპინძელი ავსტრია დაემატება. ფინალური ეტაპი ავსტრიაში 16-27 ივლისს გაიმართება.

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

2007 წლის 9 მარტს გაიმართა პროფლიგის გამგეობის სხდომა, რომელმაც მიმართა სფფ-ის ალმასკომს საქართველოს 2006-07 წლების ეროვნული ჩემპიონატის სადისციპლინო დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სფფ-ის ალმასკომის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოლო პერიოდში პრესის, ტელევიზიის და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გახშირდა კლუბების წარმომადგენლების არაკორექტული და შეურაცმყოფელი განცხადებები, სფფ-ის, პფლ-ის და მსაჯების მიმართ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პფლ-ის გამგეობამ სფფ-ის ალმასკომს მიმართა თხოვნით საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 1 პუნქტი 1.2 პირველი აბზაცის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ. დააგინეს:

1.1 დამტკიცდეს საქართველოს პროფესიულ ფეხბურთელთა ლიგის სადისციპლინო კოდექსის მუხლი 1 პუნქტი 1.2 პირველი აბზაცის ახალი რედაქცია " კლუბის წარმომადგენლების (მათ შორის ხელმძღვანელების, მწვრთნელების, ფეხბურთელების) მიერ იმ შეჯიბრებების დისკრედიტაციისას, რომლებზედაც ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება ასევე ზემოაღნიშნულ პირთა მიერ სფფ-ის, პფლ-ის, მსაჯების და მოწინააღმდეგე კლუბების მიმართ პრესის, ტელევიზიის და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ან ნებისმიერი საჯარო ფორმით არაკორექტული შეურაცმყოფელი განცხადებების გაკეთებისა და (ან) პროვოკაციული აგიტაციის შემთხვევაში (მაგალითად, ფიზიკური ანგარიშსწორების ქადაგება, მატჩის მონაწილეთა და ქომაგთა გაღიზიანება, მსაჯებზე ზეწოლის მცდელობა, მოწოდებები არასპორტული საქციელისკენ და სხვა) კლუბი დაჯარიმდება 2500 ლარით, ხოლო განცხადების უშუალო ავტორს პირობითად აეკრძალება საფეხბურთო საქმიანობა ერთი კალენდარული წლით. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება 5000 ლარით, ხოლო განცხადების უშუალო ავტორს ავტომატურად აეკრძალება საფეხბურთო საქმიანობა ერთი კალენდარული წლის ვადით.

გახსენით... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენი შენნაირი ცოლი ეყოლებოდა?!



ნატალია ვორონა პირველ ქმართან

რომ გავიძახით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სასიძო კახა კალაძეაო, მთლად ასეც არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, "მის უკრაინა 92"-ის ფინალისტი **ნატალია ვორონა** ამტკიცებს, ეს ლაზათიანი ქართველი ჩემი მეორე ქმარი იყოო.

"გაზეტა პო უკრაინსკისთან" ინტერვიუში 32 წლის ყოფილი მოდელი აცხადებს, რომ მისი პირველი ქმარი ამჟამად უკრაინის საგანგებო დავალებათა მინისტრი ნიკალაი შუფრიჩი იყო, კახას ცოლი კი მერე გავხდიო.

აი რას წერს გაზეთი:

*"1999 წელს საბილიარდოში, რომელიც კიევურ რესტორან "ატლანტაში" მდებარეობს, ნატალია ვორონამ 21 წლის ფეხბურთელი კახა კალაძე გაიცნო.*

*"კახა "მილანში" გადავიდა და ჩვენც იტალიაში გადავედით. მაისში მას ძმა მოსტაცეს - ნატალიას თვალებში სევდა გამოჩნდა - ლევანი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ კახას ფულს ისევ თხოვდნენ. კახა მომხდარს ძალიან განიცდიდა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. ჩემთვის ამის ატანა რთული იყო, რადგან მე კომუნიკაბელური ადამიანი ვარ. ამ დროს შევჩენკოს ოჯახი ძალიან დამეხმარა. კახა და ანდრეი ჩემს ბიჭს ფეხბურთს ასწავლიდნენ. ხუთი წლის ურთიერთობა შეწყდა. არ შემეძლო მეყურებინა, როგორ ეპყრობოდნენ წარმატებული ქმრები საკუთარ ცოლებს. საიმედო ზურგი მილიონები კი არა, არამედ ქალია... ჰყავს თუ არა ამჟამად საყვარელი გოგონა? არ ვიცი, ჩვენ ერთმანეთს ორნახევარი წლის წინ დავშორდით. ერთად ცხოვრების დროს "მერსედესი" მაჩუქა".*

რალაც არადამაჯერებლად ჩანს ეს ამბავი. კახა კალაძის თითოეულ ნაბიჯს უკრაინული, იტალიური და ქართული მედია ყურადღებას აქცევს და მისი დაოჯახება გამოგვეპარებოდა?

ასეთი რამდენი "ცოლი" ჰყავდა, ეს მარტო კახას ეცოდინება. სხვათა შორის, უკრაინული ყვითელი პრესა ოთხი წლის წინათ ამტკიცებდა, თითქოს **გიორგი დემეტრაძეს** მხატვრულ ტანვარჯიშში უკრაინელ ოლიმპიურ ჩემპიონთან, **ეკატერინა სვეტეცკაიასთან** შვილი ჰყავდა.

**დათო მეფარიშვილი**

# დემეტრაძის ადვოკატს ხელახალი სარჩელი შეაქვს



გიორგი დემეტრაძე

ოთხშაბათს **გიორგი დემეტრაძის** ადვოკატებმა, **ანდრეი ფედურმა** და **კონსტანტინე კოლომიეცმა** პეჩორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. როგორც ცნობილია, დონეცკის "მეტალურგისა"და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას ლეგიონერებზე შემოღებული ლიმიტის გამო უჩივლა, სასამართლომ კი მოპასუხე მხარე გაამართლა.

"მეტალურგის" ოფიციალური ინტერნეტ-გვერდი იუწყება, რომ გიორგის ადვოკატებს ხელახლა სურთ საქმის განხილვა.

ადვოკატები უკრაინის კონსტიტუციას იხმობენ და ამტკიცებენ, რომ ლეგიონერს არანაირი შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეს.

*"უკრაინაში მთავარი ქვეყნის კონსტიტუციაა და ჩემპიონატის რეგლამენტი მასზე მაღლა არ შეიძლება დავაყენოთ. ამიტომაც ძალიან უცნაურია, რომ სასამართლომ საკითხი ნორმალურად არც განიხილა. ჩვენ ათი დღის განმავლობაში კიევის სააპელაციო სასამართლოს მივმართავთ"*, - თქვა ფედუნმა.

"მეტალურგის" პრესსამსახურის განცხადებაში კი წერია: *"ფედერაციის შუამდგომლობა პეჩორის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა. ამ დროს სასამართლომ არ განიხილა სარჩელში დასახელებული არსობრივი პრობლემები. ის მხოლოდ ფორმალობებით შემოიფარგლა."*

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სფფ-ის ნაკრები გუნდების მწვრთნელს, ვეტერან ფეხბურთელს ბესიკ ფრიდონაშვილს.**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ქიჭვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონლაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭეეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

წიგნის თარო

# წიგნი ბურთის პოემის ავტორზე




რამდენიმე თვის წინათ, რუბრიკით "ჩვენ, მეოცესაუკუნელები", "ლელოში" ქვეყნდებოდა ცნობილი ჟურნალისტის **შიო ლარცულიანის** წერილების სერია სათაურით "ზლუდე იმიტომაა, რომ გადალახო!" პუბლიკაციები, როგორც ავტორი წერს, მიეძღვნა "ტყავის ბურთის დიდოსტატის, **მიხელ მესხის** ცხოვრებისეულ გზას, მის საფეხბურთო კრედოსა და რაობის მართალ ეპიზოდებს."

ამ დღეებში ზემოხსენებული რუბრიკით გამოქვეყნებული წერილები ერთ პატარა წიგნად გამოიცა, რაც უდავოდ კარგი საჩუქარია, საერთოდ, ფეხბურთის მოყვარულებისა და, კერძოდ, დაუვიწყარი მიხელ მესხის თაყვანისმცემლებისთვის.

წიგნში შესულია ცნობილი ფოტოჟურნალისტების ყველაზე ღირსსახსოვარი კადრები, რომელიც ცხადად წარმოაჩენს "ბურთის პოემის ავტორის" უნიკალურ ოსტატობას.

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. კენჭისყრა

# ინგლისელები ერთმანეთს ასცდნენ

## ჩელსი ვალენსიას, ხოლო მანჩესტერი რომას პირველად შეხვდება, მილანისა და ბაიერნის წყვილში ფავორიტი არ არსებობსო, ლივერპული ეინდჰოვენთან შემოდგომაზე დაწყებულ დუელს განაახლებს...



ფილიპო ინძაგი მიუნხენის ბაიერნის რისხვაა

ინგლისური კლუბები ერთმანეთს ასცდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, შეიძლება, სამივე მათგანი ვიხილოთ. გუშინ, ათენში გამართულმა კენჭისყრამ მეოთხედფინალური და ნახევარფინალური წყვილები გამოავლინა. "ჩელსი" "ვალენსიას" ეთამაშება, "ლივერპული" - "ეინდჰოვენს", "მანჩესტერ იუნაიტედი" "რომას" მიიღებს, ხოლო "მილანი" "ბაიერნთან" გაარკვევს ურთიერთობას.

ნახევარფინალში "ჩელსი"-"ვალენსიის" წყვილში გამარჯვებული "ლივერპულსა" და "ეინდჰოვენს" შორის უძლიერესს შეხვდება, ხოლო "რომა" ან "მანჩესტერი" "მილანსა" და "ბაიერნს" შორის გამარჯვებულს, ფინალს 23 მაისს ათენის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს.

"იუნაიტედი" და "რომა" პირველად შეხვდებიან ერთმანეთს. მერვედფინალში ორივემ ფრანგული ბარიერი გადალახა. "მანჩესტერმა" "ლილს", ხოლო "რომამ" "ლიონს" მოუგო. *"ლიონის" დამარცხების გამო, რომაელები განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ. მათ შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავთ მანსინისა და დე როსის სახით. ნახევარფინალზე ფიქრი ნაადრევია. მთელი ყურადღება მეოთხედფინალურ მატჩებზე უნდა გადავიტანოთ. მოუთმენლად ველით იტალიელებთან შეხვედრას,"* - ეს **სერ ალექს ფერგიუსონის** კომენტარი გახლავთ. გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ ფერგი "იუნაიტედის" ოფიციალურ ვებგვერდს გაესაუბრა.

"ლივერპული" და "ეინდჰოვენი" ჯგუფურ ტურნირში დაწყებულ დაპირისპირებას განაახლებენ. გასულ შემოდგომაზე ამ გუნდების ჰოლანდიური მატჩი უგოლოდ დასრულდა, ლივერპულში კი მასპინძლებმა დამაჯერებლად, ორი უპასუხო გოლით გაიმარჯვეს. პსვ-ს თავკაცი **რონალდ კუმანი** ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც ლიგის მეოთხედფინალში სამი გუნდი გაიყვანა - "ეინდჰოვენამდე" მან ანალოგიურ წარმატებას "აიაქსსა" და "ბენფიკაში" მიაღწია. "ლივერპულთან" ბოლო დაპირისპირების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მერვედფინალში ჰოლანდიელებმა ინგლისურ კლუბს ("არსენალი") სძლიეს. ამ მხრივ "ლივერპულს" უფრო მეტის თქმა შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, მერვედფინალში, მან მოქმედი ჩემპიონი "ბარსელონა" ჩამოაგდო ტახტიდან.

პირველად შეხვდებიან "ჩელსი" და "ვალენსიაც". კენჭისყრის შემდეგ ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** თქვა: *"გვიხარია, რომ ინგლისურ კლუბს ავცდით. ეს ჩვენთვისაც კარგია და ტურნირისთვისაც. უკეთესი იქნებოდა, თუ საპასუხო მატჩს შინ ჩავატარებდით, მაგრამ რა გაეწყობა. ჩემპიონთა ლიგა დიდი ტურნირია. ფინალში არასოდეს გვითამაშია. წელს კიდევ ერთი შანსი მოგვეცა, სანადელს მივაღწიოთ."*

ვალენსიელმა ნახევარმცველმა **რუბენ ბარახამ** ესპანელ მიმომხილველებს აუწყა: *"საპასუხო შეხვედრას შინ ჩავატარებთ. ეს კი ჯეკპოტის მოხსნის ტოლფასია. "ჩელსი" ჩვენს სტილში თამაშობს. მეტოქე ერთ რომელიმე ფეხბურთელს არ ეყრდნობა. ლონდონელებს ბევრი ისეთი ვარსკვლავი ჰყავთ, რომელთაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ."*

დაბოლოს წყვილი, რომელშიც თავი მოიყარეს, ერთის მხრივ, ევროპის ექვსგზის ჩემპიონმა "მილანმა", რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ მეხუთედ გავიდა და ოთხგზის ჩემპიონმა "ბაიერნმა". მილანელთა თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** "სქაი იტალიას" ასეთი კომენტარი მისცა: *"ბაიერნი" ურთულესი მეტოქეა, როცა საქმე ფლეი ოფებს ეხება. მიუნხენელებს ამ ტიპის მატჩებში მონაწილეობის მდიდარი ტრადიცია აქვთ. ისინი ძლიერები არიან. მათ ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული ფეხბურთელები ჰყავთ. მართალია, ზამთრის არდადეგების შემდეგ პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ კრიზისს თავი დააღწიეს და დღითიდღე უმატებენ. ნებისმიერი გუნდი, რომელმაც "რეალი" დაამარცხა, კარგ ფორმაში უნდა იყოს. ფავორიტი არ არსებობს. ძალები თანაბარია. კენჭისყრამ ერთ-ერთი უძლიერესი მეტოქე შეგვახვედრა."*

**ოტმარ ჰიტცფელდი** ასეთივე დიპლომატიური არ ყოფილა. მან საკუთარი შეგირდების ამბიციაზე გაამახვილა ყურადღება: *"მილანი" შესანიშნავი მეტოქეა. ევროპის ერთ-ერთ უდიდეს გუნდთან თამაში მოტივაციას გვმატებს. "როსონერის" დიდი ვარსკვლავები ჰყავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირველ თამაშს სტუმრად ვატარებთ. ვფიქრობ, "რეალის" გაგდებაში ეს ფაქტორი დაგვეხმარა. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ პირველ მატჩში სასურველ შედეგს მივაღწიოთ, საპასუხო შეხვედრაში კი გულშემატკივართა დახმარებით, საბოლოო გამარჯვება გავინაღდოთ. შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამოგვივლენია. ამიტომ მიმაჩნია, რომ "ბაიერნს" ნახევარფინალში გასვლა შეუძლია."*

დასასრულს, მეტი თვალსაჩინოებისთვის, კიდევ ერთხელ შემოგთავაზებთ მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ წყვილებს:

**1/4 ფინალები**

**მილანი vs ბაიერნი**
**ეინდჰოვენი vs ლივერპული**
**რომა vs მანჩესტერ იუნაიტედი**
**ჩელსი vs ვალენსია**

*მატჩები 3-4 და 10-11 აპრილს გაიმართება*

**1/2 ფინალები**

**ჩელსი/ვალენსია vs ეინდჰოვენი/ლივერპული**
**რომა/მანჩესტერი vs მილანი/ბაიერნი**

*მატჩები 24-25 აპრილსა და 1-2 მაისს გაიმართება*

**ფინალი**

*23 მაისს, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე*

ბაიერნი

# მიუნხენი ქუხს: ჰიტცფელდ, ღმერთი ხარ!

## ოლონდ კონტრაქტს ხელი მოაწერე და თუ გინდა, ხელფასი და ვადა თვითონ ჩაწერეო...



ოტმარ ჰიტცფელდი

**ოტმარ ჰიტცფელდს სულ რაღაც 36 დღე დასჭირდა იმისათვის, რომ "ბაიერნი" კრიზისიდან გამოეყვანა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან "რეალის" გაგდების შემდეგ "ზებენერშტრასეზე" ყველა ბედნიერია. ბავარიელები ახლა უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ რეკორდმაისტერს მიმდინარე სეზონში დუბლის შესრულება შეუძლია. ის, რაც ორი კვირის წინ ერთობ არარეალურად ჟღერდა, ახლა უკვე საკმაოდ რეალურია. მიუნხენელებს ყველაზე მეტად მწვრთნელის საკითხი ადარდებთ. მართალია, ოტმარმა არაერთხელ აღნიშნა, რომ "ბაიერნთან" კონტრაქტის გაგრძელება არ სურს, მაგრამ სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და გამორიცხული მაინც არაფერია...**

"რეალთან" გამარჯვების შემდეგ გამოცემა "ბილდმა" **ჰიტცფელდისადმი** პატივისცემა ძალიან მარტივად და გასაგებად გამოხატა სათაურში GOTTmar Hitzfeld. უპრიანია, გითხრათ, რომ სიტყვა GOTT გერმანულად ღმერთს ნიშნავს. რეკორდმაისტერის გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ, რომ "რეალის" გაგდება "გენერალს" გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს და ათქმევინებს იმ ორ სიტყვას, რისი მოსმენაც "ბაიერნის" ქომაგებს ახლა ყველაზე მეტად სურთ: *"დიახ, ვრჩები!"* მაგრამ 58 წლის მწვრთნელი ჯერჯერობით არაფერს ამბობს, უფრო სწორად, ისევ ძველ ჩვენებას იმეორებს.

*"ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია, გახლავთ ის, რომ მინდა, მუშაობა მშვიდად გავაგრძელო. დარჩენა-არდარჩენის საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან კი თავს შევიკავებ, რადგან არ მსურს, რომ სპეკულაციები გამოვიწვიო,"* - აცხადებს ოტმარი, თუმცა აშკარაა, რომ ამ სიტყვებით "ბაიერნის" ფანებს იმედს უტოვებს, რადგან არც ჰოს ამბობს და არც არას.

ფაქტია, რომ ბავარიული კლუბის შეფები ძალიან მონადინებულები არიან და ერთი სული აქვთ, ოტმარისგან თანხმობა მოისმინონ. *"ჰიტცფელდი "ბაიერნისთვის" ოპტიმალური მწვრთნელია. იმედი მაქვს, რომ სეზონის ბოლოს არ დაგვტოვებს და კიდევ დიდხანს იმუშავებს თანამდებობაზე, რომელიც მისთვის ზედგამოჭრილია. მას შეუძლია, მიუნხენში იმდენ ხანს დარჩეს, რამდენიც მოესურვება,"* - ეს პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია, რომელიც ამ უკანასკნელმა ტელეკომპანია "პრემიერ უორლდის" პირდაპირ ეთერში თქვა და მერე პირადად ჰიტცფელდსაც მიმართა, - *"ოტმარ, შენ ორწელიწადნახევარი დაისვენე. ეს საკმარისია..."*

იმდენ ხანს დარჩეს, რამდენიც მოესურვებაო - კაიზერ-ფრანცი სიტყვებს ჰაერზე არასდროს ისვრის. გერმანელი ჟურნალისტები წერენ, თუკი ჰიტცფელდი ახალი კონტრაქტის გაფორმებას მოისურვებს, ხელშეკრულებაში ორი პუნქტი ცარიელი უნდა იყოს და ოტმარმა ორივე პუნქტში ის უნდა ჩაწეროს, რასაც მოისურვებსო. საუბარია ხელფასისა და კონტრაქტის ვადის პუნქტებზე.

*"თუკი ოტმარი დარჩენას გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდება. წინა კვირაში მასთან გულახდილი საუბარი მქონდა და ჩვენ შევთანხმდით, რომ გარკვეული დროის შემდეგ, მუშაობის გაგრძელებაზე კიდევ დავილაპარაკებთ,"* - ეს უკვე ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი გადადგმულია. რეკორდმაისტერის შეფები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ "გენერალს" წასვლა გადააფიქრებინონ.

ოთხშაბათს, "რეალთან" გამარჯვების შემდეგ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ოტმარს ჰკითხეს, ნუთუ ამის მერე მაინც არ გინდათ, რომ "ზებენერშტრასეზე" დიდხანს დარჩეთო. "გენერალმა" ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა: *"დღეს ნამდვილად დიდხანს დავრჩები და გვიანობამდე არ დავიძინებ. ცოტას ვიზეიმებ და ორ-სამ კათხა ლუდსაც გეახლებით..."*

■ ■ ■

მაინც, რა გააკეთა ამ მწვრთნელმა 36 დღეში ისეთი, რომ კრიზისში მყოფი და საყოველთაო დაცინვის ობიექტად ქცეული "ბაიერნი" ფეხზე დააყენა? ამაყად ამბობს, გერმანიის ჩემპიონობის შენარჩუნებაც გვსურს და ჩემპიონთა ლიგის მოგებაცო. პირველი, ვინც ჰიტცფელდის ამ მოსაზრებას იზიარებს, **კანია**, რომელიც ამბობს: *"ახლა უკვე ყველაფერი შესაძლებელია, რადგან საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნდა."* "ბილდი" შეეცადა, ოტმარის წარმატების საიდუმლო ამოეხსნა.

სიბეჯითე. კანის თქმით, ოტმარი 24 საათის განმავლობაში "ბაიერნზე" ფიქრობს. ვარჯიშის დროს ის ხშირად აკეთებს პაუზებს და ფეხბურთელებს ყველაფერს დეტალურად უხსნის. ჰიტცფელდი თითოეულ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც კი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ანალიზი. ყოველი თამაშის შემდეგ, ფეხბურთელებს გასახდელშივე მიანიშნებს დაშვებულ შეცდომებზე და იქვე ლეპტოპზე აჩვენებს საკვანძო მომენტებს, სადაც ისინი შეცდნენ, ან პირიქით. ოტმარმა ოპერატორებს თითოეული ვარჯიშის გადაღებაც კი დაავალა, რათა ფეხბურთელებს ყველაფერი უფრო დეტალურად აუხსნას, მხოლოდ თამაშების ვიდეოჩანაწერი საკმარისი არ არისო.

მიმართვა. ოტმარი თვითონვე ამბობს, რომ რაკი ბოლო ორწელიწადნახევრის განმავლობაში სატელევიზიო ექსპერტად მუშაობდა, ისწავლა, თუ როგორ აუხსნას მოთამაშეებს ტაქტიკა უფრო მარტივად და გასაგებად.

ფსიქოლოგია. ჰიტცფელდი თითოეულ ფეხბურთელს ინტენსიურად ესაუბრება, ინტერესდება და ითვალისწინებს მათ პირად პრობლემებსაც, რაც მოთამაშეებს ძალიან მოსწონთ. მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი ცუდად ითამაშებს, ფეხბურთელს მაინც დადებითად ახასიათებს, რითაც მოტივაციას უზრდის. სწორედ ოტმარის დამსახურებაა ის, რომ **ლუკას პოდოლსკი** კრიზისიდან გამოვიდა და სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა.

მოტივაცია. "რეალთან" პირველი მატჩის წინ ოტმარმა ფეხბურთელებს ორი თამაში აჩვენა: ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ფინალი, რომელიც "ბაიერნმა" "მანჩესტერთან" ბოლო წუთებზე გაშვებული ორი გოლის გამო წააგო და 2001 წლის ფინალი, რომელშიც რეკორდმაისტერმა "ვალენსია" პენალტების სერიაში დაამარცხა. განმეორებითი მატჩის წინ კი "ჰერტასთან" მატჩის (3:2 მიუნხენელთა სასარგებლოდ) ვიდეოჩანაწერი გამოიყენა, სადაც ყურადღება **ლუსიოსა** და **ვან ბუიტენის** შეცდომებზე გაამახვილა. შედეგი ჩინებული იყო: "ბაიერნის" დაცვამ "რეალთან" თითქმის უშეცდომოდ ითამაშა.

კანონები. ოტმარმა ფეხბურთელებს 12 კანონი, 12 მცნება ჩამოუწერა. ყველაზე მნიშვნელოვანია "არასდროს უცრუო". ფეხბურთელები ჰიტცფელდს ბოლომდე ენდობიან და მის ყველა რჩევას ითვალისწინებენ.

გუნდურისულისკვეთება. კიდევ ერთი მცნება, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია: *"ჩვენ და არა მე!"* **ფელიქს მაგათის** დროს ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ "ბაიერნის" თითოეული ფეხბურთელი წინა პლანზე თავის თავს აყენებდა, რომ რეკორდმაისტერში ყველა თავისთვის იბრძოდა. ჰიტცფელდის დროს კი საქმე სხვანაირადაა - **სალიჰამიჯიჩი**: *"თითოეული ჩვენგანი მზადაა, სხვას დაეხმაროს და თანაც ამას უდიდესი სიამოვნებით აკეთებს."*

ადრე ოტმარი მკაცრ მწვრთნელად ითვლებოდა, ახლა კი გაცილებით ლმობიერია - სულ იღიმება და ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, არასდროს უჯავრდება. ჰიტცფელდი გაცილებით მსუბუქი ადამიანი გახდაო, წერს გერმანული პრესა. მაგალითად, "რეალთან" მატჩის შემდეგ "გენერალმა" **რუუდ ვან ნისტელროის** მაისურა სთხოვა, ჩემი ვაჟი მათიასი შენი გულშემატკივარიაო. ოტმარისგან ადრე ასეთი რამ გამორიცხული იყო.

მოკლედ, გერმანიაში ყველა ერთ აზრზეა: ახალი, მსუბუქი ოტმარ ჰიტცფელდი "ბაიერნისთვის" იდეალური მწვრთნელია...

**გოტფრიდ ლენცი**

**საინტერესო სტატისტიკა**

## ჩემპიონთა ლიგის 10 უსწრაფესი გოლი

ოთხშაბათს როი მაკაიმ "რეალს" გოლი მე-11 წამდე გაუტანა და არსენალელი ჟილბერტო სილვას რეკორდი 9 წამით გააუმჯობესა. გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის 10 უსწრაფესი გოლის ჩამონათვალს.

| ფეხბურთელი | თარიღი | მატჩი | დრო (წმ) |
|---|---|---|---|
| როი მაკაი (ბაიერნი) | 07.07.2007 | რეალთან 2:1 | 10.03 |
| ჟილბერტო სილვა (არსენალი) | 25.09.2002 | ეინდჰოვენთან 4:0 | 20.07 |
| ალესანდრო დელ პიერო (იუვენტ.) | 01.10.1997 | მანჩესტერთან 2:3 | 20.12 |
| კლარენს ზეედორფი (მილანი) | 28.09.2005 | შალკესთან 2:2 | 21.06 |
| მარეკ კინსლი (რაპიდი, ვენა) | 02.11.2005 | ბრიუგესთან 2:3 | 25.20 |
| მარიანო ბომბარდა (ვილემ II) | 20.10.1999 | სპარტასთან 3:4 | 28.21 |
| ალექს ალექსუდისი (პანათ.) | 22.11.1995 | ოლბორგთან 2:0 | 28.46 |
| დეკუ (პორტუ) | 26.11.1999 | მოლდესთან 3:1 | 30.08 |
| კრისტიან ხიმენესი (ბაზელი) | 26.11.2002 | მანჩესტერთან 1:3 | 31.04 |
| ანდი ვან დერ მეიდე (აიაქსი) | 19.03.2003 | რომასთან 1:1 | 35.10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# ნიუკასლი, ალკმაარის ბოლო გაჩერება?

## არველაძემ და კომპანიამ თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს...

**ლანსი-ლევერკუზენი 2:1**

**ლანსი:** იტანჯი, ა. კულიბალი, ჰილტონი, კარიერი, დემონი, სიდი კეიტა (80. მონე-პაკე), სეიდუ კეიტა, ტიქსიე, კუზენი (71. ჟემაა), დინდანი, მონტერუბიო (72. ა. ბუხარი).

**ლევერკუზენი:** ადლერი, ჰაგი, ჟუანი, ბაბიჩი, ბარბარესი, ბარნეტა (80. კისლინგი), კასტრო, რამელოვი, როფლესი, შნაიდერი (90. ფრაიერი), ვორონინი (70. კალსენ-ბრაკერი).

**გოლები:** 1:0 მონტერუბიო (17), 1:1 ჰაგი (52), 2:1 კუზენი (70-პენ).

**გაძევება:** ჰაგი (69. ლევერკუზენი).

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 29 200.

**მაკაბი-ესპანიოლი 0:0**

**მაკაბი:** დავიდოვიჩი, ჰარაზი, კეინანი, მარგალიშვილი, ანდერსონი, ბოკოლი, დირსეუ, რაფაელოვი (86. გაზალი), სოანი, კოლაუტი, კატანი (70. არბაიტმანი).

**ესპანიოლი:** ირაისოლა, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, მოისესი, ტორეხონი, დე ლა პენია (63. კოსტა), მოა (74. რიერა), ლუის გარსია (85. კორომინასი), პანდიანი, რუფეტე.

**გაფრთხილება:** 1-2.

**მაყურებელი:** 14 700.

**ნიუკასლი-ალკმაარი 4:2**

**ნიუკასლი:** გივენი, ბრემბლი, კარი, ტეილორი, ბატი, დაფი (77. ემრე), დაიერი, პარკერი, სოლანო, მარტინსი, სიბირსკი (65. მილნერი).

**ალკმაარი:** ვატერმანი, დე კლერი, იალენსი, ოპდამი, სტეინსონი, დე ზეეუვი, იენერი (65. ლენსი), მარტენსი (59. დემბელე), ნ. ბუხარი (83. ლუირინკი), არველაძე, კუვერმანსი.

**გოლები:** 1:0 სტეინსონი (8-საკ. კარში), 2:0 დაიერი (22), 3:0 მარტინსი (23), 3:1 არველაძე (31), 4:1 მარტინსი (37), 4:2 კუვერმანსი (73).

73-ე წუთზე დემბელემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 28 452.

**სევილია-შახტარი 2:2**

**სევილია:** პალოპი, ნავარო, ალვეში, ესკუდე, ალფარო (46. კორეია), დუდა, მარტი (57. ლუიშ ფაბიანო), პოულსენი, პეურტა, კერჟაკოვი, ნავასი (67. მარესკა).

**შახტარი:** შუსტი, ჩიგრინსკი, ჰუბშმანი, შევჩუკი, დულიაი, ელანო (68. ჟადსონი), ფერნანდინიო, მათუსალემი, სრნა, ბრანდაუ, ბელიკი (75. გაი).

**გოლები:** 1:0 მარტი (8-პენ), 1:1 ჰუბშმანი (19), 1:2 მათუსალემი (60-პენ), 2:2 მარესკა (88-პენ).

**გაფრთხილება:** 3-4.

**მაყურებელი:** 20 000.

**სელტა-ვერდერი 0:1**

**სელტა:** ესტებანი, ლეკი, პლასენტე, ტამასი, იაგო, გუსტავო ლოპესი, კანობიო, ანდერსონ კარვალიო (46. ბაიანო), პაბლო გარსია, ჯონათანი, ნუნიესი (74. დე რიდერი).

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე, იენსენი, ვრანიეში, ფრინგსი, დიეგო (65. შულცი), ჰანტი, კლოზე (65. უგო ალმეიდა).

**გოლი:** 0:1 უგო ალმეიდა (84).

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 6 360.

**პსჟ-ბენფიკა 2:1**

**პსჟ:** ლანდრო, არმანი (79. დრამი), მენდი, როზენალი, შანტომი, სისე, როტენი (61. გალიარდო/73. ლუინდულა), სახო, ფრო, კალუ, პაულეტა.

**ბენფიკა:** კუიმი, კლებერი, ლეო, ლუიზაო (33. დავიდ ლუიში), ნელსონი, კოიმბრა (72. ბეტუ), კარაგუნისი, პეტი, სიმაო, დერლეი (68. ნუნუ გომეში), მიკოლი.

**გოლები:** 0:1 სიმაო (9), 1:1 პაულეტა (36), 2:1 ფრო (41).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 25 000.

**რეინჯერსი-ოსასუნა 1:1**

**რეინჯერსი:** კლოსი, ეჰიოგუ, ჰატონი, უეირი, ადამი (46. ნოვო), ბერკი, ფერგიუსონი, ემდანი, მიურეი, ტომპსონი (66. პრშო), ბოიდი (87. სებო).

**ოსასუნა:** რიკარდო, კუელიარი, ფლანო, ისკიერდო, მონრეალი, რაულ გარსია, ხუანლუ (77. ხუანფრანი), დავიდ ლოპესი, ნექუნამი, მუნიოსი, ვებო (82. რომეო).

**გოლები:** 0:1 რაულ გარსია (17), 1:1 ემდანი (90)

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 50 290.

**ბრაგა-ტოტენჰემი 2:3**

**ბრაგა:** პაულო სანტოსი, ლუის ფელიპე, პაულო ჟორჟე, როდრიგესი, კარლოს ფერნანდესი, ანდრადე, ჟოაო პინტუ (80. მასიელი), კაშტანეირა, გამა (69. კესინია), ზე კარლოსი, ვენდერი (69. დიეგო).

**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, შიმბონდა, დოუსონი, ა. გარდნედი, ლი, ლენონი, ტაინიო (74. ჰადლსტონი), ზოკორა, მალბრანკი, ვერბატოვი, რობი კინი.

**გოლები:** 0:1 რობი კინი (57), 0:2 მალბრანკი (72), 1:2 პაულო ჟორჟე (76), 2:2 ზე კარლოსი (81), 2:3 რობი კინი (92).

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 20 000.

პირველი მერვედფინალური მატჩებიდან ყველაზე საინტერესო და უხვგოლიანი "ნიუკასლისა" და **შოთა არველაძის** "ალკმაარის" დაპირისპირება გამოვიდა. ჰოლანდიური კლუბი საკუთარ მოედანზე ევროტურნირების ბოლო 28 შეხვედრაში არ დამარცხებულა. შესაბამისად, ცხადი იყო, რომ თუ ინგლისელებს ამ ბარიერის დაძლევა სურთ, საშინაო მატჩში უნდა მოეპოვებინათ საჭირო უპირატესობა. ასეც მოხდა: პირველ ტაიმში **გლენ როუდერის** გუნდმა AZ-ს ჯოჯოხეთი მოუწყო. თავად განსაჯეთ: 23-ე წუთისთვის "კაჭკაჭები" უკვე 3:0-ს იგებდნენ, "ალკმაარი" კი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მე-8 წუთზე **კირონ დაიერის** ჩაწოდების შემდეგ, **ობაფემი მარტინსმა** ალკმაარელი **სტეინსონი** წნეხის ქვეშ მოაქცია და ფაქტობრივად აიძულა, ბურთი საკუთარ კარში შეეგდო. სტეინსონის ავტოგოლის შემდეგ **ლუის ვან გაალის** ბიჭებმა მოედნის ცენტრის დაუფლება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. პირიქით, "ნიუკასლმა" კიდევ ორჯერ დალაშქრა **ვატერმანის** კარი და ორივე შემთხვევაში საგოლე გადაცემის ავტორად **ანტუან სიბირსკი** მოგვევლინა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ მოედანზე. 22-ე წუთზე მისი გადაცემით დაიერმა იხეირა, 23-ე წუთზე კი მარტინსმა, რომელიც, სანამ დარტყმას შეასრულებდა, **იალიენსსა** და **ოპდამს** გასცდა.

ნიგერიელის გოლიდან ზუსტად 8 წუთში "ალკმაარმა" სხვაობა შეამცირა. **იენერის** ზუსტი და გამოზომილი ჩაწოდების შემდეგ არველაძემ პოზიცია ძალიან კარგად შეარჩია, მცველებს დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით ბურთი **შეი გივენის** კარში ჩააჭედა. მაგრამ შოთას გოლით გამოწვეული სიხარული ვან გაალს მალევე დაუცხრა: 37-ე წუთზე მარტინსმა "ნიუკასლის" სამბურთიანი უპირატესობა აღადგინა, გაიტანა რა მე-6 გოლი უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში. მეორე ტაიმში როუდერის შეგირდები ოდნავ დაწყნარდნენ. არცაა გასაკვირი, რადგან 4:1 ის ანგარიში იყო, რომელიც ინგლისელებს ნამდვილად აწყობდათ. "ალკმაარმა" კი შეტევებს უმატა და საბოლოოდ სანადელს კიდევ ერთხელ მიაღწია: 73-ე წუთზე **სტივენ ტეილორმა** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯმა მაშინვე დანიშნა პენალტი, რომლის შესრულებაც **მუსა დემბელემ** ითავა. ამ უკანასკნელის დარტყმა (უნდა აღინიშნოს, რომ დემბელემ თერთმეტმეტრიანი ძალიან ცუდად შეასრულა) გივენმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე **კუვერმანსმა** მაინც იხეირა და "ალკმაარს" განმეორებითი მატჩის წინ იმედი შეუნარჩუნა. ახლა არველაძემ და კომპანიამ საკუთარ კედლებში ორბურთიანი უპირატესობით უნდა მოიგონ.

უეფას თასის ფავორიტად შერაცხულმა "ვერდერმა" ვიგოში კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ დატოვა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოიგო და განმეორებითი მატჩის წინ ალბათ ცოტა თუ იტყვის, რომ "ვერდერი" მოსკოვის "სპარტაკის" გამგდები "სელტის" ბარიერს ვერ დაძლევს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებენ, რომ **მიროსლავ კლოზემ** ისევ ვერ შეძლო გოლის გატანა. მიროს ევროტურნირებზე ბოლო გოლი 2005 წლის 7 დეკემბერს, აეკ-თან აქვს გატანილი (5:1) და ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე 975 წუთიანი მშრალი სერია გამოაცხო, რაც ამბიციური თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. ექსპერტები კლოზეს კრიზისს იმასაც აბრალებენ, რომ მირო წნეხის ქვეშაა მოქცეული, რადგან ჯერ არ გადაუწყვეტია, ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელოს თუ ზაფხულში რომელიმე ევროპულ გრანდში გადავიდეს.

მიუხედავად ტრავმისა, ვიგოში მაინც ითამაშა **ტორსტენ ფრინგსმა**. ისე კი, ბრემენელთა მხრიდან თუ ვინმეზე ითქმის, საუკეთესო იყოო, პირველ რიგში **აარონ ჰანტზე**, რომელსაც პირველ ტაიმში ორჯერ შეეძლო გოლის გატანა. ჰანტმა, რომელმაც წინა შაბათს "ბოხუმთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა, მე-19 წუთზე ბურთი ვოგოელთა კარის ძელს მოარტყა, მანამდე კი მისი დარტყმა "სელტის" მეკარე **ესტებანმა** მოიგერია. ესპანელებს გოლის გატანა 37-ე წუთზე შეეძლოთ, მაგრამ **ნუნიესის** თავური დარტყმა **ტიმ ვიზემ** შესანიშნავ ნახტომში უკუაგდო. მე-40 წუთზე **დიეგოს** პასის შემდეგ კლოზეს ზემოთ ხსენებული მშრალი სერიის შეწყვეტა შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დიდხანს იფიქრა და საბოლოოდ ვერაფერს გახდა. შესაბამისად, 67-ე წუთზე **თომას შააფმა** მირო მოედნიდან გაიყვანა, მის ნაცვლად კი თამაშში **უგო ალმეიდა** ჩართო და "ვერდერს" სწორედ ამ ცვლილებამ მოაგებინა. მატჩის მიწურულს, კერძოდ კი 86-ე წუთზე, როცა ყველა ფიქრობდა, რომ შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდებოდა, **პიერ ვომეს** ჩაწოდებას სწორედ ალმეიდა გამოეხმაურა და 7 მეტრიდან ბურთი თავით ესტებანის კარში გადაგზავნა. მოკლედ, 1:0 ვიგოში, რაც იმას ნიშნავს, რომ "მუსიკოსები" ფაქტობრივად მეოთხედფინალში არიან. არასახარბიელო თამაშისთვის კი "ვერდერს" ნამდვილად ვერ დავძრახავთ, რადგან კვირას ამ გუნდს უმნიშვნელოვანესი ჯახი ელის "ბაიერნთან", მიუნხენში.

მეორე გერმანული კლუბი "ლევერკუზენი" "ლანსთან" დამარცხდა, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ განმეორებითი მატჩის წინ "ფარმაცევტებს" მეოთხედფინალში გასვლის არცთუ ურიგო შანსი აქვთ - 1:2. "ბაიერისთვის" ტრაგიკული ფიგურა გახლდათ მცველი **კარიმ ჰაგი** და ახლავე გეტყვით რატომაც: ჯერ იყო და "ლანსის" ფორვარდ **მონტერუბიოს** ანგარიშის გახსნაში ხელი ვერ შეუშალა (17-ე წუთზე ამ უკანასკნელთან გადამწყვეტი საჰაერო ორთაბრძოლა წააგო), მერე შეცდომა გამოსწორა და წონასწორობა თავადვე აღადგინა (52-ე წუთზე), ბოლოს კი მოედნიდან გააძევეს და ამავე დროს პენალტიც აიკიდა, რომელიც **კუზენმა** გოლად აქცია.

უეფას თასის კიდევ ერთმა ფავორიტმა, "სევილიამ", რომელმაც გასულ უქმეებზე "ბარსელონის" დამარცხებით პრიმერადივიზიონის ლიდერობა მოიპოვა, საკუთარ მოედანზე დონეცკის "შახტარს" ვერ მოუგო (2:2) და განმეორებითი მატჩის წინ ამ წყვილის ფავორიტი აღარ არის. სევილიელები თავიდან იგებდნენ (**მარტიმ** პენალტით გახსნა ანგარიში), მაგრამ **მირჩა ლუჩესკუს** გაწვრთნილმა დონეცკელებმა ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ტოლი არაფერში დაუდეს, ჯერ წონასწორობა აღადგინეს (**ჰუბშმანი** მე-19 წუთზე), მერე კი დაწინაურდნენ კიდეც (**მათუსალემი**, მე-60 წუთზე, პენალტით). მაგრამ "სევილიამ" წონასწორობა მაინც აღადგინა და ისევ თერთმეტმეტრიანით, რომელიც მატჩის მიწურულს **ენცო მარესკამ** გაიტანა.

ვერ მოიგეს სხვა ესპანურმა კლუბებმაც, "ესპანიოლმა" და "ოსასუნამ". კატალონიელები მოსკოვის ცსკა-ს გამომგდებ ჰაიფას "მაკაბის" სტუმრობდნენ და უგოლო ფრეს დასჯერდნენ, რის გამოც განმეორებითი მატჩის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვთ. "ოსასუნას" კი გაცილებით რთული ამოცანა ჰქონდა, რადგან ეს გუნდი გლაზგოს "რეინჯერსს" სტუმრობდა, თანაც წამყვანი ფორვარდის, **რობერტო სოლდადოს** (ტრავმა) გარეშე. მიუხედავად ამისა, "ოსასუნა" იგებდა და შოტლანდიურმა გრანდმა ანგარიშის გათანაბრება ბოლო წუთზეღა მოახერხა: **რაულ გარსიამ** ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა, რასაც **ემდანიმ** 90-ე წუთზე უპასუხა.

პსჟ-მ, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატში 19 წლის შემდეგ პირველად მოხვდა გასავარდნ ზონაში და უმძიმესი დროება უდგას, სენსაციური შედეგი დააფიქსირა და ლისაბონის "ბენფიკა" 2:1 დაამარცხა. თავიდან პორტუგალიელები დაწინაურდნენ (მე-9 წუთზე **სიმაომ** იხეირა), მაგრამ პსჟ-მ პირველივე ტაიმში შემოატრიალა თამაში: 36-ე წუთზე წონასწორობა **პედრო პაულეტამ** აღადგინა, 41-ე წუთზე კი გოლი, რომელიც საბოლოოდ გადამწყვეტი გამოდგა, **ფრომ** შეაგდო.

ყველაზე გვიან კი პორტუგალიის კიდევ ერთი წარმომადგენლის, "პარმას" გამომგდები "ბრაგასა" და "ტოტენჰემის" მატჩი გაიმართა. ინგლისელები **რობი კინისა** და **მალბრანკის** გოლებით 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხეს (**პაულო ჟორჟე** და **ზე კარლოსი**), თუმცა კინმა "მამლებს" მაინც მოაგებინა - ირლანდიელმა თავდამსხმელმა გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე გაიტანა. საბოლოოდ 3:2 და ალბათ ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ "ტოტენჰემი" მეოთხედფინალში ითამაშებს.



ნიუკასლი-ალკმაარი. ნიგერიელ ობაფემი მარტინსს გოლი გააქვს ჰოლანდიელთა კარში



ბაიერნისა და ვერდერის მატჩში ხვალაც დიდი ბრძოლა იქნება

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტურის წინ

# ხვალ კლასიკაა: ბაიერნი vs ვერდერი!

## რეალის შემდეგ რეკორდმაისტერი ბრემენელთა გამწარებასაც აპირებს

**გუშინ**

**ნიურნბერგი-აინტრახტი** *იხ. მე-15 გვერდზე*

**დღეს**

**ჰანოვერი-შალკე**
**ბორუსია (მ)-ჰერტა**
**ბოხუმი-ბორუსია (დ)**
**მაინცი-არმინია**
**შტუტგარტი-ვოლფსბურგი**
**კოტბუსი-ალემანია**

**ხვალ**

**ბაიერნი-ვერდერი**
**ჰამბურგი-ლევერკუზენი**

ზედიზედ ორი მოგება ბუნდესლიგაში ("ვოლფსბურგთან" და "ჰერტასთან"), ასევე მადრიდის "რეალის" გაგდება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან - თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბაიერნი" დაბრუნდა. მაგრამ იმისთვის, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი კვირა რეკორდმაისტერმა სრულყოფილად დაასრულოს, ახლა "ვერდერის" დამარცხება საჭირო. მოტივაციის არქონას მიუნხენელები ნამდვილად არ უჩივიან: ბოლო დროს "ვერდერმა" არაერთხელ გაამწარა მიუნხენური გუნდი და დროა, ბავარიელებმა შური იძიონ. პირველ წრეში "ბაიერნი" "ვეზერშტადიონზე" 1:3 დამარცხდა და თანაც ძალიან ცუდად ითამაშა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში "ბაიერნს" **ფელიქს მაგათი** წვრთნიდა, ახლა კი რეკორდმაისტერის დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდია**, რომელიც ამბობს, "ვერდერი" აუცილებლად უნდა დავამარცხოთო. ბავარიული გიგანტი "რეალთან" ჯახის შემდეგ გადაღლილი და ემოციებისგან დაცლილია, მაგრამ არც **თომას შააფის** გუნდია დასვენებული - "მუსიკოსებმა" ხუთშაბათს უეფას თასზე ითამაშეს (ვიგოში "სელტა" 1:0 დაამარცხეს).

"ბაიერნი" ისევ მეოთხე ადგილზეა, მაგრამ "ვერდერს" სულ რაღაც სამი ქულით ჩამორჩება ("შალკეს" ექვსით) და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობის შენარჩუნებაზე უკვე სერიოზული განაცხადის გაკეთება შეუძლია. მიუნხენში ჩატარებულ მატჩებში "ბაიერნს" დიდი უპირატესობა აქვს: ბავარიელებმა "ვერდერს" 40-ჯერ უმასპინძლეს. 27 შემთხვევაში გამარჯვება მიუნხენელებს დარჩათ, 7 მატჩი ფრედ დასრულდა, "ვერდერმა" კი ბავარიის მთავარ ქალაქში მხოლოდ 6-ჯერ მოიგო (ბურთების შეფარდება 94:41).

აღსანიშნავია, რომ მიუნხენურ გიგანტს არცერთი ფეხბურთელი აღარ ჰყავს დაშავებული ან დისკვალიფიცირებული. საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ძირითად გუნდს შეუერთდა **ვალერიან ისმაელი**. ბრემენელებს კი ლაზარეთში **ბაუმანი, ბოროვსკი** და **კლასნიჩი** ჰყავთ. აქვე გაეცანით სავარაუდო შემადგენლობებსაც:

***ბაიერნი***: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი.

***ვერდერი***: ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე, ვრანიეში, ფრინგსი, დ. იენსენი, დიეგო, კლოზე, ჰანტი.

ხვალვე ზედიზედ ოთხი მატჩის მომგები და საიქიოდან მობრუნებული "ჰამბურგი" "ლევერკუზენს" უმასპინძლებს, რომელიც უეფას თასზე "ლანსთან" დამარცხდა (1:2). HSV-ს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა: **იაროლიმი** დისკვალიფიცირებულია, **დემელი, სორინი, ატუბა** და **აბელი** კი დაშავებულები არიან. და რაც მთავარია, უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ასპარეზობაც.

შეწყვეტს თუ არა "შალკე" წარუმატებელ სერიას (მხოლოდ 1 ქულა ბოლო 3 შეხვედრაში, ამასთან ზედიზედ ორი საშინაო მარცხი)? გელზენკირხენელები ამჯერად ჰანოვერში ჩადიან და ხვდებიან გუნდს, რომელსაც უეფას თასის საგზურის მოპოვება უნდა. "ჰანოვერი" წინა ტურში "აინტრახტთან" დამარცხდა (0:2), თუმცა ამ გუნდს "შალკესთვის" პრობლემების შექმნა ნამდვილად შეუძლია. შეგახსენებთ, რომ **კობიაშვილის** გუნდს **ვარელა, ლოვენკრანდსი, ლინკოლნი** და **პანდერი** აკლია. ამას დაემატა **დარიო როდრიგესის** დისკვალიფიკაციაც - ურუგვაელმა "ჰამბურგთან" მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან მოსალოდნელზე ადრე დაბრუნდა **ჯერალდ ასამოა**, რომელიც დღეს უკვე განაცხადში იქნება. აღსანიშნავია, რომ "ჰანოვერს" "შალკესთან" ბოლო 4 საშინაო მატჩიდან, 3 წაგებული აქვს.

მესამე ადგილზე მყოფი "შტუტგარტი" "ვოლფსბურგს" მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში პოზიციების გამყარების შანსი უჩნდება, მით უმეტეს, რომ შვაბთა უშუალო კონკურენტები, "ბაიერნი" და "ვერდერი" ერთმანეთს ხვდებიან. იმასაც გეტყვით, რომ VFB-ს **მარიო გომესი** დაუბრუნდა და მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი დღეს აუცილებლად ითამაშებს. დორტმუნდის "ბორუსია" ბოხუმში ჩადის და ეს რურის მცირე დერბი გახლავთ. საკუთარ მოედანზე "კოტბუსთან" განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ "დორტმუნდი" იმ გუნდებს შეუერთდა, რომლებიც ელიტაში დასარჩენად იბრძვიან. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, თუ "ბორუსია" ისევ დამარცხდება, გუნდის ხელმძღვანელები **იურგენ რიობერს** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნიანო.

ბოლოადგილოსანი "მეორე ბორუსია" "ჰერტას" მასპინძლობს და ეს თამაში მიონხენგლადბახელთა ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. ბუნდესლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი წყდება დანარჩენ ორ მატჩშიც: "მაინცი"-"არმინია", "კოტბუსი"-"ალემანია".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 24 | 15 | 4 | 5 | 40-24 | 49 |
| 2. ვერდერი | 24 | 14 | 4 | 6 | 58-32 | 46 |
| 3. შტუტგარტი | 24 | 13 | 6 | 5 | 42-29 | 45 |
| 4. ბაიერნი | 24 | 13 | 4 | 7 | 38-29 | 43 |
| 5. ნიურნბერგი | 24 | 8 | 12 | 4 | 34-22 | 36 |
| 6. ლევერკუზენი | 24 | 10 | 5 | 9 | 39-35 | 35 |
| 7. ჰერტი | 24 | 9 | 7 | 8 | 35-38 | 34 |
| 8. ჰანოვერი | 24 | 9 | 6 | 9 | 32-36 | 33 |
| 9. ვოლფსბურგი | 24 | 6 | 10 | 8 | 24-28 | 28 |
| 10. ბორუსია (დ) | 24 | 7 | 7 | 10 | 29-35 | 28 |
| 11. კოტბუსი | 24 | 7 | 7 | 10 | 28-34 | 28 |
| 12. ჰამბურგი | 24 | 5 | 12 | 7 | 29-27 | 27 |
| 13. ალემანია | 24 | 7 | 6 | 11 | 37-45 | 27 |
| 14. მაინცი | 24 | 6 | 9 | 9 | 22-35 | 27 |
| 15. არმინია | 24 | 6 | 8 | 10 | 31-33 | 26 |
| 16. აინტრახტი | 24 | 5 | 11 | 8 | 30-42 | 26 |
| 17. ბოხუმი | 24 | 6 | 6 | 12 | 27-39 | 24 |
| 18. ბორუსია (მ) | 24 | 5 | 6 | 13 | 18-30 | 21 |

იტალია. სერია A. XXVIII ტურის წინ

# მილანური დერბი: რონალდო წარსულის წინააღმდეგ

**დღეს**

**სამპდორია-კალიარი**

**ხვალ**

**ატალანტა-პარმა**
**ემპოლი-ლივორნო**
**ინტერი-მილანი**
**კიევო-მესინა**
**პალერმო-ფიორენტინა**
**რეჯინა-ლაციო**
**სიენა-ასკოლი**
**ტორინო-კატანია**
**რომა-უდინეზე**

ხვალ "სან სიროზე" სერია A-ს წლის მატჩია. მილანური დერბი, იგივე "დერბი დელა მადონინა". მიუხედავად იმისა, რომ "ინტერი" და "მილანი" სკუდეტოს კონკურენტები არ არიან, ამ თამაშისგან მაინც ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ელიან, მით უმეტეს წელს, როცა "იუვენტუსი" არ არის და მით უმეტეს ამ მომენტში, როცა იტალიაში მონსტრად ქცეული "ინტერი" ჩემპიონთა ლიგიდან გამოაძევეს, "მილანმა" კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ევროპულობა და ზედიზედ მეხუთედ მეოთხედფინალში გავიდა. შესაბამისად, უფრო ამაღლებული განწყობა "მილანშია", რომელიც ამჯერად სტუმრის სტატუსით ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ "მეაცაზე" სამჯერ მეტი "ინტერის" ტიფოზი იქნება. განსაკუთრებული ხიბლი ამ დერბის მაინც იმით აქვს, რომ მოედანზე პირველივე წუთიდან იქნება **რონალდო**, ექსინტერისტა, რომელიც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშებს. დიდი სტვენისა და ლანძღვა-გინების ატანა რომ მოუწევს "ფენომენს", ეს უკვე გარანტირებულია, აი, გოლიც თუ გაიტანა...

პირველი წრის დერბი მართლაც რომ სათავგადასავლო გამოდგა. "ინტერი" პირველი 70 წუთის განმავლობაში დომინირებდა, ჯერ 3:0-ს იგებდა, მერე 4:1 და საბოლოოდ 4:3 მოიგო. სწორედ იმ გამარჯვებას უწოდებდა **რობერტო მანჩინი** გარდამტეხს, რის შემდეგაც "ინტერი" შეუჩერებელი გახდა და ზედიზედ 17 გამარჯვებამდე მივიდა. "ნერაძურის" ეს სარეკორდო სერია ბოლოსწინა ტურში "სან სიროზე" "უდინეზესთან" ნათამაშები 1:1-ით შეწყდა, თუმცა გასულ შაბათს მანჩინის გუნდმა ისევ მოიგო (ლივორნოში 2:1). მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმა "შავლურჯებმა" სამშაბათს მიიღეს, როცა ვალენსიაში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობნენ. "ინტერს" ჩემპიონატში ჯერ არ წაუგია, თუმცა ურიგო შედეგი ამ მხრივ არც "მილანს" აქვს: **ანჩელოტის** გუნდი ზედიზედ 15 ტურია არ აგებს. ბოლოს "როსონერიმ" შინ "კიევოს" 3:1 მოუგო. "ინტერს" ხვალ დისკვალიფიცირებული **მაიკონი** და დაშავებული **ვიეირა** არ ეყოლება. თამაშს ალბათ, ვერც **ბურდისო** შეძლებს, ვალენსიაში **ნავაროს**-გან მიღებული მუშტის შემდეგ. **კამბიასომ** და **ადრიანომ** გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშეს, მაგრამ ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, შეძლებენ თუ არა კვირას ძირითად შემადგენლობაში გამოსვლას. მარჯვენა მცველად მაიკონის ადგილზე ალბათ **ძანეტი** დაბრუნდება, ცენტრში კი კაპიტნის გამოთავისუფლებულ პოზიციაზე **სტანკოვიჩი** ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამთამაშებლად შეიძლება, **ფიგუ** ვიხილოთ. შეტევაში, სავარაუდოდ, **იბრაჰიმოვიჩი-კრუსის** წყვილი დაიწყებს. "მილანს" ტრავმის გამო **კალაძე** დააკლდება. დაცვის ცენტრში **ბონერას** მეწყვილე **მალდინი** ან **შიმიჩი** იქნება. ოთხშაბათს "სელტიკთან" დამატებით დროში მოგებულ შეხვედრაში (1:0) **ინძაგიმ** ძირითადში ითამაშა, ხვალ პიპო ალბათ თადარიგში დარჩება, "მილანი" კი რონალდო-**ჯილარდინოს** დუეტით შეუტევს. ხვალ გუნდები სავარაუდოდ ასეთი შემადგენლობებით ითამაშებენ:

***ინტერი***: ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, მატერაცი, გროსო, სტანკოვიჩი, დაკური, მაქსველი, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრუსი

***მილანი***: დიდა, ოდო, ბონერა, შიმიჩი, იანკულოვსკი, პირლო, გატუზო, ბროკი, კაკა, რონალდო, ჯილარდინო.

დერბის მასპინძელი "ინტერი" სერია A-ში სულ 72-ჯერ იყო. აქედან 23 შეხვედრა "შავ-ლურჯებმა" მოიგეს, 22 "შავ-წითლებმა", 27-ჯერ კი ფრე დაფიქსირდა.

ტურს ღამით "რომა"-"უდინეზეს" შეხვედრა დაასრულებს. 23-წლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში დაბრუნებამ "ჯალოროსი" და მისი ტიფოზერია ეიფორიამდე მიიყვანა. ამ მიღწევას ნახევარი რომი ზეიმობს და **ლუჩანო სპალეტიც** სამართლიანად შიშობს, რომ გადამეტებულმა სიხარულმა ფეხბურთელებს კონცენტრაცია არ დააკარგვინოს. თუმცა "ოლიმპიკოზე" "რომა" ბრწყინვალეა და ამაზე მეტყველებს ისიც, რომ გუნდმა ზედიზედ რვა საშინაო შეხვედრაში გაიმარჯვა. პირველ წრეში "რომამ" უდინეში 1:0 მოიგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 26 | 22 | 4 | 0 | 57-21 | 70 |
| 2. რომა | 26 | 16 | 6 | 4 | 52-21 | 54 |
| 3. პალერმო | 27 | 13 | 6 | 8 | 41-32 | 45 |
| 4. ლაციო | 26 | 13 | 7 | 6 | 41-19 | 43 |
| 5. ემპოლი | 26 | 11 | 8 | 7 | 25-22 | 41 |
| 6. მილანი | 26 | 13 | 9 | 4 | 36-22 | 40 |
| 7. ფიორენტინა | 26 | 15 | 5 | 6 | 44-23 | 35 |
| 8. სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33-33 | 33 |
| 9. უდინეზე | 26 | 8 | 8 | 10 | 29-34 | 32 |
| 10. კატანია | 27 | 8 | 8 | 11 | 35-49 | 32 |
| 11. ატალანტა | 26 | 7 | 10 | 9 | 39-38 | 31 |
| 12. ლივორნო | 26 | 6 | 10 | 10 | 25-37 | 28 |
| 13. სიენა | 26 | 5 | 13 | 8 | 24-30 | 27 |
| 14. კალიარი | 26 | 5 | 11 | 10 | 20-29 | 26 |
| 15. ტორინო | 26 | 6 | 7 | 13 | 20-39 | 25 |
| 16. კიევო | 26 | 5 | 8 | 13 | 28-38 | 23 |
| 17. მესინა | 26 | 5 | 8 | 13 | 27-42 | 23 |
| 18. რეჯინა | 26 | 8 | 9 | 9 | 32-36 | 22 |
| 19. პარმა | 26 | 3 | 9 | 14 | 22-45 | 18 |
| 20. ასკოლი | 26 | 2 | 9 | 15 | 19-38 | 16 |



რონალდო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს



მასიმო მორატი

შეხვედრა წარსულთან

# რონალდო: მორატი ძველებურად მიყვარს

## მორატი: დერბიში დამიმტკიცოს...

კვირას მილანური დერბია - "ინტერი" მასპინძლის როლში, ანუ "სან სიროს" ორი მესამედი შავ და ლურჯ ფერებში. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ წამს, როცა **რონალდო** მინდორზე ფეხს შედგამს, "მეაცას" გამაყრუებელი სტვენის ხმა დაფარავს. "ფენომენმა" ეს ყველაფერი კარგად იცის. იცის, რომ ინტერისტებმა დიდი ხანია მოღალატის ეტიკეტი მიაკერეს, მაგრამ ამბობს, რომ ამის გამო არანაირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ განიცდის. მეტიც, ჟურნალ "პანორამასთვის" მიცემულ ინტერვიუში, "კიჟა" ყვება, თუ როგორი სათაურები უნდა, რომ იხილოს დერბის შემდგომ დღეს გაზეთების პირველ ფურცლებზე - "რონალდო შოუ", "რონალდო და სპექტაკლი "სან სიროზე". რონალდომ მილანური გამოცდა უკვე ჩააბარა, შეუძლია, მხოლოდ მომავალზე იფიქროს და დაივიწყოს ყველაფერი ცუდი, რაც ბოლო დროს იყო. ამის მიუხედავად, ბრაზილიელი **კაპელოს** "რეალიდან" გაშვებას ვერ პატიობს და კიდევ ერთხელ გამოთქვამს უარყოფით აზრს იტალიელ მწვრთნელზე: *"ფეხბურთელებთან ურთიერთობაში კაპელო აშკარად ჩამორჩა. გავიგე, უთქვამს, რომ იტალიური ფეხბურთი ესპანურთან შედარებით პრიმიტიულიაო, მაგრამ ამით ხომ საკუთარ წარსულს უარყოფს: თითქმის ყველა ტიტული იტალიაში მოიგო"*.

აღნიშნულ ინტერვიუში რონალდო "ინტერზეც" საუბრობს. **ადრიანოს** კრიტიკოსებისგან იცავს და ამბობს, რომ **მორატისთან** ისეთივე თბილი ურთიერთობა აქვს, როგორც ადრე, როცა მასიმოს შვილობილს ეძახდნენ: *"ვიცი, რომ ჩემს წინააღმდეგ მკაცრი განცხადებები გააკეთა, მაგრამ საჯაროდ ასე უნდა ეთქვა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. პირად ურთიერთობაში სიტუაცია სულ სხვაა, ჩემი "ინტერიდან" წასვლის შემდეგ ერთმანეთს ტელეფონით სულ ველაპარაკებოდით. მორატი დღესაც ძველებურად მიყვარს"*. რონალდოს ამ სასიყვარულო განცხადებების შესახებ იტალიელმა ჟურნალისტებმა მორატის სასწრაფოდ მოახსენეს, რასაც "ინტერის" მეპატრონე ენამოსწრებული ხუმრობით გამოეხმაურა: *"თუ ვუყვარვარ, კვირას დერბიში დამიმტკიცოს..."*

ინტერვიუ ადრიანო გალიანისთან

# ევროპისთვის ვართ დაბადებული

## ვიცე-პრეზიდენტი ადასტურებს, რომ მილანს რონალდინიოს გარდა, ბუფონიც უნდა, თუმცა კაკას გაუჩოში არ გაცვლიდა

**"მილანი" საკუთარ თავს ეძებდა და მარტის ერთ მშვენიერ ოთხშაბათს მოულოდნელად აღმოაჩინა. "სელტიკთან" სანახაობრივ თამაშს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო ხასიათი, სულისკვეთება და, რაღა თქმა უნდა, შედეგი. ამიერიდან ყველაფერი უფრო იოლი უნდა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე სჯერა ადრიანო გალიანის, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს, რომელმაც ზაფხულის შემდეგ პირველად ისურვა პრესისთვის ვრცელი ინტერვიუს მიცემა. "კალჩოპოლის" სკანდალში "არაპირდაპირი" მონაწილეობისთვის გალიანი ფეხბურთს 9 თვით ჩამოაშორეს, მერე დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირეს, უფრო სწორად გააუქმეს. ეს 23 დეკემბერს მოხდა. მას შემდეგ გალიანიმ ოფიციალურად განაგრძო თავისი მოვალეობების შესრულება, თუმცა რეალურად ის არასდროს შეუწყვეტია. ერთხელ თავადაც იხუმრა, მხოლოდ ის შეიცვალა, რომ სტადიონზე ჰალსტუხის გარეშე დავდივარო. ახალი წლიდან "ულტრასმა" ვიცე-პრეზიდენტმა თავისი განუყრელი ყვითელი ჰალსტუხი ყელზე შეიბა და მილანში რონალდო ჩაიყვანა. გალიანის დიდი ორგანიზატორული ნიჭის აღიარება იყო ისიც, რომ გუშინ საფეხბურთო ლიგამ ის ფედერკალჩოს საბჭოში თავის წარმომადგენლად აირჩია. "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუს ვიცე-პრეზიდენტი მხოლოდ ახლა დათანხმდა, ახლა, როცა "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია და საკვირაო დერბისაც მშვენიერი განწყობით ხვდება.**



ადრიანო გალიანი იტალიელ ჟურნალისტს სახელდახელო ინტერვიუს აძლევს

**- გალიანი, როგორ აღნიშნეთ მეოთხედფინალში გასვლა?**

- რესტორანში ვივახშმეთ პრეზიდენტ ბერლუსკონისთან, ბრაიდასთან, ანჩელოტისა და რამდენიმე მეგობართან ერთად.

**- ბოლო ხუთ წელიწადში "მილანი" ყოველთვის გადის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. რაიმე საიდუმლო გაქვთ?**

- ვფიქრობ, რომ ამაში არის რაღაც შინაგანი ლოგიკა. იმავეს ადასტურებს, მაგალითისთვის, "ლივერპულის" ისტორიაც: ეს გუნდი ევროპაში ყოველთვის უფრო ძლიერად გამოდის, ვიდრე ინგლისში. ჩემთვის უპირველესი მიზანი ყოველთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალია, იქ გამარჯვება კი ხშირად დეტალებზე, ეპიზოდებზეა დამოკიდებული. 1989-დან 2006 წლამდე შვიდი ფინალი ვითამაშეთ, მსგავსი შედეგი არცერთ სხვა კლუბს არ ჰქონია. ევროპული ტიტული ბევრად მეტად ფასობს, ვიდრე იტალიის ჩემპიონობა. ეს 2004 წელსაც ვთქვი, როცა სკუდეტო მოვიგეთ. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მძიმე და უიღბლო სეზონის მიუხედავად, "მილანმა" მაინც შეძლო, ევროპაში თავისი კონკურენტუნარიანობის დამტკიცება. ოთხშაბათს საბოლოოდ გამოვედით იმ კოშმარიდან, რომელიც ზაფხულში დაიწყო. ჩვენ ახალი ფურცლიდან ვიწყებთ.

**- მერვედფინალებში მეტოქეების ძალები თანაბარი ჩანდა. აშკარა უპირატესობა არცერთ გუნდს არ ჰქონია, ყველას გაუჭირდა.**

- აბსოლუტურად გეთანხმებით. ყველა კარგად ემზადება, მეტოქეები ზედმიწევნით კარგად ჰყავთ შესწავლილი, იციან, რა დაუპირისპირონ კლასით უფრო მაღალ გუნდებს.

**- "სელტიკთან" შეხვედრაში რაიმე ასპექტს თუ გამოყოფდით ისეთს, რაც თქვენთვის განსაკუთრებულად სასიამოვნო იყო?**

- იმ ფეხბურთელების წვლილი, ვისაც 2003 წელს მანჩესტერულ ფინალში არ უთამაშია: კაკა, რა თქმა უნდა, მაგრამ ასევე იანკულოვსკი, ოდო და ბონერა. ამით საკადრისი პასუხი გავეცით მათ, ვინც "მილანის" სატრანსფერო კამპანიას აკრიტიკებს.

**- სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, რომ მთავარი ფავორიტი ახლა "მილანია".**

- თქვა, რომ ეს გუნდი, თავისი ისტორიით, ტრადიციებითა და კლასით, ყოველთვის უმაღლეს შედეგზე უნდა ფიქრობდეს. აბსოლუტური სიმართლეა.

**- დანარჩენი უკვე ანჩელოტის პრობლემებია... არ გეჩვენებათ, რომ მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისიცაა, რომ კარგად უღებს ალღოს ბერლუსკონის "ჩარევებს"?**

- კარლო საუცხოო მწვრთნელია და, ამ თვალსაზრისით, ძალიან უადვილებს საქმეს ის ფაქტი, რომ ჩვენთან თავადაც თამაშობდა. შეუძლია, რომ კარგად წაიკითხოს და სწორად გაშიფროს ბერლუსკონის სიტყვები, რომლებიც ყოველთვის "მილანის" საკეთილდღეოდ არის მიმართული.

**- არსებობს თუნდაც მიზერული შანსი, რომ ანჩელოტი სეზონის ბოლოს წავიდეს?**

- არა, გამორიცხულია. ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევი, რომ მომავალ სეზონში კარლო ჩვენი მწვრთნელი იქნება. "მილანის" ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ რთულ მომენტებში კლუბის შიგნით სტაბილურობა და მშვიდი ატმოსფერო არასოდეს ირღვევა. 1986 წლიდან მოყოლებული ფაქტობრივად სამი მწვრთნელი გვყავდა: საკი, კაპელო და ანჩელოტი. სხვა მწვრთნელებიც იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ერთმა ძაკერონიმ შეძლო მნიშვნელოვანი ტიტულის მოგება. ჩვენი საიდუმლო სტაბილურობაშია.

**- ეკუთვნის თუ არა კაკას ადგილი ყველა დროის საუკეთესო მილანისტების ათეულში?**

- ძნელია ძველ ეპოქებთან პარალელების გავლება: მე ბავშვობაში სკიაფინოსა და ლიდჰოლმზე ვგიჟდებოდი. თუ ბერლუსკონის ერის "მილანს" გულისხმობთ, რომელიც ვარსკვლავებით იყო სავსე, მაშინ პასუხი არის - კი, კაკა ათ ყველაზე დიდ მილანელს შორის არის.

**- ყველა დროის მილანელებისგან შემდგარ საოცნებო გუნდში კაკას რა ადგილზე ათამაშებდით?**

- გამთამაშებლად შევჩენკოსა და ვან ბასტენის უკან, ან კიდევ მარცხენა გარემარბად. ეს მეორე ვარიანტი იმიტომ ვახსენე, რომ გულიტსაც ხომ უნდა მოვუძებნოთ ადგილი? და არა მარტო გულიტს...

**- შიშობთ, რომ დადგება დღე, როცა კაკა მოვა და გთხოვთ, რომ გაყიდოთ?**

- არ მჯერა, რომ ეს როდესმე მოხდება.

**- თუმცა მომავალზე საუბრისას თვითონ ყოველთვის ბუნდოვან პასუხებს იძლევა...**

- მე ამიხსნა თავისი სიტყვების მნიშვნელობა: ასე ცდილობს, გითხრათ, რომ მომავალზე საუბარი მობეზრდა. უნდა, რომ ეს შეკითხვა აღარ დაუსვათ. კაკამ იცის, რომ მისი და "მილანის" კავშირი ძალიან ძლიერია. 2003 წელს ჩამოვიდა და ყოველი სეზონის ბოლოს კონტრაქტს აგრძელებდა.

**- რონალდინიოში გაცვლიდით?**

- არა.

**- რა უფრო ადვილი შესაძლებელია: "მილანში" რონალდინიოს გამოჩენა თუ ბუფონის?**

- არ მიყვარს სხვა კლუბების გაღიზიანება. "ბარსელონაში" და "იუვენტუსში" კარგად იციან, რომ "მილანი" ამ ორი ვარსკვლავით არის დაინტერესებული.

**- მეკარე ბორუცმა "სან სიროზე" გამოცდა კარგად ჩააბარა...**

- დიახ, ის ბრწყინვალე გოლკიპერია, მაგრამ ამ მომენტისთვის ჩვენ "სელტიკთან" არანაირი მოლაპარაკება არ დაგვიწყია.

**- ისევ ელით, რომ დიდა კონტრაქტს გააგრძელებს?**

- მის მოთხოვნასა და ჩვენს შეთავაზებას შორის ისევ რჩება ის ფინანსური განსხვავება, მაგრამ დიდა დიდი მეკარეა და შესაბამისად, მისი ლოდინი პრობლემა არაა.

**- "სელტიკთან" გამარჯვების შემდეგ დიდას განსაკუთრებულად გადაეხვიეთ.**

- თამაშის წინ საღამოს მილანელოს ბაზაზე შევხვდით და დიდამ მითხრა, ჭორებია, არავისთან არაფერი გამიფორმებიაო (იგულისხმება ცნობები, "ბარსელონასთან" წინასწარი კონტრაქტის გაფორმებაზე). მე კი ვუპასუხე, შენ მაგივრად არავინ აგვიყვანია-თქო. დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი დიდას მიმართ, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება.

**- ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რომელ გუნდთან არ გსურთ შეხვედრა?**

- "რომასთან". ყოველთვის უცნაური თამაში გამოდის ხოლმე, როცა ევროთასებზე შენი ქვეყნის გუნდს უპირისპირდები.

**- როგორ აფასებთ სამუშაოს, რომელიც მიშელ პლატინიმ უეფას პრეზიდენტობის პირველ პერიოდში ჩაატარა?**

- პლატინი საუცხოო მენეჯერია, ნამდვილად იმსახურებს ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტს. კანდიდატობისას რამდენიმე საკითხში რადიკალური პოზიცია ეკავა, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ პოზიციას ცოტათი შეარბილებს.

**- საკვირაო დერბი უფრო განსაკუთრებული იქნება, ვიდრე საერთოდ?**

- იმედი მაქვს, რომ განსაკუთრებული ატმოსფეროთი იქნება, ეს ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება. აღტაცებული დავრჩი შოტლანდიელი ტიფოზებისა და დირექტორების მაღალი სპორტული კულტურით. სამწუხაროდ, იტალიაში წაგების კულტურა არ გაგვაჩნია. ამ თვალსაზრისით, ჩემპიონთა ლიგა ძალიან გვეხმარება: ევროპულ თამაშებში სტადიონებზე ნამდვილი სპორტული ატმოსფეროა, გიხარია, როცა ამ ყველაფერს უყურებ და განიცდი.

**- "მილანის" ტიფოზები დერბიში რონალდოს გოლს ელიან.**

- ამაში გასაკვირი არაფერია. ვხედავ, რომ რონალდო ჩვენთან ბედნიერია. მინდა კომპლიმენტი ვუთხრა "მილანლაბს", რომელმაც რამდენიმე ისეთი დეტალი აღმოაჩინა, რაც რონალდოს საუკეთესო ფიზიკური ფორმის აკრეფაში ხელს წლების მანძილზე უშლიდა.

**- მალდინი და ნესტა კონტრაქტებს გააგრძელებენ?**

- სეზონის ბოლოს, თუ ტკივილის ატანის და თამაშის გაგრძელების სურვილი ისევ ექნება, პაოლო მოვა და ახალ კონტრაქტს გააფორმებს. სანდროს რაც შეეხება, რაღა თქმა უნდა, "მილანში" დარჩება.

**- რა შემოგრჩათ ყველა იმ უსიამოვნებიდან, რომელიც 2006 წლის მეორე ნახევარში შეგხვდათ?**

- ყველაფერი დავივიწყე 2006 წლის 23 დეკემბერს, როცა ჩემი დისკვალიფიკაციის ვადა ამოიწურა. იმ დღიდან მოყოლებული თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. უსიამოვნო პერიოდში საყვარელი ადამიანებისა და პრეზიდენტ ბერლუსკონის სითბო და თანადგომა მამშვიდებდა.

**გოგა ახალაძე**

## კრისტიანო: 5 წელი და 32 მილიონი

"მანჩესტერ იუნაიტედი" **კრისტიანო რონალდოს** კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალ ხელფასს დაუნიშნავს. "დეილი მეილის" ცნობით, ხუთწლიანი შეთანხმებაზე, რომლის წყალობით, პორტუგალიელის საბანკო ანგარიშზე 32 მილიონი გირვანქა ჩაირიცხება. 22 წლის გარემარბს კვირაში დაახლოებით 100 ათას გირვანქას დაუნიშნავენ. ეს ექვსი ათასით მეტია, ვიდრე **რიო ფერდინანდის** ხელფასი. ფერდინანდი კი დღეისათვის "იუნაიტედის" ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მოქმედი ხელშეკრულებით, რონალდოს კვირეული შემოსავალი 60 ათას გირვანქას შეადგენს.

## დეკუს ლონდონური პერსპექტივა

"ჩელსი" და "ლივერპული" ბარსელონელ ნახევარმცველ **დეკუზე** აცხადებენ პრეტენზიას. "დეილი მეილის" ცნობით, პორტუგალიელს "კამპ ნოუდან" აზარგება სურს. მან კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ჩააყენა საქმის კურსში. დეკუს "მილანიც" ეხმიანება და იტალიაში გადასვლას სთავაზობს. ბარსელონაში იმყოფება ფეხბურთელის აგენტი **ჟორჟე მენდესი**. ეს უკანასკნელი "ჩელსის" ბოსის, ჟოზე მოურინიოს წარმომადგენელიცაა. მწვრთნელისა და ფეხბურთელის გზები, შეიძლება, კიდევ ერთხელ გადაიკვეთოს. შეგახსენებთ, ისინი "პორტუში" ერთად მოღვაწეობდნენ და 2004 წელს ჩემპიონთა თასს დაეუფლნენ.

## კამორანეზი ლივერპულში?

"ლივერპულმა" "იუვენტუსის" ნახევარმცველი **მაურო ხერმან კამორანეზი** მოიკითხა. ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ფეხბურთელმა "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა გააკრიტიკა. კამორანეზიმ "ქალბატონის" ბოსებს საკადრო პოლიტიკა დაუწუნა. "იუვე" სერია A-ში დაბრუნების კანდიდატია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის უმაღლესი დივიზიონის საგზურს მოიპოვებს, კამორანეზიმ, შეიძლება, ტრანსფერზე დაყენება მოითხოვოს. "ლივერპულს" ტურინელთა კიდევ ერთი ვარსკვლავი **დავიდ ტრეზეგე** სურს, მაგრამ ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ იტალიელები **პიტერ კრაუჩს** ითხოვენ.

## ჯილარდინოს იუვენტუსი აკვირდება

**ალბერტო ჯილარდინო** "მილანით" უკმაყოფილებას ვერ მალავს. თავდამსხმელს განსაკუთრებით აღიზიანებს ის, რომ მის კვალიფიკაციას გამუდმებით ეჭვქვეშ აყენებენ: *"ყელში ამომივიდა. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ჩემზე ჭკვიანია და უფლება აქვს, ჭკუა მარიგოს. ჯილარდინოზე მხოლოდ სკეპტიციზმით საუბრობენ. არადა, ჩემი მაჩვენებლები სხვებისას არაფრით ჩამოუვარდება."* სპეკულაციების თანახმად, ჯილარდინოს მდგომარეობას "იუვენტუსი" ადევნებს თვალს.

ვეტერანი

# რობერტო კარლოსი მიდის

## ბრაზილიელი მცველი რეალს ეთხოვება, მაგრამ პენსიაში გასვლას არ ჩქარობს...

**რობერტო კარლოსი** "რეალიდან" მიდის. 34 წლის მცველმა ამის შესახებ პირველად ესპანელ მიმომხილველებს აუწყა. კარლოსს მადრიდელი დირექტორებისათვის ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ როგორც კი დროს გამონახავს, მაშინვე დაელაპარაკება. კარლოსის განცხადება დაემთხვა ჩემპიონთა ლიგიდან მადრიდული გრანდის გავარდნას. "ბაიერნთან" ოთხშაბათის მატჩში ბრაზილიელმა მცველმა ტრავმა მიიღო და ერთი თვით ჩამოშორდა მინდორს. მისი კონტრაქტი 2008 წელს იწურება, მაგრამ ვეტერანს განზრახული აქვს, "რეალი" ხელშეკრულების განწყვეტაზე დაიყოლიოს და სხვა სამსახურში დაასრულოს კარიერა: *"დადგა დრო, ბარგი ჩავალაგო და მადრიდს გამოვეთხოვო. კონტრაქტს აღარ გავაგრძელებ. მე წავალ, კლუბს კი ხელფეხი გაეხსნება, რათა ახალი პროექტები განახორციელოს. არ ვიცი, დავრჩები თუ არა ევროპაში. შეიძლება, ჩემს ოჯახს ბრაზილიაში დაბრუნება სურდეს. ბედნიერი ვარ, რომ კარიერის საუკეთესო წლები "რეალს" შევწირე, ხოლო "რეალმა", თავის მხრივ, დიდი წარმატებები და სიმდიდრე მომიტანა. ამის გამო ცხოვრების ბოლომდე მისი მადლიერი ვიქნები."*

კარლოსი "რეალში 1996 წელს "ინტერიდან" გადავიდა. განვლილ ათ წელიწადში მან სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი (1998, 2000, 2002), სამჯერ - ესპანეთის ჩემპიონის ოქროს მედლები (1997, 2001, 2003), სამჯერ - ესპანეთის სუპერთასი (1997, 2001, 2003) და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი (1998, 2002). მადრიდელთა მაისურით მან 571 მატჩი ჩაატარა და 70 გოლი შეაგდო.

ბრაზილიის ნაკრები

# დუნგას რონალდო არ სჭირდება

## ორი დებიუტანტი პენტაკამპეონების განაცხადში

ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ჩილესა და განასთან ამხანაგური მატჩებისათვის შემადგენლობა დაასახელა. განაცხადში მოხვდა **რონალდინიო**, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პენტაკამპეონების ძირითადში მხოლოდ ერთხელ ითამაშა. კვლავ არ მოიძებნა ადგილი **რონალდოსათვის**, რომელსაც დუნგა ნაკრებში დანიშვნის შემდეგ საერთოდ არ იძახებს. *"მას ვაკვირდებით და როგორც კი რონალდო ოპტიმალურ ფორმას დაიბრუნებს, მაშინვე ვუხმობთ. რონალდინიო? მინდა, ის ისეთივე ვიხილო, როგორიც "გრემიოში" იყო. ბრაზილიაში თამაშისას მას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. მე ასეთი რონალდინიო უფრო მომწონს, ვიდრე მოედნის ერთ ფლანგზე მიჯაჭვული, როგორც ეს "ბარსელონის" მატჩებში ხდება."*

რონალდოს გარდა, ნაკრებში ვერ მოხვდა ინტერელი **ადრიანო**. დუნგა არც ამ ფეხბურთელს სწყალობს და შარშანდელი მუნდიალის შემდეგ მხოლოდ ერთხელ გამოიძახა. განაცხადშია ორი დებიუტანტი - "სან პაულუს" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **ილსინიო** და მისივე თანაგუნდელი ნახევარმცველი **ჟოსუე**. ბრაზილიამ დუნგას ხელმძღვანელობით ექვსი მატჩი ჩაატარა და პირველად ერთი თვის წინ, პორტუგალიასთან, ლონდონში წააგო.

**მეკარეები** - ელტონი (პორტუ), ჟულიო სეზარი (ინტერი);

**მცველები** - დანიელ ალვეში (სევილია), ილსინიო (სან პაულუ), ჟილბერტო (ჰერტა), კლებერი (სანტოსი), ლუსიო (ბაიერნი), ალექს როდრიგო (ეინდჰოვენი), ჟუანი (ლევერკუზენი), ლუიზაო (ბენფიკა);

**ნახევარმცველები** - ჟილბერტო სილვა (არსენალი), მინეირო (ჰერტა), დუდუ (ცსკა), ელანო (შახტარი), ჟოსუე (სან პაულუ), დიეგო (ვერდერი), კაკა (მილანი);

**თავდამსხმელები** - რონალდინიო (ბარსელონა), რობინიო (რეალი), ფრედი (ლიონი), რაფაელ სობისი (ბეტისი), ვაგნერი (ცსკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVI ტურის წინ

# დამარცხებულთა სუპერკლასიკო

## მიჩელი მზადაა, კაპელოს სკამზე დაჯდეს

**დღეს**

ლევანტე-ვილარეალი
ბარსელონა-რეალი

**ხვალ**

სელტა-ბილბაო
ხეტაფე-რეკრეატივო
ხიმნასტიკი-სევილია
რასინგი-ესპანიოლი
ბეტისი-სარაგოსა
სოსიედადი-მალიორკა
ატლეტიკო-დეპორტივო
ოსასუნა-ვალენსია

დღეს ესპანეთში სუპერკლასიკოა. სხვა დროს ეს თამაში ევროუქმეების უმთავრესი საფეხბურთო მოვლენა იქნებოდა, მაგრამ შუა კვირაში განვითარებულმა მოვლენებმა სუპერკლასიკოს ჩრდილი მიაყენა. "კამპ ნოუზე" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილი გრანდები ითამაშებენ. ორივე ბანაკში პესიმისტური განწყობა სუფევს.

რა მოხდება, თუ დღეს "რეალი" წააგებს? ყველაფერი დღესავით ნათელია - **ფაბიო კაპელო** მადრიდელთა თავკაცი აღარ იქნება. მას დაუყოვნებლივ კარისკენ მიუთითებენ. სამეფო კლუბს კი მეორე შემადგენლობის დამრიგებელ **მიჩელს** ჩააბარებენ. ეს გახლავთ მოსაზრება, რომელსაც უკლებლივ ყველა ესპანელი მიმომხილველი ეთანხმება.

"რეალი" სპეკულაციების დადასტურებას არ ჩქარობს. კაპელო დაუფარავად აცხადებს, რომ არ გადადგება. "რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** კი თავმომწონედ გვეუბნება, რომ მწვრთნელისთვის გადასახდელი საკომპენსაციო თანხის პრობლემა არ გააჩნია. ფული მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნება ასანაზღაურებელი - თუ კაპელოს კონტრაქტს ვადამდე გაუწყვეტენ. დონ ფაბიო ამიტომ არ ჩქარობს განცხადების დაწერას, თორემ შეუძლებელია, ვერ ხედავდეს, რომ გუნდი კატასტროფის პირას დგას. შესაძლოა, უმუშევრად დარჩეს "რეალის" სპორტული დირექტორი **პედია მიატოვიჩიც**, რომლის კვალიფიკაცია მადრიდული გრანდის გასაძლოლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

რა მდგომარეობაა გუნდში ბარსელონური მატჩის წინ? კაპელოს ორი წამყვანი მცველი - **რობერტო კარლოსი** და **ფაბიო კანავარო** ვერ დაეხმარება. კარლოსი სამი-ოთხი კვირამდე ვერ ითამაშებს. "ბაიერნთან" მატჩში მან წვივის კუნთი გაიწყვიტა. კანავარო ერთი დღით ადრე დაშავდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და 10-12 დღიანი დასვენება სჭირდება. ტრავმები აწუხებთ **დევიდ ბექჰემსა** და **ხოსე ანტონიო რეიესს**. ისინი გასულ უქმეებზე "ხეტაფესთან" მატჩში დაშავდნენ. იმავე შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო **ანტონიო კასანომ**. მას სეზონში ხუთი გაფრთხილება დაუგროვდა და ერთმატჩიანი სასჯელი ემუქრებოდა, მაგრამ მადრიდელებმა მსაჯის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და მის გაუქმებას მიაღწიეს. ასე რომ, კასანო განაცხადში იქნება. სამეფო კლუბი "ხეტაფესთან" უსახურ ფრეს, 1:1-ს დასჯერდა. "რეალი" მეოთხე საფეხურზე იმყოფება და მეორეადგილოსანი "ბარსელონისგან" ხუთი ქულა ყოფს. წაგების შემთხვევაში მადრიდელები საჩემპიონო მარათონს გამოეთიშება და ზედიზედ მეოთხე სეზონს დაასრულებს უტიტულოდ.

პრობლემები აქვს "ბარსასაც". მას **რონალდინიო** დაუშავდა. ფეხბურთელი კუნთის გაწყვეტას გადაურჩა, მაგრამ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. **ფრანკ რიიკაარდს** გუშინ საღამოს უნდა შეეტყო, მოახერხებდა თუ არა ბრაზილიელი მოედანზე გასვლას. რონალდინიო ბარსელონელთა საუკეთესო ბომბარდირია. მან პრიმერა დივიზიონში 17 გოლი შეაგდო. დისკვალიფიკაციათა გამო ვერ ითამაშებენ **ლუდოვიკ ჟიული** და **ჯანლუკა ძამბროტა**. შეგახსენებთ, ისინი გასულ უქმეებზე, "სევილიასთან" მატჩში (1:2) გააძევეს. აქვე გუნდების სავარაუდო შემადგენლობებსაც გაეცანით:



ფაბიო კაპელოს მადრიდული კარიერა ბეწვზე კიდია

***ბარსელონა***: ვალდესი, ოლეგერი, ტურამი, პუიოლი, სილვინიო, მარკესი, ჩაბი, დეკუ, მესი, ეტოო, რონალდინიო.

***რეალი***: კასილიასი, სალგადო, ელგერა, რამოსი, ტორესი, გახო, დიარა, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი.

"ვალენსია" პამპლონაში კაპიტნის გარეშე ჩავა. **რუბენ ბარახამ** "ინტერთან" მატჩში კუნთი გაიწყვიტა. მას, სავარაუდოდ, ორი თვე გაუცდება. თუ პესიმისტური პროგნოზი გამართლდება, ბარახა სეზონის მიწურულსლა მოახერხებს მინდორზე დაბრუნებას. სეზონის მიწურულსო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ესპანურ სეზონს, რომელიც 17 ივნისამდე გრძელდება. ჩემპიონთა ლიგაში კი, თუ ვალენსიელებს ბოლომდე გასვლა ეღირსებათ, ბარახას მაყურებლის როლით მოუწევს დაკმაყოფილება. საბრალო რუბენი ზაფხულის შემდეგ მეოთხედ დაშავდა. ვალენსიელთა საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. ბარძაყის კუნთი დაიჭიმა **ვისენტემ**, ხოლო თავდამსხმელი **დავიდ სილვა** დისკვალიფიცირებულია.

ხვალ ჩემპიონატის ლიდერი "სევილია" "ხიმნასტიკს" ესტუმრება. ხუთშაბათს ანდალუსიელებს დონეცკის "შახტართან" დიდი ბრძოლა გადახდათ. სევილიელებმა 88-ე წუთზე პენალტით გაათანაბრეს (2:2) და სენსაციურ მარცხს გადაურჩნენ. ისინი სამ ფრონტზე აგრძელებენ ბრძოლას. ესპანეთის ჩემპიონობისა და უეფას თასის გარდა, ისინი ესპანეთის თასისთვისაც იბრძვიან. "სევილიას" წამყვანი მცველი **აიტორ ოსიო** დისკვალიფიცირებული ჰყავს. მოედანზე ბრუნდება 18 გოლით პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი **ფრედერიკ კანუტე**, რომელმაც უკრაინელებთან მატჩი გამოტოვა.

მეორე სევილიურმა კლუბმა "ბეტისმა" "სარაგოსას" უნდა უმასპინძლოს. ჯერჯერობით უცნობია, სად გაიმართება მატჩი. "მანუელ რუის დე ლოპერას" სტადიონს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მიზეზი გასულ უქმეებზე, სევილიურ დერბიში მომხდარი ინციდენტია. შეგახსენებთ, "სევილიის" თავკაც **ხუანდე რამოსს** თავში ბოთლი გაარტყეს. ამ უკანასკნელმა გონება დაკარგა და საავადმყოფოში გადაიყვანეს, თამაში კი შეწყდა. "ბეტისმა" სასჯელი გაასაჩივრა და აპელაციის პასუხი გუშინ საღამოს უნდა მიეღო. თუ დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვეს, კლუბი ხელმძღვანელობას მხოლოდ ერთი დღე ექნებოდა ნეიტრალური არენის მოსაძებნად. ამასობაში, სარაგოსელებს არგენტინელი ბომბარდირი **დიეგო მილიტო** გამოაკლდათ. მილიტოს აქტივში 16 გოლია. სასჯელს იხდის "სარაგოსის" ურუგვაელი ცენტრალური მცველი **კარლოს დიოგო**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 25 | 15 | 5 | 5 | 46-23 | 50 |
| 2. ბარსელონა | 25 | 14 | 7 | 4 | 50-22 | 49 |
| 3. ვალენსია | 25 | 14 | 4 | 7 | 36-23 | 46 |
| 4. რეალი | 25 | 13 | 5 | 7 | 32-21 | 44 |
| 5. სარაგოსა | 25 | 12 | 6 | 7 | 38-26 | 42 |
| 6. ატლეტიკო | 25 | 11 | 7 | 7 | 30-22 | 40 |
| 7. რეკრეატივო | 25 | 12 | 4 | 9 | 34-30 | 40 |
| 8. ხეტაფე | 25 | 10 | 7 | 8 | 22-17 | 37 |
| 9. ესპანიოლი | 25 | 9 | 9 | 7 | 27-26 | 36 |
| 10. რასინგი | 25 | 9 | 9 | 7 | 27-29 | 36 |
| 11. დეპორტივო | 25 | 8 | 9 | 8 | 19-26 | 33 |
| 12. ვილიარეალი | 25 | 9 | 6 | 10 | 23-31 | 33 |
| 13. ოსასუნა | 25 | 9 | 3 | 13 | 30-32 | 30 |
| 14. ბეტისი | 25 | 7 | 9 | 9 | 24-28 | 30 |
| 15. მალიორკა | 25 | 8 | 5 | 12 | 25-36 | 29 |
| 16. ლევანტე | 25 | 6 | 9 | 10 | 22-34 | 27 |
| 17. სელტა | 25 | 6 | 8 | 11 | 26-35 | 26 |
| 18. ბილბაო | 25 | 6 | 7 | 12 | 26-36 | 25 |
| 19. ხიმნასტიკი | 25 | 4 | 5 | 16 | 27-48 | 17 |
| 20. სოსიედადი | 25 | 2 | 8 | 15 | 15-34 | 14 |

მოსალოდნელი დანიშვნები

# კუმანი ჩელსიში, მოურინიო რეალში?

## სპეკულაციების მორიგი ტალღა ინგლისურ და ესპანურ მედიაში

ოთხშაბათს, "ეინდჰოვენმა" "არსენალი" ჩემპიონთა ლიგას გამოთიშა. ნამატჩევს ჰოლანდიელთა თავკაცმა **რონალდ კუმანმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ინგლისურ კლუბებთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. მე "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" დამიმარცხებია, "არსენალს" კი უკვე მეორედ მოვუგე. სიმართლე გითხრათ, ინგლისის საფეხბურთო ატმოსფეროზე ბევრი არაფერი ვიცი. მის გასაცნობად აქ, ალბათ, სამსახური უნდა ვიშოვნო."* ეს ერთი სიტყვა სპეკულაციების ასაგორებლად საკმარისი აღმოჩნდა. "დეილი ექსპრესმა" კუმანის სახელი უმალ "ჩელსის" სავარაუდო მწვრთნელთა სიაში შეიტანა. იმავე გამოცემამ "არისტოკრატების" დღევანდელ თავკაც **ჟოზე მოურინიოს** "რეალში" გადასვლა უწინასწარმეტყველა.

მადრიდში შექმნილი მდგომარეობა საყოველთაო განხილვის საგანია. "ბარსელონასთან" დღევანდელი მატჩის შემდეგ მადრიდელთა მწვრთნელის სკამი, შეიძლება, გათავისუფლდეს. "ასის" ცნობით, სამეფო კლუბი რამდენიმე სპეციალისტის ვარიანტს განიხილავს. მათ შორის ლივერპულელი **რაფა ბენიტესისა** და ჩელსელი ჟოზე მოურინიოს გვარებიც ფიგურირებს. ამ მწვრთნელებმა თავ-თავიანთი გუნდები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანეს. კანდიდატთა სიაშია "ხეტაფეს" გერმანელი თავკაცი **ბერნდ შუსტერიც**, რომელსაც მადრიდელ ინჩასებს შორის უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

### ფულჰემი: მონტელას გარეშე და ტურამით

იტალიელი **ვინჩენცო მონტელას** "ფულჰემში" დარჩენა სურს, ხელფასის შემცირებას უნდა დასთანხმდეს. 32 წლის თავდამსხმელს რომაელები კვირაში 70 ათას გირვანქას უხდიან. ლონდონელებს კი ამხელა შესაძლებლობა არ აქვთ. ასე რომ, მონტელას სეზონის ბოლოს იტალიაში დაბრუნება მოუწევს. მისი დარჩენის ან გაყიდვის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

ამასობაში, "ფულჰემი" "ბარსელონის" ვეტერანი მცველით, **ლილიან ტურამით** დაინტერესდა. ლონდონელთა თავკაცი **კრის კოულმენი** მას გასულ ზაფხულსაც ესაუბრა და კონტრაქტიც თითქმის გაუფორმა, მაგრამ "ბარსელონის" გამოჩენამ გეგმები არია. ტურამი 35 წლისაა და კატალონიიდან წასასვლელად ემზადება. თუ მას უკომპენსაციოდ გადაიყვანენ, კვირაში 45 ათას გირვანქას გადაუხდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ლილიანი "ფულჰემის" ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

### გლადბახმა ეფენბერგს ციგე ამჯობინა

ბუნდესლიგის აუტსაიდერ მიონხენგლადბახის "ბორუსიის" პრეზიდენტმა **როლფ კიონიგსმა** გუნდის სპორტული დირექტორი **პეტერ პანდერი** პოსტიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **კრისტიან ციგე** დანიშნა. ეს უკანასკნელი აქტიური სპორტული კარიერის დასრულებამდე სწორედ "გლადბახში" თამაშობდა და ამ გუნდის მაისურით ბუნდესლიგაში 13 შეხვედრა ჩაატარა. არადა, "ბორუსიის" გულშემატკივრები სპორტული დირექტორის პოსტზე **შტეფან ეფენბერგის** დანიშვნას ითხოვდნენ, რომელიც ამ გუნდისთვის საკულტო ფიგურაა. თვითონ ეფეც ამბობდა, რომ მზად იყო, "გლადბახში" ემუშავა, კიონიგსს თვითონ დაურეკე და დახმარება შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრაო. ამის გამო ეფე გაოგნებულია და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. *"ახლა უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ "გლადბახს" სათავეში უცოდინარი ხალხი უდგას, მათ ფეხბურთში არაფერი გაეგებათ."* - ამბობს ეფენბერგი.

### ნოლანი: კიდევ ოთხი წელი ბოლტონში

"ბოლტონის" კაპიტანმა **კევინ ნოლანმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, რომელსაც ეროვნულ გუნდში გამოძახებას უწინასწარმეტყველებენ, "რიბოკ სთედიუმზე" კიდევ ოთხი სეზონი დარჩება. პრემიერლიგის ბოლო ტურში "ბოლტონმა" შინ "ბლექბერნთან" წააგო, 1:2. 29 მატჩში დაგროვებული 47 ქულით **სემ ელერდაისის** შეგირდები მეხუთე ადგილზე იმყოფებიან და უეფას თასის საგზურზე აცხადებენ პრეტენზიას.

ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**I ჯგუფი**

**ამერიკა (მექ)-ბანფილდი (არგ) 4:0**

**ამერიკა**: გილერმო ოჩოა, ისმაელ როდრიგესი, ხოსე კასტრო, მოსკედა (70. სანტიაგო ფერნანდესი), ხერმან ვილია, ალეხანდრო როა (65. იგნასიო ტორესი), კუატემოკ ბლანკო, სალვადორ კაბანიასი, დავინო, ოსკარ როხასი, რიკარდო როხასი (57. რაულ მენდოსა).

**ბანფილდი**: ლუკეტი, ანდრისი (46. გილერმო ესტებანი), ბარასა, ჩატრუკი (63. ვიტი), მაიდანა, სანგინეტი, პაჯესი, კინტეროსი, ვილარეალი, ანხელ მორალესი (53. შმიდტი), ცვიტანიჩი.

გოლები: 1:0 ოსკარ როხასი (20), 2:0 კაბანიასი (22), 3:0 კაბანიასი (48), 4:0 მოსკედა (51)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ამერიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 3. ბანფილდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. ელ ნასიონალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

**III ჯგუფი**

**დეპორტესი (კოლ)-ს. პორტენიო (პარ) 1:0**

**დეპორტესი**: აგუსტინ ხულიო, კუენიუ, სინისტიერა, კამბინდო, ვალიეხო, ხუან ესკობარი, ანჩიკო, პატინიო, ჩარია (83. ფლანკლინ გონსალესი), პერლასა (77. სესარ რივასი), სავოია (51. კინტერო).

**სერო პორტენიო**: ილარიო ნავარო, ლორხიო ალვარესი, ფიდელ პერესი, ხორხე ნუნიესი, ნელსონ კაბრერა, ხორხე ბრიტესი (58. ობეკერი), ედგარ გონსალესი, დომინგო სალსედო, კრისტალდო, სესარ რამირესი (77. გოდოი), ალეხანდრო და სილვა.

გოლი: 1:0 კინტერო (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 1. დეპორტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. კუკუტა | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 4. ს. პორტენიო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

**VI ჯგუფი**

**ლიგა დე კიტო (ეკვ)-კოლო კოლო (ჩილ) 3:1**

**ლიგა დე კიტო**: კრისტიან მორა, არლინ აიოვი, არაუხო, დიეგო კალდერონი, ამბროსი, ობრეგონი (64. ბოლანოსი), ლარეა (75. გერონი), ენრიკე ვერა, ლარა, ესკალადა, ფრანკლინ სალასი (84. ლუის ორტისი).

**კოლო კოლო**: სეხასი, რიფო, ვიდალი, დავიდ ერნანდესი, სანუესა, მელენდესი, ხოსე ლუის ხერესი (58. ბორის გონსალესი), ჯოვანი ერნანდესი (82. ლორკა), ფიერო, უმბერტო სუასო, ალექსის სანჩესი (72. ედისონ ხიმენესი).

გოლები: 0:1 სუასო (31), 1:1 ობრეგონი (45), 2:1 სალასი (78), 3:1 გერონი (84)

გაძევება: დავიდ ერნანდესი (კოლო კოლო), ლარა (ლიგა დე კიტო)

**რივერი (არგ)-კარაკასი (ვენ) 0:1**

**რივერი**: კარისო, ფერარი (847 ანდრეს რიოსი), ხერლო, ნელსონ რივასი, ტუსიო, გალვანი (46. აუგუსტო ფერნანდესი), ბელუში, აჰუმადა, ვიქტორ საპატა (76. სამბუესა), მარკო რუბენი, ერნესტო ფარიასი.

**კარაკასი**: ტოიო, რეი, ვიელმა, ვისკარონდო, ედერ პერესი (68. როუგა), ლუის ვერა, ხორხე როხასი, გერა, სესარ გონსალესი (87. ხაიმე ბუსტამანტე), ივან ველასკესი (73. ლუსენა), კარპინტერო.

გოლი: 0:1 ველასკესი (10)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარაკასი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. ლიგა დე კიტო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. რივერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. კოლო კოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

**VII ჯგუფი**

**სენსიანო (პერ)-ბოლივარი (ბოლ) 5:1**

**სენსიანო**: ხუან ფლორესი, დე ლა ასა, პისანო, ფრანსისკო ერნანდესი, კარლოს ფერნანდესი, ბასალარი, ხუან მარინო, ურიბე, ხულიო გარსია (67. ჩიროკე), მიგელ ტორესი (36. მოსტო), სარასი (46. ხაიმე რუისი).

**ბოლივარი**: საიასი, ხუარესი, სალვატიერა (75. ფაუსტინო გარსია), ტორდოია, იგნასიო გარსია, მელგარი, ვილიანტი, ლეიტაო, ლეონელ რეიესი, კუელარი (66. ხულიო ბალდივიესო), სილერო.

გოლები: 0:1 კუელარი (17), 1:1 მოსტო (65), 2:1 მარინო (70-პენ), 3:1 მოსტო (79), 4:1 მარინო (82), 5:1 რუისი (90)

გაძევება: მელგარი (69. ბოლივარი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლივარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ბოკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ტოლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. სენსიანო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

საქართველოს ჩემპიონატი. XVI ტური

# ვა და ვუ



დავით იმნაძემ ვაკო ბეჟანიშვილი უკუაგდო

9 მარტი, რუსთავი

| აზოტი-თსუ | 83:59 |
|---|---|

26:13, 26:12, 16:23, 15:11

აზოტი: გამყრელიძე (9 ქ. 4 პ. 6 მ), ბერძენიშვილი (2 ქ), ბეჟანიშვილი (14 ქ. 7 მ), ბოისა (4 ქ. 7 მ), დიდია (6 ქ), ტულუში (10 ქ. 3 პ. 5 მ), მარკოიშვილი (7 ქ), უგრეხელიძე (21 ქ. 11 მ), გოგობერიშვილი (2 ქ), ტუჯანი (6 ქ. 8 მ), ჭოჭუა (2 ქ)

თსუ: არწივიძე (7 ქ. 3 პ. 4 ჩ), ბ. ბერიშვილი (8 ქ. 3 ჩ), ფანჩულიძე (7 ქ), ლეჟავა (9 ქ. 3 ჩ), ვეფხვაძე (2 ქ. 3 პ), შანიძე (8 ქ. 6 მ), იმნაძე (18 ქ. 10 მ. 2 დ), ტყეშელაშვილი, მ. ბერიშვილი

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 16 | 15 | 1 | 31 |
| 2. ავიამშენი | 15 | 12 | 3 | 27 |
| 3. თსუ | 16 | 10 | 6 | 26 |
| 4. დინამო | 15 | 4 | 11 | 19 |
| 5. მაკაბი | 15 | 3 | 12 | 18 |
| 6. სტუ | 15 | 2 | 13 | 17 |

**დღეს, ვერის პარკში**

14:00 სტუ-მაკაბი
16:00 ავიამშენი-დინამო

რუსთავის "აზოტმა" თსუ 24 ქულის სხვაობით დაამარცხა - 83:59. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ბოლოსწინა ტურში ქვემოქართლელები "ავიამშენთან" შერცხვნენ და ამიტომ ადგილობრივი გულშემატკივრის თვალწინ ძლიერი მეტოქის ძლევით რეაბილიტაცია სურდათ. მაგრამ მატჩის ყველაზე საინტერესო მომენტი მესამე პერიოდში დაფიქსირდა, როცა ერთმა გუნდმა 20:2 სპურტი მოაწყო...

გგონიათ ეს "აზოტმა" გააკეთა? არა, რუსთაველებმა 6 წუთში მხოლოდ 2 ქულა ჩააგდეს, მაშინ, როცა სტუდენტებისგან 20 მიიღეს. თსუ-ს თამაში მაშინ გამოსწორდა, როცა მწვრთნელმა, **ნუგზარ ქეიშვილმა** ვა-ბანკზე წასვლა გადაწყვიტა და აზოტელებს პრესინგი მათსავე მოედანზე დაუწესა. ამ სვლამ გაამართლა - ტანდაბალი სტუდენტები ჩაჭრას ჩაჭრაზე ითვლიდნენ, ხოლო 206 სმ. სიმაღლის **დავით იმნაძე** ხან საჯარიმოებს ხაზიდან ისროდა ზუსტად, ხან ფარქვეშიდან იხვეჭდა ქულებს. მოკლედ, მესამე პერიოდმა გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტს კლანჭების გამოჩენა შეუძლია. .

20:2 თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის გახლდათ, რომ ასეთ გარდატეხას ანგარიშზე სერიოზული გავლენა არ მოუხდენია - სპურტის შემდეგ სტუმრებმა ჩამორჩენა მხოლოდ 18 ქულამდე დაიყვანეს... აქედან გამომდინარე, იოლი წარმოსადგენია როგორ წარიმართა საწყისი ორი მეოთხედი - "აზოტმა" დაცვაში გამართულად ითამაშა და მეტოქეს კალათის მიმართულებით მცირე ღრიჭოც არ დაუტოვა. შეტევაში კი "აზოტის" მთავარი იარაღი მე-12 ნომერი **დავით უგრეხელიძე** იყო. დათომ საწყის 10 წუთში საოცარი შედეგი უჩვენა - 14 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. სწორედ მისი სიზუსტის წყალობით მოიპოვა "აზოტმა" სოლიდური უპირატესობა: 22-ე წუთისთვის მასპინძელთა სასარგებლოდ სხვაობამ 36 ქულას უწია (64:28). სწორედ ამის შემდეგ დამშვიდდნენ მასპინძლები, რასაც თსუ-ს გამოფხიზლება დაემთხვა.

პირველ, მეორე და მესამე პერიოდებზე უკვე ვთქვით. მეოთხეზე კი სასაუბრო ბევრი არაფერია - მასპინძლები დაცვაში კვლავ მყარად დადგნენ, ხოლო სტუმარ გუნდს საბოლოო იერიშისთვის ძალა აღარ ეყო.

დავით უგრეხელიძეს დავუბრუნდეთ, რომელმაც საბოლოოდ 21 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. ასეთი მონაგარითა და, რაც მთავარია, თამაშით, დათომ ტურის საუკეთესო კალათბურთელობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუ დღეს დარჩენილ ორ ნაკლებად მნიშვნელოვან მატჩში რომელიმე მოთამაშემ საოცრება არ ჩაიდინა, ტურის მოთამაშედ "უგრე" დასახელდება.

ხოლო რაც შეეხება ტურის ფრაზას, არა გვგონია უკეთესი რამ დღეს მოვისმინოთ. უნივერსიტეტის მწვრთნელი ერთ ეპიზოდში აზოტელთა მოქმედებას ემოციურად გამოეხმაურა: *"როგორ აფორმებენ, თითქოს თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდეთ დამთავრებული. ჩვენც დავიძახოთ ვა და ვუ!"*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბესიკ ლეჟავა კოტე ტულუშის (მარჯვნივ) წინააღმდეგ

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

**ჭადრაკი**



სოფიკო ხუხაშვილი



სოფიო გვეტაძე

საქართველოს ჩემპიონატი

# სენსაციები სოფიოთა სასარგებლოდ

ქალ მოჭადრაკეთა ეროვნულ ჩემპიონატში, ერთდღიანი სარვამარტო პაუზის შემდეგ, გუშინ გათამაშდა მეშვიდე ტურის პარტიები, რომლებიდანაც რამდენიმე სენსაციური შედეგით დასრულდა. მთავარი მოულოდნელობები იყო ერთპიროვნული ლიდერების **ნანა ძაგნიძისა** და **ინგა ჭარხალაშვილის** წაგებები.

ძაგნიძისა და **მაკა ფურცელაძის** შეხვედრით დავიწყოთ. ნანას, როგორც ზემოთ ვთქვით, გუშინდლამდე 4 ქულა ჰქონდა და ჭარხალაშვილთან ერთად, ჩემპიონატს ლიდერობდა, ფურცელაძე კი ქულანახევრით ერთადერთი აუტსაიდერი იყო. შესაბამისად, ნანა აშკარად ფავორიტი იყო, მაგრამ მისი კახელი მეტოქე სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მან პარტია საკმაოდ საინტერესო ეტლების ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ძაგნიძეს დანებება აიძულა.

ორთაბრძოლების პარალელურად, გვერდით ოთახში, "ცოცხალ" რეჟიმში მიმდინარეობს პარტიების დემონსტრირება. ამ ოთახში შეკრებილ სპეციალისტთა შორის, ძაგნიძე-ფურცელაძის შეხვედრაზე, აზრი ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ნანას პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდა, მეორენი კი მაკას უპირატესობას აღიარებდნენ. თუმცა მთავარი მაინც ოფიციალურად დაფიქსირებული შედეგია, რომლითაც ძაგნიძე სატურნირო ცხრილის სათავიდან ოდნავ ქვემოთ დაეშვა და ვნახოთ, მოახერხებს თუ ვერა შემდეგ ტურებში დაკარგული პოზიციის დაბრუნებას.

ძაგნიძისაგან განსხვავებით, უფრო ლოგიკური ჩანდა ჭარხალაშვილის წაგება მასზე ნახევარი ქულით უკან მყოფ **სოფიკო ხუხაშვილთან**. ეს პარტიაც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ბოლომდე ვერ გაიგებდი, ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი. საბოლოოდ, უფრო მობილიზებული და მტკიცე ნერვების პატრონი აღმოჩნდა ხუხაშვილი. მოკლედ, ხუხაშვილმა იმარჯვა და კიდევ ერთ სოფიოსთან – **გვეტაძესთან** ერთად, ერთპიროვნული ლიდერობა იგდო ხელთ.

სოფიო გვეტაძემ ორმხრივ ცაიტნოტში, არც ისე სახარბიელო პოზიციიდან მოახერხა ერთი ქულით გამოსვლა. საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში, მან **სალომე მელიას** სძლია და ნახევრად ხუმრობით თქვა – სულ მოგებულ შეხვედრებს ხომ არ უნდა ვთმობდე, ახლა მეც გამიმართლაო...

**ლელა ჯავახიშვილმა** თავიდან კარგი პოზიცია კი მიიღო, მაგრამ **ნინო ბაციაშვილმა** შავებით კარგად დაიცვა თავი და საკმაოდ ძლიერ, გამოცდილ მეტოქესთან ყაიმს გამორჩა. ასევე ყაიმით, თანაც ყველაზე ადრე დასრულდა **მირანდა მიქაძისა** და **თამარ წერეთლის** ორთაბრძოლა. აბსოლუტურად თანაბარ შეხვედრაში, მეტოქეები მშვიდობიანად გაყრაზე შეთანხმდნენ.

დაბოლოს, ტურის ცენტრალურ შეხვედრაზეც ვთქვათ, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრების წევრები – **მაია ლომინეიშვილი** და **ნინო ხურციძე**. თეთრებით მოთამაშე ხურციძეს თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ჰქონდა მცირე უპირატესობა, მაგრამ, საბოლოოდ, აქაც ყაიმი დაფიქსირდა. დღეს მორიგი, მერვე ტურის პარტიები გაიმართება. ცენტრალური დაპირისპირება უდავოდ ხუხაშვილი-ძაგნიძეა, რომელშიც დიდ ბრძოლას ველით. ასევე საკმაოდ საინტერესო იქნება გვეტაძე-ფურცელაძის შეხვედრა, სადაც ფურცელაძე კიდევ ერთი სენსაციის მოხდენას შეეცდება, ხოლო გვეტაძე, მოგების შემთხვევაში, ლიდერობას შეინარჩუნებს.

**კობა ხატისაშვილი**

მეშვიდე ტური: ნინო ხურციძე – მაია ლომინეიშვილი 0.5:0.5; სოფიო გვეტაძე – სალომე მელია 1:0; მაკა ფურცელაძე – ნანა ძაგნიძე 1:0; ლელა ჯავახიშვილი – ნინო ბაციაშვილი 0.5:0.5; მირანდა მიქაძე – თამარ წერეთელი 0.5:0.5; ინგა ჭარხალაშვილი – სოფიკო ხუხაშვილი 0:1

| | |
|---|---|
| სოფიო გვეტაძე | 4. |
| სოფიო ხუხაშვილი | 4.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | 4.0 |
| ნანა ძაგნიძე | 4.0 |
| მაია ლომინეიშვილი | 4.0 |
| ნინო ბაციაშვილი | 4.0 |
| ინგა ჭარხალაშვილი | 4.0 |
| ნინო ხურციძე | 3.5 |
| მაკა ფურცელაძე | 2.5 |
| სალომე მელია | 2.5 |
| მირანდა მიქაძე | 2.5 |
| თამარ წერეთელი | 2.5 |

მერვე ტურში: ლომინეიშვილი – მიქაძე, ბაციაშვილი – ხურციძე, მელია – ჯავახიშვილი, ფურცელაძე – გვეტაძე, წერეთელი – ჭარხალაშვილი, ძაგნიძე - ხუხაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი, რომელსაც თვალს ვერ ვუსწორებ

## ანრი ბრონკანის ქრონიკა

**განვაგრძობთ** საქართველოს ნაკრების კონსულტანტის, ანრი ბრონკანის ჩანაწერების გამოქვეყნებას. 17 მარტს ბრონკანი ესპანეთში პირველად იხილავს ჩვენს გუნდს. წესით, მალე მის დღიურში ქართული თემატიკაც უნდა გაჩნდეს.

### 1 მარტი, ხუთშაბათი

ოშის ადგილობრივი, ყველაზე დიდი და პოპულარული გაზეთი ზედმეტი ყურადღებითაც კი მანებივრებს. პირველ გვერდზე დიდი სურათი დაუბეჭდავთ, რომელშიც ქალაქის მერიის ფონზე ვარ აღბეჭდილი, ოდნავ ვიღიმები. ერთი სიტყვით, გაზეთი თაყვანს მცემს. გეგონება, ყველა ოჯახში შვილებს ჩემს მაგალითზე უნდა ზრდიდნენ.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მარჯვენა კუთხეში პრეზიდენტობის კანდიდატის, სეგოლენის ფოტოა, რომელიც ძლივს ჩანს. ამბავი ოშში მის მომავალ სტუმრობას ეხება, თუმცა გაზეთს ამისთვის ჩემზე ნაკლები მნიშვნელობა მიუნიჭებია.

დღის მეორე ნახევარში რაგბის ქომაგებს უნდა შევხვდე. მეგობარი მაფრთხილებს, იცოდე, შენსავით თავგადადებული ფანები არიანო. მალე დანიშნულების ადგილზე მივედი. პატარა, სადა სახლთან შევჩერდით, იქვე მოძველებული მანქანა იდგა, პატრონი ჩემი ასაკის თმაშევერცხლილი, ხმელ-ხმელი კაცი იყო. მორიდებით მომესალმა. მოდით ბიბლიოთეკაში შევიდეთო, შემომთავაზა. ბიბლიოთეკა ერთი საკმაოდ ღარიბული ოთახი იყო, შეუმჩნევლად მოვათვალიერე იქაურობა და გავიფიქრე, კარგი იქნება, ჭიქა წყალს ან თუნდაც იაფფასიან ყავას მაინც თუ შემოგვთავაზებენ-მეთქი.

ჩვენი მასპინძელი მეტყევე აღმოჩნდა. ის "ოშის" ფანების მეთაური და ძალიან აქტიური ქომაგია. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მასზე მითხრა, საკმარისია ერთი სიტყვა ჩამოუგდოთ რაგბიზე, დილამდე შეუჩერებლად ილაპარაკებსო.

მეც ვიჯექი და სულმოუთქმელად ვუსმენდი. ის ლაპარაკობდა რაგბიზე და ლაპარაკობდა ყველაფერზე. ეკონომიკური სიდუხჭირე არამც და არამც ხელს არ უშლიდა ოვალური ბურთით თამაშის მთელი ვნებით სიყვარულში. გვიყვებოდა, როგორ წარმოედგინა ჩვენი გუნდის მომავალი, როგორი უნდოდა რომ ეხილა იგი. რა ბედნიერია, როცა წარმატებას ვაღწევთ და თამაშს თამაშზე ვიგებთ. როდესაც მისი სახლიდან გამოვედით, სირცხვილის გრძნობა დამეუფლა ჩვენი კლუბის სუბსიდირების პრობლემების გამო.

გზად ყურადღებით ვათვალიერებდი გასკონიის სანახებს. დარტანიანის ქვეყანაზე მშვენიერი მხარე არსად მეგულება. სახლში მისულს ჩემი მეგობრის ღია ბარათი დამხვდა. მასთან ერთად წლების განმავლობაში ვთამაშობდი. მაგიდაზეც მისი სურათი მაქვს ჩარჩოში ჩასმული - შვილთან, ლულუსთან ერთადაა აღბეჭდილი. ლულუ 14 წლისა, ლეიკემიით გარდაიცვალა. ფილიპმა შვილის დაკარგვა მწარედ განიცადა. მას შემდეგ მის სახეზე ღიმილი არასდროს შემიმჩნევია. ლულუ სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. მნიშვნელოვანი თამაში გვქონდა "ტიროსთან", ფილიპი კაპიტანი იყო და ცხადია, გუნდს ვერ დაალალატებდა. მახსოვს, რა თავდადებით იბრძოდა. ის თამაში მოვიგეთ. ფილიპს არც კი უბანავია, ტანსაცმელი გამოიცვალა და საავადმყოფოში ფეხით გაიქცა, მაგრამ შვილს ცოცხალს ვერ მიუსწრო. ფილიპი ყოველთვის, ჩვენი გუნდის თამაშის წინ და თამაშის შემდეგ წერილს მიგზავნის, მამხნევებს - ის ერთ-ერთი იმ იშვიათი ადამიანთაგანია, რომელსაც თვალებში შეხედვას ვერ ვუბედავ.

### 2 მარტი, პარასკევი

დილის რვა საათზე ტულონში მივემგზავრებით. ჩვენთან ერთადაა ჩვენი მასაჟისტის მამა, რომელიც კვალიფიციური მსაჯია და პირველი დივიზიონის შეხვედრებს ემსახურება. ის ჩემი მეგობარია, ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე, ძირითადად თამაშის წესებზე. აბსოლუტურად მიუკერძოებელია. ის ჩემი გუნდის თამაშის არბიტრად რომ დანიშნონ, დარწმუნებული ვარ თავის სიმპათიას ჩვენ მიმართ იოტისოდენადაც არ გამოავლენს. არაფერს გვაპატიებს. სწორედ ამიტომააცაა ჩემი მეგობარი. ცხადია, წესები კარგად იცის, მაგრამ როგორც სხვა ისიც ადამიანია და შეიძლება შეცდეს.

ამასობაში ერთმა სარაგბო აგენტმა დამირეკა:

- ბურგუნდიაში კარგი რვა ნომერი აღმოვაჩინე, აიყვანე, არ ინანებო. თანაც სხვა გუნდებიდანაც აქვს მიპატიჟება და პასუხი ოთხშაბათამდე უნდა გასცეო.

ძნელია ასე უნახავად რამე უპასუხო. ვუთხარი:

- თუ "ოშში" თამაში უნდა ცოტა ხანს მოიცდის, არადა ძალით არავის ვიჭერთ-მეთქი.

განრისხდა, ლამის ყურმილში ამოხტა:

- შენ ცუდი კაცი ხარ. ადამიანი ვერაფერს გაგაგებინებს. შენი დანახვაც არ მინდაო.

ნეტა, რა დავუშავე?

### 3 მარტი, შაბათი

"ტულონთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს. მიყვარს ასეთი თამაშების წინ გუნდის დამოძღვრა. ბიჭებს, ინდიელთა ტომის, აპაჩების ბელადის ჯერონიმოს სიტყვები გავახსენე: - როცა ბოლო ხეს მოჭრიან, როცა ბოლო მდინარეს მოწამლავენ, როცა ბოლო თევზს დაიჭერენ, მხოლოდ მაშინ გავიგებთ, რომ ფული არ იჭმევა!

"ტულონი" მდიდარი გუნდია, ბევრი ფული აქვს. მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ ვაჟკაცები ვართ და ასეთებად უნდა დავრჩეთ ნებისმიერ შემთხვევაში. თამაშს ფული არ იგებს, თამაშს ბოლომდე თავდადებული, უშეღავათო ბრძოლა იგებს.

ფელიქს მაიოლის სახელობის სტადიონზე 14 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. ტულონში ყველაზე ხმაურიანი მაყურებელია მთელ საფრანგეთში. გამაყრუებელი ყიჟინა მთელი მატჩის განმავლობაში წამითაც არ შეჩერებულა. წავაგეთ, თუმცა ჩემი ბიჭების ბრძოლისუნარიანობით მაინც აღფრთოვანებული ვარ. გასახდელში ჩუმად ვარ, ხმას არ ვიღებ. რამდენიმე კაცმა ერთმანეთში წაიკამათა. რაღაცით უკმაყოფილონი იყვნენ, თუმცა აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ტულონელი პუბლიკის გამო. გასახდელიდან გამოსასვლელში დიდი ბრბო გველოდება. იქ ჩვენი ქომაგებიც არიან, რომლებსაც "ოშის" თამაში ისევე მოწონებიათ, როგორც მე. ტულონელები ტაშს გვიკრავენ. რამდენიმე მათგანმა კი წამოიძახა: - ანრი, შენ მაიოლზე ვერასოდეს მოიგებ!

"ტულონის" პრეზიდენტი მურად ბურჯელალი ავტობუსში ამოვიდა, კარგი თამაში მოგვილოცა და პირადად დაგვპატიჟა ბანკეტზე. იმ საღამოს მისი თვალები საკუთარი გუნდისადმი უსაზღვრო სიყვარულით ბრწყინავდნენ.

### 4 მარტი, კვირა

5 საათზე უკვე ოშში ვართ. თვალები უძილობისგან დამწითლებია. 9 საათზე ადგილობრივი გაზეთი ვიყიდე. სეგოლენის ვიზიტი ოშში წარმატებული გამომდგარა. ბევრი მომხრეები ჰყოლია. ქალაქის მერს დარბაზში დიდი აუდიტორიის წინ წაუმღერია: "სეგოლენ, შენ ისეთი ლამაზი ხარ, სეგოლენ გაზაფხულივით ჰყავავი..."

მეტყევე, ფილიპი და მისი შვილი ლულუ, მსაჯი, ტულონის გიჟი ქომაგები, მურად ბურჯელალი, სეგოლენი.... მოხუცი კაცისთვის ნამეტანია ამდენი ემოცია...



ანრი ბრონკანი (მარცხნივ)

ფესტივალი

# ფედერაცია და ლელო გაუწყებთ...

ა.წ. 27 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე მილანში ტარდება მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება სპორტულ თემატიკაზე შექმნილი ფილმები (მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო, ანიმაციური). მთავარი პრიზი - 5 000 ევრო.

საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაცია და გაზეთ "ლელოს" რედაქცია მსურველებს აუწყებს, რომ ფედერაციის ეგიდით კინოფორუმში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ წარუდგინონ ფილმები შესარჩევ კომისიას 30 ივლისამდე.

***მისამართი:** კოსტავას ქ. 14*

***ტელეფონი/ფაქსი:** 99 56 14, 46 30 97*

*საქართველოს პორტული კინოსა და TV ფედერაცია, გაზეთ "ლელოს" რედაქცია*




კადრები სრულმეტრაჟიანი ქართული სპორტული ფილმიდან "სტადიონი" (რეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი). ამ სურათმა მილანის 21 კინოფესტივალზე 2003 წელს მიიღო სუპერპრიზი "ებერჰარდი" - "ყველა ნომინაციაში საუკეთესო ფილმისთვის", გადაღებიდან 23 (!) წლის შემდეგ.

რაგბი. შვიდკაცა

# ვიწყებთ ტუნისით

**ამ სეზონიდან საქართველოს რაგბის კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შვიდკაცა რაგბის აღორძინებას. ამისთვის კავშირის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ცალკე პროექტი, რომელსაც სანაკრებო კომიტეტთან ერთად საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების მენეჯერი გიორგი ასათიანი და მწვრთნელები მამუკა ტყეშელაშვილი და კახა ალანია განახორციელებენ. გუშინ მათ პრესკონფერენცია გამართეს.**



**მამუკა ტყეშელაშვილი:** - საქართველოს ნაკრები 17-18 მარტს, ტუნისში ითამაშებს შვიდკაცა რაგბის ტურნირზე, სადაც მასპინძლებთან ერთად, საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრებებიც იასპარეზებენ. ჩვენი გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე გუნდი მთლიანად საქართველოში მოთამაშე მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული. ამით "აქაურებს" მოტივაციას გავუზრდით და მათ შემდგომ დაოსტატებასაც ხელს შევუწყობთ. წლეულს მსოფლიო სერიის ორ ეტაპზე და ევროპის სერიაში გვიწევს ასპარეზობა. ტუნისის ტურნირი სწორედ ამ შეჯიბრებისთვის მზადების ეტაპია.

**კახა ალანია:** - როცა ვამბობთ, რომ გუნდი ძირითადად აქ მოთამაშე მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული, ეს არ ნიშნავს, თითქოს ლეგიონერებს მთლიანად იგნორირებას ვუკეთებთ., მსოფლიო სერიის ეტაპებისთვის ლონდონსა და ედინბურგში რამდენიმე ლეგიონერით აუცილებლად გავძლიერდებით. ტუნისში, შედეგზე ლაპარაკი ნაადრევია. ასეთი შემადგენლობით გუნდი პირველად თამაშობს და ვნახოთ, თავს ვინ როგორ გამოიჩენს. თავდაპირველად 30 მოთამაშე შევკრიბეთ და მათგან 12 შევარჩიეთ.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, წლეულს მოვიგოთ ევროპის სერია, რომლის ფინალური ეტაპიც მოსკოვში გაიმართება და მსოფლიოს სერიაშიც შეძლებისდაგვარად წარმატებით ვითამაშოთ. მთავარია, რაგბის ამ სახეობაში დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ და მომავალ წელს მსოფლიო სერიის ორი ეტაპის ნაცვლად 4-5 ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ქართული შვიდკაცა ტუნისის ტურნირისთვის:** ლექსო გუგავა (ლოკომოტივი), ვახტანგ ახვლედიანი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა (ყოჩები), დავით ჟამუტაშვილი (ხულიგანა), სანდრო ნაყარაძე (ყოჩები), ბექა სარდანაშვილი (ლელო), დავით კიკნაძე (აკადემია), დავით ჩიტიძე (ლელო), გიორგი ჯორჯაძე (ყოჩები), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ზვიად კობერიძე (ყოჩები), ლაშა ფირფილაშვილი (ლელო).

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ფრენბურთის განვითარების კომისიის წევრს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრს, ლევან ახვლედიანს.

# დაუმარცხებელი ჩიხლაძე და ოსაძის დებიუტი


ჩიხლაძე ლიხტენშტაინში

იანვრის ბოლოს საქართველოს მეორე ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** (586) ავსტრიულ ტურნირში **მარტინ ფიშერთან** წააგო. მას მერე ლადომ ზედიზედ ცხრა მატჩი მოიგო, მათ შორის თბილისში "დევისის თასზე". ლოიგერნის ტურნირის მოგების შემდეგ ქართველი მიზანთან ლიხტენშტაინის "რაიფაიზენ ტროფიზეც" ახლოსაა. ტურნირის მერვედფინალში განუთესავი ჩიხლაძე ბელგიელ **მაქსიმ ოთომს** (716) შეხვდა და 6:4, 6:3 მოუგო. მეოთხედფინალში ჩიხლაძის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი 19 წლის გერმანელი **დავიდ კლირი** (470) იყო. ამ მატჩშიც ქართველმა იმარჯვა - 6:2, 7:6. აქვე დავძენთ, რომ ამ ცხრა მატჩში ლადომ მხოლოდ ორი სეტი დათმო, ისიც - ტაი-ბრეიკით.

ესპანეთში 10-ათასიან ტურნირში, რომელიც ქალაქ ბადალონაში გაიმართება, გამოჩნდა ქართველი **რევაზ ოსაძე**. 16 წლის ოსაძეს ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის "უაილდ ქარდი" მისცეს. პირველ წრეში ის ესპანელ **მიგელ ოლასო-დე ლა რიკას** შეხვდება. ეს იქნება რეზოს სადებიუტო მატჩი პროფესიულ ჩოგბურთში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ოქსანა კალაშნიკოვა

## ოქსანა რომას წინააღმდეგ

წლევანდელ პირველ ტურნირში თამაშობს 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**. ლუქსემბურგის ღია პირველობა ახალგაზრდულ სარბიელზე მე-2 კატეგორიის ტურნირია, ქართველი მეორე ნომრად არის განთესილი (მსოფლიო კლასიფიკაციაში 41-ე). ოქსანა შესანიშნავად თამაშობს: პირველ წრეში მან საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსული პოლონელი **ალექსანდრა გრელა** დაამარცხა - 6:1, 7:6, მეორეში კი ჰოლანდიელ **ანგელიკ ვან დერ მეეტს** მოუგო - 6:2, 6:1. მეოთხედფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე ბელგიელი **იანინა ვილმაირი** იყო, ჩვენებურმა ორ სეტში იმარჯვა - 6:4, 6:3. ლუქსემბურგის ღია პირველობაზე ნახევარფინალების დროა, კალაშნიკოვა მე-4 ნომრად განთესილ შვედ **სანდრა რომას** (50) ხვდება.

## შეწყვეტილი სერია

ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების შემდეგ დამარცხდა 17 წლის **მანანა შაფაქიძე**, რომელიც ისრაელის ქალაქ რამათ-ჰაშარონის საჩოგბურთო ტურნირში თამაშობდა. ოთხიდან ორი მატჩი მანანამ საკვალიფიკაციო ტურნირში გამართა, ასე რომ, ის ტურნირის მეოთხედფინალში დამარცხდა. შაფაქიძე მე-7 ნომრად განთესილ ფრანგ **კლერ ფუერსტეინს** ხვდებოდა, ქართველმა ორ სეტში დათმო - 3:6, 3:6. აღსანიშნავია, რომ მანანამ საერთაშორისო ტურნირში ნოემბრის შემდეგ პირველად ითამაშა, მაშინაც ის ისრაელში ასპარეზობდა. ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგში მანანა შაფაქიძის და **ნათია გეგიას** დუეტი მეოთხედფინალში დამარცხდა მე-2 ნომრად განთესილ ჩეხებთან (გერლოვა, კრიეგსმანოვა) 1:6, 2:6.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი

# აჭარა მთელი საქართველოს სახელით

13-17 მარტს თურქულ იზმირში იმართება მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობა, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ქალები გამოვლენ და ესეც მთლიანად აჭარის ნაკრებია. ქალთა ნაკრების ღირსებას **ხათუნა ნარიმანიძე, ოლგა ლადიგინა** და **ასმათ დიასამიძე** დაიცავენ, გოგონების ტურნირში კი **ნათია ცინცაძე** გამოვა.

ესაა არაოლიმპიური დისტანცია და ამიტომ გუნდის დაფინანსება თბილისში ყველამ იუარა. საბოლოოდ მშვილდოსნებს მხსნელად ისევ აჭარის ხელისუფლება მოევლინა, ცინცაძეს კი მშობლიური ხელვაჩაურის რაიონი აფინანსებს. საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციას იზმირში ახალგაზრდა **ნატო ბაგრატიონის** გაგზავნაც სურდა, თანხებიც მოიძია, მაგრამ გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებებით სპორტსმენი მწვრთნელმა არ გაუშვა. ფედერაციამ ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **ქრისტინე ესებუა** არ გაუშვა ტურნირზე - რადგან, ფედერაციის აზრით, შეჯიბრება არაოლიმპიურ დისტანციაზე იმართება და იქ გამოსვლა სპორტსმენს არაფერს შემატებდა. ამიტომ, ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ.

ეს ტურნირი ადრე ევროპის პირველობის ეგიდით ტარდებოდა და ევროპული ფედერაციის მაშინდელმა თურქმა პრეზიდენტმა **უგურ ერდენერმა** დააარსა. მოგვიანებით ერდენერმა ევროპული პრეზიდენტის სავარძლიდან მსოფლიოსაში გადაინაცვლა და ადრინდელ ევროპულ ტურნირებსაც რანგი მოემატათ - ევროპულის ნაცვლად, მსოფლიოსი ეწოდათ. ვიდრე რანგი მოემატებოდა, ჩვენებმა ორჯერ მოასწრეს ევროპის ზამთრის პირველობაზე წარმატების მოპოვება - 2002 წელს ვერცხლის მედლები მოიპოვეს, 2004-ში - ბრინჯაოსი.

**ირაკლი თავაძე**



ევროპის ჩემპიონატი

# იქნებ მედლებს გაარტყან

12-18 მარტს ფრანგულ დოვიში ევროპის პირველობა ტარდება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელშიც ჩვენები უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ. ქალთა ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი** ისვრიან, კაცებში **სერგი ჩიტაიშვილი, ლევან ქადაგიძე** და **ბესიკ სირაძე** გამოვლენ. გოგონების ტურნირში **თეონა იაშვილი** ჩაებმება, ჭაბუკებში - **გიორგი ბერიშვილი და ბექა გოგინაშვილი.**

ვაჟთა და ქალთა ნაკრებებმა მიუნხენში ერთკვირიანი შეკრებაც გაიარეს **ვახტანგ სალუქვაძის** მეთვალყურეობით და იქიდან ჩავლენ საფრანგეთში, ახალგაზრდები კი **გივი ბოსტოლანაშვილის** თავკაცობით კვირას გაფრინდებიან ვენა-პარიზის მიმართულებით.

ჩემპიონატი 13-ში გაიხსნება, მეორე დღეს კი გოგონები ისვრიან. 15-ში ჭაბუკები იასპარეზებენ, 16-ში კაცები, ტურნირს კი 17-ში ქალები დაამთავრებენ.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ჩვენი ქალთა ნაკრები ტალინში, სწორედ პნევმატური პისტოლეტით სროლაში კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ვინძლო, ახლაც გაარტყან მედალს.

**ირაკლი თავაძე**



მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ფელპსი ტორპის რეკორდს უმიზნებს



ფელპსი ტორპის უკვდავი რეკორდის დასამხობად ემზადება

სპორტიდან **იან ტორპის** წასვლის შემდეგაც, ამერიკელი სუპერმოცურავე **მაიკლ ფელპსი** ავსტრალიელ "ტორპედოსთან" გაჯიბრებას აპირებს, ოღონდ ამჯერად მეტოქის დაუსწრებლად - როგორც მისმა მწვრთნელმა **ბობ ბაუმანმა** განაცხადა, ფელპსს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ტორპის რეკორდის გაუმჯობესება სურს. თანაც, ამერიკელი ამის გაკეთებას ავსტრალიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებს, რისთვისაც ის თურმე დიდი მონდომებით ემზადება.

ფელპსი ახლა 21 წლისაა და მას არაერთხელ განუცხადებია, რომ სურს, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე გახდეს. მასზე ამის თქმა ახლავე შეიძლება, თუმცა თავად მოცურავე და მისი მწვრთნელი თვლიან, რომ სანამ 200 მეტრზე თავისუფალში რეკორდი (1 წუთი და 44.06 წამი) ტორპს ეკუთვნის, მაიკლი ყოველთვის მის ჩრდილში იქნება მოქცეული.

შეგახსენებთ, რომ ამ დისტანციაზე ფელპსისა და ტორპის უშუალო დაპირისპირება, თანაც ისეთი, რომელშიც მათ გარდა კიდევ ერთი სახელოვანი მოცურავე, ჰოლანდიელი **პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდი** მონაწილეობდა, ათენის ოლიმპიადაზე შედგა. ასპარეზობა ტორპმა მოიგო, რომელმაც მცირედით ჩამოიტოვა სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰოლანდიელი. ამერიკელი კი ბრინჯაოს დასჯერდა. მაშინ თავისუფალი სტილი მისი ფავორიტი დისციპლინა არ იყო. სამაგიეროდ, ათენში ფელპსმა ოქროს ექვსი მედალი მოიპოვა. ინდივიდუალურ გამოსვლაში კი ერთადერთი მარცხი სწორედ 200 მეტრზე თავისუფალში იწვნია.

ათენის შემდეგ, მონრეალში (კანადა, 2005 წელი) ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც არც ტორპს უასპარეზია და არც ვან დენ ჰოოგენბანდს, ფელპსმა 200 მეტრზე თავისუფალში ოქრო მაინც მოიპოვა, თუმცა იმ ტრიუმფს აშკარად აკლდა მარილი.

ერთი საინტერესო სტატისტიკა: ამ დისტანციაზე მსოფლიოში რვა საუკეთესო შედეგი ტორპს ეკუთვნის. ავსტრალიელის გარდა, ვან დენ ჰოოგენბანდი ერთადერთია, ვისაც დისტანცია წუთსა და 45 წამზე ნაკლებში გაუცურავს. შემდეგ კი ფელპსი მოდის, ვისი საუკეთესო შედეგიც (ყველა დროის მეათე საუკეთესო) ჯერჯერობით 1:45.20-ია.

იმისათვის, რომ ტორპის რეკორდს გაუმკლავდეს, ფელპსმა თავის საუკეთესო შედეგს წამზე მეტი უნდა მოაკლოს. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელმა, მისურის დიდ პრიზზე გამოსვლისას, 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა, ის დარწმუნდა, რომ კარიერის განმავლობაში ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ყოფილა და ამან თავდაჯერება კიდევ უფრო გაუძლიერა.

*"არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ რეკორდის გაუმჯობესებას. ეს ძალიან ძნელი იქნება. სამაგიეროდ, ის, ვინც ამ რეკორდს დაამხობს, გახდება ცურვის ისტორიაში პირველი კაცი, ვინც ამ დისტანციას წუთსა და 44 წამზე ნაკლებში გაცურავს. მე ხშირად ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ დაამყარა იანმა ეს რეკორდი. ის ოთხივე მონაკვეთზე შეუდარებელი იყო, რბოლა კი წარმოუდგენელ ტემპში დაასრულა. ვიცი, რომ თუ გამძლეობაში მეტს ვივარჯიშებ, უფრო სწრაფიც გავხდები. რამდენიმე წელია, 1:45-ს ვერ ჩამოვცილებულვარ. ახლა კი დროა, ჩემი საუკეთესო შედეგი მნიშვნელოვნად გავაუმჯობესო"* - ამბობს ფელპსი.

ბაუმანმა ტორპის სარეკორდო გაცურვის ჩანაწერი დაწვრილებით შეისწავლა. მან კარგად იცის, დისტანციის რომელ მონაკვეთზე რა სიჩქარე ჰქონდა ოზ "ტორპედოს". ჰოდა, ამ ცოდნის შესაბამისად, ფელპსის მზადებაც დაგეგმა. მაიკლი ბაუმანის მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად უკვე ერთი წელია, ვარჯიშობს. განსაკუთრებით კი აქცენტს გამძლეობასა და წყალქვეშ დელფინის სტილით ცურვის დახვეწაზე აკეთებს.

*"ტორპს ორი სუპერრეკორდი აქვს დამყარებული - 200 და 400 მეტრზე. თუ მაიკლი პირველ ას მეტრზე ტორპის გრაფიკთან შედარებით, ოდნავ სწრაფი იქნება, მაშინ მას რეკორდის გაუმჯობესების შანსიც გაუჩნდება. იანს ფანტასტიკური ბოლო 50 მეტრი ჰქონდა. ამიტომ, თუ მისი რეკორდის დამხობა გვსურს, მას პირველ სამ მუხლზე უნდა მოვუგოთ. მაიკლის უპირატესობა სტარტი და კედელთან მობრუნებისას, წყალქვეშ ცურვაა"*, - ამბობს ბაუმანი და იმედოვნებს, რომ პირველ ას მეტრს ფელპსი 48 წამზე ნაკლებში გაცურავს (ტორპის საუკეთესო შედეგი 48.56 წამია).

ბაუმანი დარწმუნებულია, რომ ფელპსის მიერ ბატერფლაიში დამყარებული ბოლო რეკორდი სწორედ ახალი სავარჯიშო განაწესის წყალობაა. ის ამბობს, რომ ასაკის მატების პარალელურად, მაიკლს ძალაც ემატება, რამაც მიზნის მიღწევაში დიდი როლი უნდა ითამაშოს. გაზრდილ ძალაზე მისი სისწრაფეაო დამოკიდებული.

*"მან წონაში მოიმატა, მაგრამ არა ცხიმების, არამედ კუნთოვანი მასის ზრდის ხარჯზე. ეს კი ძალიან კარგია. ამის წყალობით, ის უფრო მაღალ დონეს მიაღწევს. მან ამტანობაც შეინარჩუნა და იმავდროულად, სისწრაფესაც ზრდის. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ მის სტილს ფეთქებადობა შევმატოთ. თუ თავისუფალი სტილით 200 და 100 მეტრზე საუკეთესო იქნება, მაშინ 200 მეტრზე შერეულ, ინდივიდუალურ სტილში კიდევ უფრო სწრაფი გახდება"*, - დასძენს მწვრთნელი.

ბაუმანს მელბურნში კიდევ ერთი მიზანი აქვს და ეს მიზანიც ავსტრალიელთა მეორე რეკორდის დამხობაა. ეს რეკორდი (7 წუთი და 04.66 წამი) ოზებს (ტორპი, **გარნტ ჰეკეტი, მაიკლ კლიმი** და **ბილ კირბი**) 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ეკუთვნით და ის მათ 2001 წელს დაამყარეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ფლეი ოფი მხოლოდ დასაწყისი იქნება

დიდი ამბიციები აქვს "ჩიკაგო ბულზს". სეზონის დაწყებამდე **ბენ უოლასითა** და **პი. ჯეი. ბრაუნით** გაძლიერებულმა გუნდმა, რეგულარული მოქმედი ჩემპიონების - **შაკისა** და **დუეინ უეიდის** "ჰიტის" მისსავე მოედანზე განადგურებით გახსნა და თითქოსდა, ყველაფერი მშვენივრად უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა დაიკარგა სტაბილურობა და მასთან ერთად, დამაჯერებლობაც. "ჩიკაგოს" რომ მოგება-წაგების გრაფაში დადებითი ბალანსი აქვს, ეს, პირველ რიგში, რამდენიმე მოთამაშის ინდივიდუალური ოსტატობის დამსახურებაა და რომ არა **ბენ გორდონის, კირკ ჰაინრიხისა** და ყველაზე მეტად, **ლუოლ დენგის** (კარიერაში საუკეთესო სეზონს რომ ატარებს) გაბრწყინება, რეკლამირებული "ბულზი" გათამაშების ცხრილში დღევანდელზე გაცილებით ცუდ პოზიციაზე იქნებოდა.

წინა მატჩში გუნდი უეიდის გარეშე მოთამაშე "მაიამისთან" შერცხვა, ერთი დღის მერე კი, საკმაოდ სიმპათიური "მეჯიქი" მისსავე მოედანზე მინასთან გაასწორა.

მეორე მეოთხედის შუაში, სტუმრებმა 4-წუთიანი მონაკვეთი 14:0 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის კომფორტული უპირატესობა დაიბევეს, დარჩენილ დროში მხოლოდ ამ ჰანდიკაპის შელამაზებაზე იზრუნეს. კარგათაც გამოუვიდათ და "ორლანდოს" მისსავე ბუნაგში დაჩოქებით, "ჩიკაგო" ბრძოლას ცენტრალურ დივიზიონში პირველობისთვის აგრძელებს.

წინ გაჭრილ "დეტროიტთან" და "კლივლენდთან" ჩამორჩენის შემცირება დარჩენილ მატჩებში რთულია, მაგრამ არა - არარეალური. ბოლო სეზონებში ხომ სწორედ **სკოტ სქაილზის** გუნდი ატარებს ყველაზე კარგად რეგულარულის დასკვნით ნაწილს. გაიხსენეთ თუნდაც შარშანდელი სეზონი, როდესაც ბევრმა გუნდმა ფლეი ოფის მიღმა დარჩენილებში შეიყვანა, მაგრამ "ჩიკაგომ" სასწაული მოხდინა და მაინც მოახერხა აღმოსავლეთის რვა საუკეთესო გუნდში შესვლა. ფლეი ოფში "ბულზმა" ორი მატჩი ძალიან დამაჯერებლად მოუგო მომავალ ჩემპიონს, თუმცა "ჰიტმა" სერია თავის სასარგებლოდ, 4:2 დაასრულა.

დენგმა 14 მოხსნით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა და თავისი 15-ივე ქულა გუნდს დიდი შესვენების მერე შესძინა. ლუოლი დაცვაშიც შეუდარებელი იყო და მის მარწუხებში მოქცეულმა **გრანტ ჰილმა,** თამაშიდან ხუთივე სროლა გააფუჭა და მატჩი 27 წუთში მხოლოდ 7 ქულით ჩაამთავრა. არა უშავდა ბენ უოლასსაც, თუმცა უკვე მერამდენედ გვიწევს იმაზე საუბარი, რომ ეს კაცი თავის წინა გუნდში თავს მეტად კომფორტულად გრძნობდა.

*"ფლეი ოფში უკვე თითქმის გასულები ვართ. "ჩიკაგოსთვის" ეს ნაღდად არ არის ამ სეზონში დასახული უმთავრესი მიზანი. გადახედეთ ჩვენს შემადგენლობას. რატომღაც მგონია, რომ მაიკლ ჯორდანი ფლეი ოფის დასრულების მერე ჩვენით იამაყებს. "ბულზი" დიდი ტრადიციების მქონე გუნდია და ამ ტრადიციებს გაფრთხილება უნდა"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ბენ გორდონი (5-დან 4 ზუსტი სამქულიანი), რომელიც ერთ მატჩში საშუალოდ 21.4 ქულას, 3.6 შედეგიან გადაცემასა და 3.2 მოხსნას აგროვებს.

შერცხვა **დარკო მილიჩიჩი**. უნიჭიერესმა სერბმა 16 წუთში ოდენ 2 ქულა დააგროვა და შეხვედრა 5-5 მოხსნითა და პერსონალური შენიშვნით დაასრულა. "მეჯიქის" წაგება კი, პირველ რიგში, "ნიუ ჯერსისა" და "ნიუ იორკს" წაადგა.

■ ■ ■

შეუჩერებელია "სან ანტონიო". არ ვიცი თქვენ რა აზრის ხართ, მაგრამ **სტივ ნეშისა** და მისი "ფინიქსისადმი" დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვინც "დალასისა" და "სპურსის" სერიაში მოიგებს (და ეს საფლეიოფო სუპერჯახი ალბათ, მხოლოდ დასავლეთის ფინალში თუ შედგება), ჩემპიონადაც ის უნდა გამოცხადდეს.

სამი ვეშაპის (**დანკანი-ჯინობილი-პარკერი**) სტაბილური, ხოლო ბოლო მატჩებში მანუ ჯინობილის მართლაც რომ ენითაუწერელი გამოსვლით, "სპურსმა" ზედიზედ მე-11 გამარჯვება მოიპოვა.

**გრეგ პოპოვიჩის** ბიჭებს ამჯერადაც ოდნავ გაუჭირდათ, მაგრამ როგორც კი ბოლო წუთებზე მასპინძლებს მოგების მცირე იმედი ჩაესახათ, "აფეთქდა" ჯინობილი (9-დან 5 ზუსტი შორეული გასროლა და დაცვაში **მაიკ ბიბის** წინააღმდეგ ფანტასტიკური თამაში), გამოცოცხლდა ტიმ დანკანი (რომელმაც პირველ 5 საჯარიმოდან 4 გააფუჭა, შემდეგი 5 კი უშეცდომოდ შეასრულა), სწრაფი გარღვევებით ზედიზედ 6 ქულა ჯერაც ტრავმირებულმა ტონი პარკერმა გააკეთა და სოფელიც აშენდა.

ამის ფონზე, შეუმჩნეველი დარჩა "კინგზის" ახალგაზრდა უკანახაზელის, **კევინ მარტინის** ძალიან კარგი გამოსვლა, რომელმაც 12 მოხსნით კარიერის რეკორდი დაამყარა. ერთ რამეში "კინგზის" ბოსები ნამდვილად არ შეცდნენ - სწორად მოიქცნენ, როდესაც რეგულარულის დაწყებამდე თავნება **ბონზი უელსი** მოიშორეს (ეს უკანასკნელი ახლა "ჰიუსტონის" უიმედო რეზერვისტია) და მარტინს სრული ნდობა გამოუცხადეს. ეს ბიჭი კარიერაში საუკეთესო სეზონს ითვლის, რაზეც მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარიც (21.4 ქულა, 4.2 მოხსნა, 2.2 პასი) მეტყველებს. ამასთან ერთად, იგი საჯარიმოებს 85-პროცენტიანი სიზუსტით ასრულებს.

"სპურსმა" გასვლაზე 24-ე გამარჯვება მოიპოვა, რაც ლიგაში საუკეთესო შედეგია. დამღლელი გასვლითი ვოიაჟების მერე, დანკანსა და მის თანაგუნდელებს შინ სულის მოთქმის შანსი მიეცემათ. მომდევნო ორ შეხვედრაში "სან ანტონიო" საკუთარ მოედანზე "ნიუ ჯერსისა" და "კლიპერსს" იღებს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტეხასური გრანდი კიდევ ორი მოგებით შეილამაზებს სატურნირო მდგომარეობას.

**ზურაბ თალაკვაძე**



ლუოლ დენგი

**ორლანდო-ჩიკაგო 76:100**

17:26, 12:23, 19:22, 28:29

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (17 ქ. 14 მ. 2 პ. 2 დ), ნელსონი (13 ქ), არიზა (10 ქ).

**ჩიკაგო:** გორდონი (25 ქ. 5 მ), ჰაინრიხი (17 ქ. 5 პ), დენგი (15 ქ. 14 მ), ბ. უოლასი (6 ქ. 12 მ. 3 ჩ).

**საკრამენტო-სან ანტონიო 93:100**

19:25, 25:23, 17:17, 32:35

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (26 ქ. 12 მ), უილიამსონი (21 ქ), ბიბი (12 ქ. 6 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (8 ქ. 8 მ)

**სან ანტონიო:** ჯინობილი (31 ქ. 5 მ. 4 ჩ. 3 პ), დანკანი (16 ქ. 13 მ. 2 ჩ. 2 დ), ტ. პარკერი (15 ქ. 5 პ. 4 მ).

## ევროლიგა. TOP 16. IV ტური

### D ჯგუფი

**პო ორტეზი-რომა 74:69**

23:19, 18:19, 14:14, 19:17

**პო-ორტეზი:** სანდერსი (17 ქ), მ. რაიტი (15 ქ. 4 მ), ფერშო (14 ქ), ა. მაილზი (11 ქ. 7 მ).

**რომა:** ბოდიროგა (14 ქ. 5 მ), კიაჩიგი (14 ქ. 11 მ), ჩეტმენი (11 ქ. 6 მ), გარი (10 ქ).

**ტაუ-მაკაბი 94:73**

25:15, 25:18, 20:21, 24:19

**ტაუ:** სკოლა (25 ქ. 5 მ), სპლიტერი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ), არსლანი (11 ქ), ფ. ჰაუსი (10 ქ).

**მაკაბი:** ელიაჰუ (19 ქ. 11 მ), ბერშტაინი (11 ქ), დ. შარპი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 4-0 | +85 |
| 2. მაკაბი | 2-2 | -26 |
| 3. რომა | 1-3 | -40 |
| 4. პო ორტეზი | 1-3 | -19 |

### E ჯგუფი

**ხუვენტუდი-ცსკა 65:73**

17:21, 15:21, 13:16, 20:15

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (14 ქ. 9 მ. 3 პ), რ. არჩიბალდი (12 ქ. 6 მ), გეინსი (11 ქ).

**ცსკა:** ჰოლდენი (17 ქ. 3 პ), სმოდიში (14 ქ. 7 მ. 2 ჩ), ლენგდონი (13 ქ).

**ოლიმპიაკოსი-პარტიზანი 79:75**

23:16, 14:13, 17:26, 25:20

**ოლიმპიაკოსი:** აკერი (25 ქ. 6 მ), ჯ. პენი (13 ქ. 6 მ. 4 პ), ბურუსისი (9 ქ. 9 მ).

**პარტიზანი:** პეროვიჩი (19 ქ. 11 მ), ვ. კამინგსი (17 ქ. 6 მ), ტრიპკოვიჩი (10 ქ. 5 მ), ტეპიჩი (10 ქ. 5 მ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 4-0 | +64 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 2-2 | -11 |
| 3. პარტიზანი | 1-3 | -20 |
| 4. ხუვენტუდი | 1-3 | -33 |

### F ჯგუფი

**ეფესი-პანათინაიკოსი 65:79**

20:15, 15:20, 20:20, 10:24

**ეფეს პილზენი:** ნიკოლასი (21 ქ. 5 პ), პეისლიპი (14 ქ. 12 მ. 3 ჩ. 2 დ), კოუგო (10 ქ. 6 მ).

**პანათინაიკოსი:** ბეჩიროვიჩი (16 ქ. 7 მ. 4 პ), შიშკაუსკასი (14 ქ), ცარცარისი (10 ქ. 9 მ. 2 ჩ), დიამანტიდისი (9 ქ. 6 პ. 5 ჩ. 4 მ).

**პროკომი-ბარსელონა 59:77**

21:24, 11:21, 20:14, 7:18

**პროკომი:** სლანინა (16 ქ. 3 მ), რ. ეტკინსი (13 ქ. 3 მ), პუკიჩი (11 ქ. 6 მ).

**ბარსელონა:** კაკოუზისი (13 ქ. 7 მ), ლაკოვიჩი (12 ქ), ნავარო (10 ქ. 5 პ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 4-0 | +67 |
| 2. ბარსელონა | 3-1 | +26 |
| 3. პროკომი | 1:3 | -39 |
| 4. ეფეს პილზენი | 0:4 | -17 |

### G ჯგუფი

**ბენეტონი-უნიკახა 76:79**

20:21, 17:16, 16:23, 23:19

**ბენეტონი:** გორე (20 ქ. 4 მ. 2 პ), შუმპერტი (17 ქ. 4 მ), ჯილი (9 ქ).

**უნიკახა:** სანტიაგო (23 ქ. 8 მ. 5 დ), ველში (21 ქ. 3 მ), კაბეზასი (11 ქ).

**დინამო-არისი 71:69**

21:17, 17:21, 15:17, 18:14

**დინამო:** ფოცისი (28 ქ), პაპადოპულოსი (11 ქ. 10 მ. 2 დ), დინი (10 ქ. 7 მ).

**არისი:** სკეილსი (25 ქ. 4 მ. 3 ჩ), კესტლი (12 ქ), მ. უილკინსონი (10 ქ), მასეი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. უნიკახა | 3-1 | +13 |
| 2. დინამო | 3-1 | +1 |
| 3. ბენეტონი | 2-2 | +3 |
| 4. არისი | 0-4 | -17 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

## ეკლსტოუნი და მონტეძემოლო მასასკენ იხრებიან

58-ე მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე ორი კვირით ადრე, ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა და ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ეკლსტოუნმა** თავისი მოსაზრება გამოთქვა მომავალი სეზონის შესახებ.

გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, 76 წლის ეკლსტოუნი ამბობს, რომ წელს ჩემპიონის ტიტულს "ფერარის" ბრაზილიელი პილოტი **ფელიპე მასა** მოიგებს და ამ ტრიუმფის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, იტალიური გუნდის ტექნიკურ შტაბში ლეგენდარული გერმანელის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **მიხაელ შუმახერის** ყოფნა იქნება.

როგორც იცით, შუმიმ გასული სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა, მაგრამ ის "ფერარისთან" თანამშრომლობას განაგრძობს და როგორც ამბობენ, "წითელ ბარონს" ამ საჯინიბოს სპორტული დირექტორის პოსტისთვის ამზადებენ.

*"შუმახერი აქტიური კარიერის დროსაც კი, ფაქტობრივად, მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდა. ამიტომაც, ეჭვი არ მეპარება, რომ წელს ის ძალას არ დაიშურებს იმისთვის, რომ მასას ჩემპიონობაში დაეხმაროს"*, - ამბობს ეკლსტოუნი.

■ ■ ■

ბრაზილიელი პილოტის ფავორიტობაზე საუბრობს "ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დი მონტეძემოლო**, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავს იმით, თუ რა ბრწყინვალე შედეგები აჩვენა მასამ ზამთრის ტესტებზე.

*"ტესტებზე ფელიპეს გამოსვლამ, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება"*, - განაცხადა "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში დი მონტეძემოლომ.

*"საერთო ჯამში კი, არ ვიზიარებ იმ საყოველთაო ოპტიმიზს, რომელიც ბოლო პერიოდში "ფერარის" უკავშირდება,* - ამატებს პრეზიდენტი. - *ის ორი დღე, რომელიც მე მარანელოში ჟან ტოდტისა და გუნდის კომპანიაში გავატარე, მარწმუნებს, რომ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი"*.

## ჰონდამ ფორმულა 3-ის ჩემპიონი გაიფორმა

ბრიტანეთის ფორმულა 3-ის ჩემპიონმა **მაიკ კონვეიმ** "ჰონდასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და სავარაუდოდ, წლევანდელ სეზონში ის ამ გუნდის ტესტებში მიიღებს მონაწილეობას. წელს, ინგლისელი პილოტის ძირითადი საქმე GP2-ის სერიაში გუნდ Super Nova-ს მანქანით გამოსვლა იქნება. სხვათა შორის, Super Nova-მ "ჰონდასგან" ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მიიღო.

"მადლობას ვუხდი "ჰონდას" ამ ნდობისთვის. ვამაყობ იმით, რომ ამ გუნდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გავხდი. 2007 წელს ახალი გამოწვევა მელოდება. შესანიშნავ ფორმაში ვარ და იმედია, თავს არ შევირცხვენ", - ამბობს იაპონური საჯინიბოს ახალწვეული.

"მაიკმა ქვედა ფორმულებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია, ხოლო ბრიტანულ ფორმულა 3-ში მისი შედეგები მართლაც რომ ბრწყინვალეა. ახალგაზრდა ტალანტებისთვის დახმარების გაწევა - ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და მოხარული ვარ, რომ კონვეი ამ პროგრამის ნაწილი გახდა", - აცხადებს "ჰონდას" სპორტული დირექტორი ჟილ დე ფერანი.

სიჩქარეებით სრიალი

## ჰოლანდიელთა ტრიუმფი

ამერიკის ქალაქ სოლ -ლეიკ-სიტიში სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატმა ცალკეულ დისტანციებში. გუშინ, ოლიმპიურ არენაზე ორი ოქროს მედალი გათამაშდა. ქალებმა 1500-მეტრიან დისტანციაზე იასპარეზეს, ხოლო მამაკაცები 5000 მეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველი დღეს ჰოლანდიელი მოციგურავეების ტრიუმფით დასრულდა.

**ქალები. 1500 მ.** 1. **ირენ ვიუსტი** (ჰოლანდია) - 1.37,570; 2. **სინდი კლასენი** (კანადა) - +0,69; 3. **კრისტინა გროუვსი** (კანადა) - +1,68...

**მამაკაცები. 5000 მ.** 1. **სვენ კრამერი** (ჰოლანდია) - 6.10,7; 2. **ენრიკო ფაბრისი** (იტალია) - + 1,83; 3. **კარლ ვერჰეიენი** (ჰოლანდია) - + 4.51...

კალათბურთი

## ჯონსონი ოთხი კვირა ვერ ითამაშებს

"ატლანტა ჰოუქსის" ლიდერმა **ჯო ჯონსონმა,** მარჯვენა ფეხის ტრავმის გამო, შესაძლოა ერთი თვე ვერ ითამაშოს. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი"ავრცელებს.

კალათბურთელმა დაზიანება ორშაბათს, "მაიამი ჰიტთან" მატჩის დროს მიიღო, როცა პარტნიორმა **ესტებან ბატისტამ** მას შემთხვევით ფეხი ჩაარტყა. სწორედ ამის გამო, ჯონსონმა უკვე გამოტოვა ერთი შეხვედრა "ვაშინგტონის" წინააღმდეგ და მის არყოფნაში, ქართველმა **ზაზა ფაჩულიამ,** 27 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

ჯო ჯონსონი "ატლანტას" ლიდერი გახლავთ - ის საშუალოდ მატჩში 25 ქულასა და 4.4 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

## ტაუს მალკოვიჩი გაწვრთნის

ესპანეთის "ტაუგრესის" პრეს-სამსახურის ინფორმაციით, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა ცნობილი სერბი სპეციალისტი **ბოჟიდარ მალკოვიჩი.** ამ უკანასკნელს თავის კარიერაში ოთხჯერ აქვს მოგებული ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი.

შეგახსენებთ, რომ მალკოვიჩამდე "ტაუს" **ველიმირ პერასოვიჩი** ავარჯიშებდა, რომელიც თებერვალში გულის ავადმყოფობის გამო, საავადმყოფოში მოხვდა. ექიმებმა მას დასვენება გამოუწერეს.

რაც შეეხება მალკოვიჩს, მისი უკანასკნელი კლუბი მადრიდის "რეალი" იყო, რომელიც 2006 წელს დატოვა.

წელს, "ტაუგრესი" წარმატებით თამაშობს ULEB-ის ევროლიგაში. ამ ტურნირის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ესპანურმა კლუბმა 4-დან 4 მოგება მიითვალა და მეოთხედფინალში თამაშის უფლება გაინაღდა.

ჩოგბურთი

## მალისე მასტერსიდან მოიხსნა

ამერიკის ქალაქ ინდიან უელსში სტარტი აიღო მასტერსის სერიის ტურნირმა, სადაც ATP-ის თითქმის ყველა წამყვანი ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

გუშინ გაირკვა, რომ ამ ტურნირში ვერ ითამაშებს მსოფლიო კლასიფიკაციის 29-ე ნომერი, ბელგიელი **ქსავიე მალისე** - მას მარჯვენა მაჯის ტრავმა აწუხებს. სხვათა შორის, ქსავიემ წელს უკვე მოასწრო ATP-ის სერიის ორი ტურნირის მოგება.

ინდიან უელსში მალისე თავისუფალი იყო პირველი წრის თამაშებდიბან. მის ადგილს ძირითად ბადეში მეორე ბელგიელი - **ოლივიე როხუსი** დაიკავებს, რომელიც მეორე წრეში ავსტრიელ **სტეფან კუბეკსა** და ამერიკელ **ვინსენტ სპეიდის** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

# სამთო თხილამურები

## მსოფლიოს თასი

# რაიხმა მოიგო, სვინდალმა თასი აიღო



აქსელ ლუნდ სვინდალი

ავსტრიელი **ბენიამინ რაიხის** გამარჯვებით დასრულდა მიმდინარე სამთო სათხილამურო სეზონში სუპერ კომბინაციის ბოლო ეტაპი, რის შემდეგაც, ამ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსს ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** დაეუფლა. რაიხმა კი აბსოლუტურში ლიდერობა განიმტკიცა.

გუშინდელი გამარჯვების შემდეგ, აბსოლუტურში რაიხი 117 ქულას უგებს სვინდალს, ვინც თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ სეზონის მიწურულს, განსაკუთრებით კი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ინიციატივა რაიხმა იგდო ხელთ, ვინც ბროლის დიდი გლობუსი შარშანაც მოიპოვა და ახლა მისი შენარჩუნების შესანიშნავი შანსი აქვს.

რბოლის პირველ, დაშვების ცდაზე, რაიხს მხოლოდ მე-11 შედეგი ჰქონდა, ლიდერობა კი ხელთ შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ** იგდო, ვისაც მხოლოდ 0.14 წამით ჩამორჩა ამერიკელი **ბოდე მილერი**.

ბოლო ეტაპის წინ, სუპერ კომბინაციის ჩათვლაში წინ შვეიცარიელი **მარკ ბერთო** იყო, ვინც მხოლოდ ერთ ქულას უგებდა სვინდალს. მცირე გლობუსის მოპოვების შანსი ჰქონდა ხორვატ **ივიცა კოსტელიჩსაც**.

ბერთომ თავისი უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო - სლალომის ცდაზე მან სერიოზული შეცდომა დაუშვა, რის გამოც, ლამის ტრასიდანაც გავარდა. საბოლოოდ, მან წონასწორობა კი შეინარჩუნა, მაგრამ საბოლოოდ, მხოლოდ მეცხრე შედეგს დასჯერდა.

დაბოლოს, უამინდობის გამო, ოლიმპიაბაკენის ფერდობზე, სადაც 1994 წლის ლილეჰამერის ოლიმპიადის დაშვებისა და სუპერგიგანტის რბოლები ჩატარდა, დაშვების ტრასა დასამოკლებელი გახდა, რამაც გარკვეული უპირატესობა ტექნიკური დისციპლინების სპეციალისტებს მისცა. თუმცა, საბოლოოდ მაინც უნივერსალმა რაიხმა გაიმარჯვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კვიტფიელი (ნორვეგია)
### კაცები. სუპერ კომბინაცია

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:21.22; 2. სილვან ცურბრიგენი (შვეიცარია) 2:22.63; 3. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:22.78; 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2:22.96; 5. პეტერ ფილი (იტალია) 2:23.14; 6. მარიო შაიბერი (ავსტრია) 2:23.48; 7. ჰანს ოლსონი (შვედეთი) 2:23.75; 8. პიერიკ ბურჟა (საფრანგეთი) 2:24.10; 9. მარკ ბერთო (შვეიცარია) 2:24.30; 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 2:24.36...**

### სუპერ კომბინაციის საბოლოო კლასიფიკაცია

**1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 232; 2. მარკ ბერთო (შვეიცარია) 202; 3. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 200; 4. სილვან ცურბრიგენი (შვეიცარია) 169; 5. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 166...**

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1045; 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 928; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 803; 4. ბოდე მილერი (აშშ) 691; 5. მარიო მატი (ავსტრია) 664...**

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-მინესოტა 1:2**

0:0, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 როსლტონი-27 (ბუშარი-30), 0:2 ბუშარი-18 (ტ. უაიტი-26, სკოულა-13), 1:2 ბოჩენსკი-11 (ვიდემანი-19, პ. ბერჟერონი-41).

**ფილადელფია-ფლორიდა 1:2**

0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 აფანასენკოვი-9 (მ. იორკი-11, კობურნი-5), 1:1 პელტონენი-13 (გრეტონი-16), 1:2 გრეტონი-12.

**ატლანტა-მონრეალი 6:2**

2:0, 4:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-36 (ჟიტნიკი-24, ჰაველიდი-15), 2:0 სიმი-16 (ბელანჟე-16), 3:0 ვიაჩ. კოზლოვი-22 (მარიან ჰოსა-47), 4:0 ბელანჟე-14 (ვიაჩ. კოზლოვი-47, მარიან ჰოსა-48), 5:0 ვიდიე-5 (მელანბი-22, სლეიტერი-13), 6:0 სიმი-17 (ჟიტნიკი-25, კოვალჩუკი-31), 6:1 ლატენდრესი-12 (მ. ჯონსონი-19, მარკოვი-34), 6:2 ბონკი-12 (მ. ჯონსონი-20).

**ფინიქსი-ვანკუვერი 2:4**

0:3, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 კოუენი-6 (ბ. მორისონი-24, ბიეკსა-26), 0:2 ბ. მორისონი-18 (სოპელი-21, ოლუნდი-18), 0:3 ნესლუნდი-22 (სმოლინსკი-26, ბულისი-10), 0:4 ს. სალო-12 (სანტალა-26, ლინდენი-9), 1:4 დოენი-24 (მორისი-11, რაინპრეხტი-16), 2:4 ტეფი-2 (ზ. მიხალეკი-23, დოენი-22).

**ნეშვილი-კალგარი 6:3**

2:1, 2:1, 2:1

**გოლები:** 1:0 სატერი-7 (არნოტი-26), 2:0 არნოტი-23 (დუმონი-38), 2:1 იგინლა-32 (კონროი-21, რეგერი-17), 3:1 აბიდი-1 (ფიდლერი-11, ტუტუ-4), 3:2 იგინლა-33 (ჰუსელიუსი-36, ლენგკოუ-39), 4:2 შ. უებერი-14, 5:2 შ. უებერი-15 (კ. ტიმონენი-38, კარია-46), 5:3 ფრიზენი-4 (პრიმო-11), 6:3 არნოტი-24 (დუმონი-39, რადულოვი-16).

**სენტ ლუისი-დალასი 5:3**

1:0, 2:1, 2:2

**გოლები:** 1:0 ბრიუერი-4 (ბეკსი-7, მაკლემანი-17), 2:0 უეიტი-9 (ბოიესი-23, ბრიუერი-20), 2:1 მოდანო-13 (კონერი-2, ლ. ერიქსონი-10), 3:1 სტემპნიაკი-21 (მაკლემანი-18, ვოივიტკა-5), 3:2 ი. ლეჰტინენი-23 (ბარნსი-10, სიდორი), 4:2 ბოიესი-15 (ჩაიანეკი-29, მ. უოკერი-3), 5:2 უეიტი-10 (მაკლემანი-19, სტემპნიაკი-21), 5:3 ზუბე-18 (მოდანო-15, ზუბოვი-32).

**ოტავა-ტორონტო 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 მ. ფიშერი-16 (მეფერი-27, ალფრედსონი-47), 2:0 მ. ფიშერი-17 (ალფრედსონი-48, კორვო-20), 3:0 მაკამონდი-9 (ვოლჩენკოვი-17, ალფრედსონი-49), 3:1 სტინი-14 (ი. უაიტი-21), 4:1 პრისინგი-6 (სპეცა-41, რედენი-25), 5:1 მაკამონდი-10 (სპეცა-42, ჰიტლი-46).

**აილენდერსი-რეინჯერსი 1:2**

0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 საიმონი-10 (ეშემი-9, პარკი-14), 1:1 მარა-4 (რახუნეკი-20, კულენი-20), 1:2 პრუხა-17 (ნიულანდერი-47, იაგრი-54).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 3:4 (ბ)**

1:0, 0:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მალკინი-30 (რეკი-39, კროსბი-72), 1:1 გრინი-1 (ელიაში-43, რაფალსკი-37), 1:2 ბრილინი-15 (ოდუია-8, გომესი-44), 2:2 გონჩარი-12 (ჯ. სტაალი-10), 2:3 ზაიაცი-13 (ლანგენბრუნერი-31, პარიზე-24), 3:3 ულეტი-14 (მალკინი-41).

**ბულიტები გაიტანეს:** ელიაში (ნიუ ჯერსი).

# ჩოგბურთი

## ტურნირები

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**I წრე**

**ვანია კინგი (აშშ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:4, 3:6, 7:5; **ტამარინე ტანასუგრანი (ტაილ)**-ჯულია ვაკულენკო (უკრ) 7:5, 7:6 (2); **მარტა დომაჩოვსკა (პოლ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:2, 6:1; **აიკო ნაკამურა (იაპ)**-სანდრა კლოზელი (გერ) 2:6, 6:3, 6:4; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 7:6 (1), 7:6 (4); **მენ იუანი (ჩინ)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 5:7, 6:1, 6:1; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-არავან რეზაი (საფ) 6:2, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 3:6, 7:6 (5); **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-ემა ლაინე (ფინ) 6:1, 6:4; **აშა როული (აშშ)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:4, 2:6, 6:0; **ხისელა დულკო (არგ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:4, 6:3; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:3, 6:2; **ლაურა გრენვილი (აშშ)**-კამილ პინი 6:7 (4), 6:2, 6:1; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლ) 6:1, 6:1; **რომინა ოპრანდი (რუმ)**-ლილია ოსტერლო 6:3, 3:6, 6:3; **ვასილისა ბარდინა (რუს)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:0, 3:0 ჰარკლროუდის უარი.

# TV სპორტი

## 10 მარტი. შაბათი

### I არხი

**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).

### იმედი

**16:30** კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-აინტრახტი.
**15:10** საფეხბურთო კლუბი.
**16:00** FUTBOL MUNDIAL. ტელეჟურნალი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შალკე (LIVE).
**20:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მონაკო (LIVE).
**22:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:25** შოტლანდიის ჩემპიონატი. აბერდინი-ჰარტსი.
**00:10** არასაფეხბურთო ისტორიები.
**00:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
**09:50** სპორტინფორმი.
**10:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-აინტრახტი.
**11:50** სპორტინფორმი.
**12:05** რეტრო-ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 1974 წელი. რეალი-ბარსელონა.
**13:50** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**14:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**15:20** სპორტული ტანვარჯიში.
**15:50** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ლოს ანჯელესი.
**17:35** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბორუსია (დ) (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**21:00** კრივი. ნოკაუტების ღამე.
**21:50** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**22:50** სპორტკლუბი.
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ვილიარეალი (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).
**02:55** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბორუსია (დ).
**04:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.
**06:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**07:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

### EUROSPORT

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
**12:00** მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. დოჰა (LIVE).
**17:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
**18:15** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 7.5 კმ. ლაჰტი. ფინეთი.
**18:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი.
**19:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**22:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
**22:45** საერთაშორისო რალი. კენია.
**23:00** პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ა. ბენტუ (პორტუგალია)-კირაკოსიანი (რუსეთი). ვილამურა. პორტუგალია (LIVE).
**01:00** ციგურებით სირბილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ცალკეული დისციპლინები. სოლტ ლეიკ სიტი. აშშ (LIVE).
**04:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**12:45** მულტისპორტი.
**13:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. არბერი. გერმანია (LIVE).
**14:15** ახალი ამბები.
**14:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
**16:00** ახალი ამბები.
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. არბერი. გერმანია (LIVE).
**17:15** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**18:45** საერთაშორისო რალი. კენია.
**19:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ჩინეთი. პორტუგალია.
**20:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. პორტუგალია.
**21:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**21:30** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორმაგი მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**22:45** ახალი ამბები.
**23:00** ექსტრემალური სპორტი.
**01:00** მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. მოტოგრან-პრი. დოჰა.
**02:00** საერთაშორისო რალი. კენია.
**02:15** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**03:00** ახალი ამბები.
**03:15** საერთაშორისო რალი. კენია.
**03:30** ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-როჩესტერი.
**04:30** საერთაშორისო რალი. კენია.
**04:45** ექსტრემალური სპორტი.
**05:45** საერთაშორისო რალი. კენია.
**06:00** ექსტრემალური სპორტი.
**07:00** ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. ოლ სტარი (LIVE).

## 11 მარტი. კვირა

### რუსთავი 2

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**11:15** არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ბოკა ხუნიორსი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:25** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**15:15** ტოქ-შოუ - 2:1.
**16:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** შოტლადიის ჩემპიონატი. სელტიკი-რეინჯერსი.
**18:20** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-აიაქსი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-სევილია (LIVE).
**21:50** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
**23:30** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
**01:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:20** არგენტინის ჩემპიონატი. რივერი-არსენალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**09:50** მძლეოსნობა.
**11:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**13:10** ექსტრემალური სპორტი.
**13:38** ფიტნესი.
**14:05** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-სერტანზინიე.
**15:50** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
**17:35** ფეხბურთი.
**17:55** სპორტკლუბი.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**23:00** სპორტის სახეები.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-უდინეზე (LIVE).
**01:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
**03:10** ექსტრემალური სპორტი.
**03:38** ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/4 ფინალი. ჩელსი-ტოტენჰემი.
**05:23** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.
**07:13** ფიტნესი.
**07:38** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
**12:15** მულტისპორტი.
**12:45** ბარის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**14:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სუპერ-გიგანტი. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
**15:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
**16:15** ბარის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ლაჰტი. ფინეთი.
**16:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**19:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. I ცდა. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
**20:00** ველოსპორტი.
**21:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**21:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. II ცდა. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
**23:00** საერთაშორისო რალი. კენია.
**23:15** ციგურებით სირბილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ცალკეული დისციპლინები. სოლტ ლეიკ სიტი. აშშ (LIVE).
**02:00** შორტ-ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**03:00** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**03:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**04:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

**10:00** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ახალი ამბები.
**11:15** ექსტრემალური სპორტი.
**12:15** საერთაშორისო რალი. კენია.
**12:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**13:30** ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. ოლ სტარი (LIVE).
**15:00** ახალი ამბები.
**15:15** რაგბი. ამხანაგური მატჩები. ბიარიტცი (საფრანგეთი)-ტულუზა (საფრანგეთი).
**16:15** მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. მოტოგრან-პრი. დოჰა.
**17:15** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორმაგი მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**17:45** ექსტრემალური სპორტი.
**18:45** საერთაშორისო რალი. კენია.
**19:00** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**20:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. კახა სან ფერნანდო-ბარსელონა.
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**23:45** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**00:30** მულტისპორტი.
**01:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. II ცდა. კურიტიბა. ბრაზილია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** რესტილინგი.
**03:00** ახალი ამბები.
**03:30** საერთაშორისო რალი. კენია.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბირმინგემი-დერბი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| ჰარტლპული-ლინკოლნი | 1:1 |
| რექსემი-ბური | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბოლონია-ბარი | 2:0 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-აინტრახტი | 2:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუგსბურგი-კობლენცი | 2:0 |
| ბრაუნშვაიგი-აუე | 1:0 |
| ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბაიერნი II-ზიგენი | 0:1 |
| კაიზერი II-კასელი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ამიენი | 2:2 |
| ბრესტი-გრენობლი | 1:0 |
| დიჟონი-მონპელიე | 1:1 |
| გენიონი-ჰავრი | 2:1 |
| ისტრი-კრეტეი | 0:0 |
| ლიბურნი-ტური | 1:0 |
| მეცი-ნიორი | 0:0 |
| სტრასბური-აიაჩო | 0:0 |
| კაენი-გინგამი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| შარლერუა-მონსი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-უტრეხტი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დენ ბოში-კამბური | 3:1 |
| დორდრეხტი-ვეენდამი | 1:1 |
| ემენი-ჰაარლემი | 1:1 |
| ფორტუნა-ტოპ ოსი | 2:1 |
| ჰელმონდი-აპელდოორნი | 2:2 |
| როსენდალი-იგლზი | 3:3 |
| ტელსტარი-ომნივორლდი | 2:0 |
| ვოლენდამი-ეინდჰოვენი A | 1:3 |
| ვენლო-ბრააფსხაპი | 1:2 |
| ცვოლე-მაასტრიხტი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| ნავალი-ბოავიშტა | 1:1 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| ჰონკა-ლაჰტი | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| დერი-ბრეი | 1:0 |
| გალვეი-სლიგო | 0:2 |
| დუბლინი-შემროკი | 0:0 |
| უოტერფორდი-კორკი | 1:0 |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| საქარია-ქაისერი | 3:3 |
| **პოლონეთი** | |
| ლეგია-გროცლინი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-სოგოტა | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| პაშაში-ვიდეოტონი | 2:2 |

## კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-რუანი | 75:66 |

## ჰოკეი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-კრეფელდი | 5:3 |
| ფრანკფურტი-აისბარენი | 3:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-სლოვანი | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ილვესი | 3:2 |
| ტპს-პელიკანსი | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 2:3 |
| ზნოიმო-პარდუბიცე | 0:3 |

## ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| მარტინი-მატიო | 4:6, 1:6 |
| მაიერი-კუნიცინი | 6:1, 6:2 |
| მონფილსი-ბენეტო | 6:3, 3:6, 5:7 |
| მონაკო-მაუ | 6:3, 3:6, 6:7 |
| გროსჟანი-აკასუსო | 4:6, 4:6 |
| კოროლიოვი-გრეული | 6:7, 7:5, 6:1 |
| პლესი-სერა | 6:7, 4:6 |
| როიტმანი-გოლდსტეინი | 3:6, 6:7 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ბრანდი-ბონდარენკო | 5:7, 5:7 |
| საფაროვა-რადვანსკა | 6:3, 6:7, 7:6 |

# ლელო



მიხეილ კაკაბაძე და ნოდარ გუგუშვილი

თითქოს საოცარია, მაგრამ ჩაკეტილ კომუნისტურ სივრცეში თავისუფალი აზრის ერთ-ერთი სიმბოლო, 50-იანი წლებიდან იყო ერთი მცირე ფორმატის, 4-გვერდიანი გაზეთი, რომელსაც ერქვა დიდი სახელი - "ლელო".

ამ გაზეთში 80-იანი წლების დასაწყისში მოვედი. ის, რაც ყველაზე მეტად გაზეთის რედაქციაში გამიკვირდა, იყო "ლელოში" დამკვიდრებული თავისუფალი სული. აქტიური დისიდენტები იყვნენ-მეთქი, ამის მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ უდავოა, რომ იქ მომუშავე ხალხი ახერხებდა თითქმის სრულად გადმოეცა ჩვეულებრივი ქართველი გულშემატკივრის გულისნადები. და ეს, კვლავ ვიმეორებ, დაიწყო ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან დიდი რედაქტორის, **მიხეილ კაკაბაძის** ხელმძღვანელობით.

რასაკვირველია, გაზეთი იძულებული იყო კომუნისტური დირექტივების სასარგებლოდაც გაეღო ხარკი, მაგრამ ამ საკითხშიც ხშირად შემოიფარგლებოდნენ მინიმუმით. სამთავრობო მითითებების იგნორირებაში მიდიოდნენ სახიფათო ზღვრამდეც კი, რომლიდანაც ყოველთვის შეიძლებოდა დიდი ეგზეკუცია დასტყდომოდათ თავს. ვინც იმდროინდელი ვითარების მოწმე არ ყოფილა, მისთვის ძნელი გასაგები იქნება, მაგრამ "ლელოში" ისეთი წერილები იბეჭდებოდა სპორტის მოსკოველ დიდჩინოსანთა და მწვრთნელთა უსამართლობაზე და ძალადობაზეც კი, სხვა გაზეთში რომ გაებედათ, ავტორს და რედაქტორს ციმბირი აქეთ დარჩებოდათ.

ერთ მაგალითს მოვიყვან: გაქანებული "ბრეჟნევშჩინის" დროს, "ლელოს" თანამშრომლები **ნუგზარ შატაიძე** და **ირაკლი ბერიაშვილი** ჯავახეთში გაგზავნეს მივლინებით. და სწორედ პირველად "ლელოში" დაიწერა, რომ ამ მხარეში ძალიან მძიმე დემოგრაფიული ვითარება შეიქმნა: ქართველები მასობრივად ტოვებდნენ რეგიონს, დაწყებით კლასებში აღარ იყვნენ ქართველი ბავშვები... წერილს ერქვა კომუნისტების აზრით პროვოკაციული სათაური "ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი", მაგრამ ორმა ჟურნალისტმა ნათლად დაინახა, რომ ეს მხარე ჩვენი აღარ იყო თავისი ხელმძღვანელებიანად. და დაწერეს კიდეც. ოღონდ დემოგრაფიული პრობლემები სპორტისა და ფიზიკური კულტურის იქაურ ამბებში გაახვიეს და საბოლოოდ იოლად გადარჩნენ. მხოლოდ მაშინდელ რედაქტორს **ანზორ ბასილაიას** მოუხდა გრძელი და მწვავე შეგონებების მოსმენა პარტიული ხელმძღვანელობისგან. დემოგრაფიულ პრობლემებზე სადმე ცალკე წერილი რომ დაწერილიყო, რედაქტორსა და ჟურნალისტებს, სულ ცოტა, "მგლის ბილეთები" გარანტირებული ექნებოდათ.

ხოლო ის შემთხვევები, როცა აშკარად ჩაგრავდნენ **მიხეილ მესხს**, მთლიანად თბილისის "დინამოს", ჩვენს შესანიშნავ ფალავნებს, სხვა სპორტსმენებს სპორტის მოსკოველი ბოსები, საკმაოდ ხშირად აისახებოდა "ლელოში". სპორტულ პრესაში კომუნისტურ ტაბუს როგორღაც კედლები ჰქონდა მორღვეული. ამას ხელს უწყობდა გაზეთში შექმნილი ატმოსფერო, ხალხის განწყობაც, რომელიც თავის ნებას უფრო თავისუფლად სპორტში გამოხატავდა, და თქვენ წარმოიდგინეთ, რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაც კი. ბოლოს და ბოლოს, ბევრი მათგანი ქართული სპორტის (განსაკუთრებით ფეხბურთის), ქართველი სპორტსმენების გულშემატკივარი გახლდათ და სხვა სფეროში თუ მსგავსი შემთხვევებისას ყალყზე შედგებოდნენ, სპორტის ამბებს ხშირად წაუყრუებდნენ ხოლმე, თუნდაც გაზეთში გამოქვეყნებული გაბედული წერილების ნიადაგი სხვადასხვა ფორმის გამოხატული ეროვნული მოტივი ყოფილიყო. პარტიული ხელმძღვანელობა ზოგჯერ ალბათ იძულებულიც კი იყო, ასე მოქცეულიყო: უსამართლობა სპორტში აშკარად ჩანს, პირდაპირ ხელისგულზეა და ჩვენი გულშემატკივრების აღშფოთებას გაზეთითაც უნდა გამოხმაურებოდნენ.

არც ის არის გასაკვირი, რომ საქართველოში არ იბეჭდებოდა "ლელოს" რუსული "ძმა". მოგეხსენებათ. მოსკოვის დირექტივების თანახმად, თითქმის ყველა ქართული გაზეთის პარალელურად უნდა გამოცემულიყო იგივე მიმართულების რუსული გამოცემა. მიუხედავად მოსკოვის მოთხოვნისა, საქართველოში სპორტული გაზეთის რუსულმა ვერსიამ მაინც ვერ იხეირა. სულ ბოლოს, თვით ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ, ნუგზარ ენდელაძემ, ძველმა მორაგბემ, ამოისუნთქა შვებით, როცა "ლელოს" რედაქტორმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ** თავისი არგუმენტები გააცნო: "ლელო" წმინდა ქართული გაზეთია, რომელსაც თავისი ადგილი უკავია ათეულ და ასეულ ათასობით ჩვენს გულშემატკივართა ცხოვრებაში და რუსული ვერსიის გამოცემა არ ივარგებსო. ეს იყო ზემდგომი ორგანოების ალბათ ერთადერთი დირექტივა, ანდა იშვიათი მაინც, რომელიც არ შესრულდა. მოსკოვში "ლელოს" რუსული ვერსია რომ ეკითხათ, თანაც ყოველდღე, სსრ კავშირის მთავარი იდეოლოგი, დიდი გავლენის მქონე ცეკას მდივანი სუსლოვი დასაბმელი გახდებოდა.

კომუნისტების დროს ცოტა გაზეთი გამოდიოდა და მათ შორის "ლელო" განსაკუთრებით პოპულარული იყო. 300 ათასი და მეტი ტირაჟით დაბეჭდილ გაზეთს "კომუნისტივით" იძულებით გამოწერა არ სჭირდებოდა. პირველი სიტყვა, რომელიც დილ-დილობით საგაზეთო ჯიხურებთან გაისმოდა, ყოველთვის ლელო იყო... ვიტალი დარასელიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, წერილებს ვინ მოთვლის, "ლელოს" რედაქციამ მარტო 1600 ლექსი მიიღო, რომლებშიც გულშემატკივართა ღრმა მწუხარება იყო გამოხატული.

პატარა სპორტული გამოცემა წლების მანძილზე ერთგვარ თავისუფლების კუნძულად რჩებოდა. ამიტომ რედაქციაში ხშირად ნახავდით ცნობილ მწერლებს, ცოცხალ კლასიკოსებს, მსახიობებს, სხვა საზოგადო მოღვაწეებს. მათთვის "ლელო" თავისებური ჰაიდ-პარკი იყო, სადაც შეეძლოთ გულახდილად ესაუბრათ ნებისმიერ თემაზე, გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის აზრები, რომელსაც სხვაგან იქნებ ვერ გამოთქვამდნენ, თანაც საინტერესო თანამოსაუბრეებთან. ვინ არ მოდიოდა სპორტულ გაზეთში: **პიერ კობახიძე, ზურაბ სოტკილავა, არჩილ სულაკაური, ჭაბუა ამირეჯიბი** და სხვა სახელოვანი პიროვნებები. ჩვენი და მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. "ლელოს" თანამშრომლებთან ბევრი ცნობილი ადამიანი მეგობრობდა.

თვითონ ჟურნალისტებისთვისაც ეს გაზეთი ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა, ანუ იმათთვის, ვინც ისე არ ფიქრობდა, როგორც ოფიციალურად დაკანონებული იყო. სხვა სფეროში სახელისუფლებო ზეწოლის გაძლება ძალიან ძნელი იყო. ფილოსოფოსი **ნოდარ გუგუშვილი** ნახევარ თბილისს იცნობდა, და მათ შორის ძალიან ცნობილ ხალხს სხვადასხვა სფეროდან, მას ნებისმიერ თანამდებობაზე შეეძლო ემუშავა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე "ლელოს" (და ასევე "მართვეს") ჟურნალისტად დარჩა. ძია ნოდარი და "ლელოს" ძველი თანამშრომლები ახალმიღებულ ახალგაზრდა, თამამ ჟურნალისტებს ამხნევებდნენ, არ გაფუჭდეთ, ანუ არსებულმა კონიუნქტურამ არ დაგიმორჩილოთო.

თითქოს სიმბოლურია, რომ 1949 წლის 10 ივლისს გამოსული "ლელოს" პირველი რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე გახლდათ. შემდეგ წლების განმავლობაში ეს შესანიშნავი რედაქტორი და ადამიანი თვითონ იქცა გაზეთის სინონიმად, იმდენი ღვაწლი დასდო "ლელოს". გაზეთში თავისუფალი სულის დამკვიდრების, ინფორმაციული და ამავე დროს დახვეწილი სტილის გარდა, მიხეილ კაკაბაძემ "ლელოს" ევროპაში ფანჯარაც გაუჭრა. გულისხმიერი და კომუნიკაბელური ადამიანი უცხოელებთანაც იოლად ამყარებდა კონტაქტს და ჩვენს სპორტულ გაზეთს არაერთი უცხოელი კოლეგა სტუმრობდა, რაც მაშინ იშვიათობა იყო. იგი ორჯერ ხელმძღვანელობდა გაზეთს, 1949-52 და 1964-76 წლებში და იქ დატოვა თავისი სული. სპორტისგან შორს მდგარი ამბების გამო, ფაქტობრივად, პარტიული შანტაჟით გათავისუფლებულმა, უსამართლობას ვერ გაუძლო...

"ლელოს" სულ ექვსი რედაქტორი ჰყავდა. ჟურნალისტ **ერემია მახათაძეს** სამუშაოდ ერთი წელი აკმარეს და შემდეგი თერთმეტი წლის მანძილზე, 1953-დან 1964-მდე, გაზეთს **ირაკლი უგულავა** ხელმძღვანელობდა, თბილისის დღევანდელი მერის პაპა. ის იყო განათლებული, ხელოვნების წარმომადგენლებთან დაახლოებული ადამიანი და შესანიშნავი პიროვნება, რომელმაც გაზეთს საკუთარი, ერთგვარად მხატვრული სტილი შესძინა. შემდეგი რედაქტორები იყვნენ: ყოფილი ტანმოვარჯიშე **ანზორ ბასილაია**, ძველი მოფარიკავე, ფილოლოგი **არჩილ გოგელია**, ჟურნალისტი და სპორტის სპეციალისტი **თენგიზ გაჩეჩილაძე**, "ლელოს" ახლანდელი რედაქტორი.

როგორც ვთქვი, მაშინ სპორტულ მედიაში, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში, მეტი თავისუფლება იყო, მაგრამ რედაქტორს თვალი მაინც ფხიზლად უნდა ჰქონოდა, ვინ იცის, რა შარს აჰკიდებდნენ, ზოგჯერ პირადი ინტერესების გამო. მე უფრო მეტხანს არჩილ გოგელიასთან ვიმუშავე. დაუძახებდნენ ჩვენს რედაქტორს "ზევით" რომელიმე, მათი აზრით, ზღვარსგადასული წერილის შემდეგ. დაბრუნდებოდა მოღუშული, ვიღაც უფროსობასთან მწვავე კამათგადახდილი, სიტყვას არ დაძრავდა, თუ რა "ომი" გადაიხადა ვიღაცის კაბინეტში, იტყოდა მხოლოდ - მუშაობა გააგრძელეთო. მაშინ ძალიან დიდი იყო რედაქტორის პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი შენი სიტყვის თქმა გეწადა და არა დირექტივების გადამღერება.

**ანზორ ბასილაია** კბილებით იცავდა ჟურნალისტ **ირაკლი ბერიაშვილს**, როცა მათი უშუალო შეფი დავით პერტენავა, სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, "ლელოდან" დათხოვნას უპირებდა. საკითხი თვით ცეკაში განიხილეს, სადაც ბერიაშვილის დაცვა მაშინ ჟურნალ "სკოლა და ცხოვრების" რედაქტორმა არჩილ გოგელიამ შეძლო.

არჩილ გოგელიამ, შეიძლება ითქვას, ძალით მიმიღო შტატში სრულიად უცხო, ვიღაც ქუჩიდან მოსული ადამიანი. მაშინ, უკვე ვთქვი, ბევრი გაზეთი არ გამოდიოდა და ჟურნალისტს სამუშაოზე მისაღებად ძალიან ხშირად რეკომენდაციები, "ზემოდან" ზარი და ზოგჯერ პარტიული შემოწმებაც სჭირდებოდა. გოგელიასთვის ეს მაშინაც ზედმეტი იყო, ჩემი წერილი წაიკითხა და ეტყობა, იქ რაღაც დაინახა - აბა, მე მაშინ რა ჟურნალისტი ვიყავი! კარგი გუნდის შეკრების და გუნდური სულისკვეთების დამკვიდრების იშვიათი ნიჭი ჰქონდა და მერე იცოცხლეთ, ამ გუნდს ამუშავებდა...

ენთუზიაზმი დღეს ლამის სალანძღავ სიტყვა იქცა, არც ჩვენ ვახსენებდით მაშინ, მაგრამ საქმე სწორედ ასე იყო: მაგალითად, 1984 წელს ტაშკენტში, მოსწავლეთა (18 წლამდე ასაკის) სპარტაკიადაზე მუშაობის ასეთი რეჟიმი გვქონდა: მთელი დღე შეჯიბრებებს ვესწრებოდით, საღამოს მასალებს ვწერდით და შემდეგ თითქმის 3 საათი ვუკარნახებდით თბილისში "ლელოს" მემანქანეს. სად იყო იმ დროს კომპიუტერი, ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტი. მერე მორიგეობით დილის 4 საათზე ვდგებოდით, რათა 6 საათზე აეროპორტში ტაშკენტი-თბილისის რეისისთვის მიგვესწრო და ფოტოფირები გაგვეტანებინა. ჩიტი ბდღვნად ნამდვილად ღირდა: გულშემატკივართა ინტერესები ცალკე სათქმელია და იმ "ჩვიდმეტწლიანებიდან" ბევრი ძალიან კარგი, ცნობილი სპორტსმენი დადგა.

"ლელოს" რედაქციაში ხშირად იყო გადაძახილები, ხუმრობას ხომ ვერ მოთვლით. უცხო ადამიანს იქ, ასე ვთქვათ, არასამუშაო ატმოსფერო დახვდებოდა, მაგრამ გაზეთში კარგად იცოდნენ თავისი საქმე და ეს თავისუფლება მათი კვალიფიკაციით იყო განპირობებული. ახალმისულს თავიდან ისიც მიკვირდა, როგორი სიცოცხლით სავსე, ცოტა უცნაური და როგორი თბილი ურთიერთობა არსებობდა სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანებს შორის. მერეღა მივხვდი, რომ "ლელოში" წლების მანძილზე შექმნილი მიკროკლიმატი თავისთავად განიზიდავდა მისთვის მიუღებელს. თუნდაც გარკვეული დროის განმავლობაში და ასეთი ადამიანი თვითონ ხვდებოდა, რომ ადგილი სხვაგან უნდა ეძებნა.

ვწუხვარ, რომ ერთ წერილში არ შემიძლია მაშინდელი "ლელოს" ჩვენება, რომ იტყვიან, სრული სახით; იმ ადამიანებზე საუბარი, ვისიც დიდი მადლობელი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. მათგან ექვსი გარდაცვლილია: **ნოდარ გუგუშვილი**, ასევე შესანიშნავი პროფესიონალი **ბიჭიკო ქორქია, ოთარ ნოზაძე, არჩილ მხეიძე**, მრავალი წლის მანძილზე "ლელოს" პასუხისმგებელი მდივანი **ვანდი ხანდამიშვილი** და სტილისტი **ნანა გოქსაძე**.

გაზეთს ლოგოც კი გამორჩეული ჰქონდა, გაზეთის შტატიანი მხატვრის **გოგი იაშვილის** მიერ შექმნილი, რომელიც დღესაც ამშვენებს განახლებულ "ლელოს". ასე ლამაზად გამოსახული გაზეთის სახელწოდება მსოფლიოში არსად მინახავს, - გულწრფელი აღტაცება ვერ დაფარა მსოფლიოში ცნობილი ერთი უცხოური გაზეთის რედაქტორმა.

და კიდევ ერთი, რასაც "ლელო", თავისი პრინციპებთან ერთად, არ ღალატობდა. ეს იყო ქართული ენა. სპორტული გაზეთი უძახეთ და ამ საკითხში თითქმის ყველა რედაქტორი შეუბრალებელი იყო. რედაქტორების გარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ფილოლოგებისა და სტილისტების - **შოთა ვადაჭკორიას, ცისანა ნიკოლაიშვილისა** და სხვების უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას.

და დღეს, უკვე შუახნის კაცს, ძალიან მიხარია, რომ ისევ გამოდის "ლელო", და ისიც, რომ ბოლო გვერდზე ზოგჯერ ჩემი გვარიც წერია.

**გიორგი ჩოჩიშვილი**


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა